განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

საქართველოს ისტორია 10

მასწავლებლის წიგნი

პირველი ნაწილი



ჯაბა სამუშია, გიორგი კალანდია, ალექსანდრე ბოშიშვილი

საქართველოს ისტორია 10

მასწავლებლის წიგნი
პირველი ნაწილი

მასწავლებლის წიგნი შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

საქართველოს ისტორია
X კლასი, პირველი ნაწილი
მასწავლებლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026

ავტორები:
ჯაბა სამუშია, გიორგი კალანდია, ალექსანდრე ბოშიშვილი

სამეცნიერო რეცენზენტი:	როინ მეტრეველი
ექსპერტ-კონსულტანტები:	დავით მალაზონია, ნიკოლოზ გურგენიძე, ნინო მიმინოშვილი, ლალი მექერიშვილი
ფსიქოლოგ-მეთოდისტი:	მზია წერეთელი
რედაქტორი:	ნათელა დვალი
ილუსტრატორი:	მარიამ ებრალიძე
დამკაბადონებელი:	თამარ სტეფნაძე

მასწავლებლის წიგნი შედგენილია X კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის მიხედვით. ის განკუთვნილია მეათე კლასის მასწავლებლებისათვის და შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს ისტორიის X კლასის სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი – I, II, III, IV ნაწილი;
მასწავლებლის წიგნი – I, II, III, IV ნაწილი.

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სარჩევი

თემა 1 – პიროვნება და ისტორია

წინასიტყვაობა 5

ნაწილი I. მეთოდური გზამკვლევი 6

1. როგორ ვისარგებლოთ მასწავლებლის წიგნით 6
2. მეთოდოლოგიური პრინციპები 7
3. როგორ ვიმუშაოთ X კლასის საქართველოს ისტორიის სტანდარტით 8
4. შეფასება 9
5. დიფერენცირებული სწავლება და სწავლების უნივერსალური დიზაინი 9
6. საგანთაშორისი კავშირები 10
7. მეთოდოლოგიური სიახლეები 10

ნაწილი II. სახელმძღვანელოს თემატური ანალიზი 11

1. სახელმძღვანელოს აგებულება 11
2. თემის შესავალი მასწავლებლისთვის 11
3. სამიზნე ცნებების განაწილება 12
4. სავარაუდო კალენდარული გეგმა 13

ნაწილი III. გაკვეთილების სცენარები 14

შესავალი მასწავლებლისთვის. პიროვნება და ისტორია 16
1) 1.1. ფარნავაზი. ქართული მიწების პირველი გამაერთიანებელი 19
2) 1.3. ვახტანგ გორგასალი. არჩევანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის 26
3) 1.6. დავით IV აღმაშენებელი. ერთიანი კავკასიის შემქმნელი 33
4) 1.7. თამარ მეფე. საქართველო „ოქროს ხანაში” 40
5) 1.13. გიორგი სააკაძე. „დიდი მოურავი” 47
6) 1.17. ერეკლე II 55
7) 1.18. ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები 63
8) 1.20. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები 70

ნაწილი IV. პროექტული დავალება 85

პროექტული დავალების ადგილი სასწავლო პროცესში 85

ნაწილი V. დანართები 88

1. მეთოდების ცნობარი 88
2. შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები 90
3. თემის შემაჯამებელი სამუშაო 91
4. სასწავლო რესურსების ნუსხა 93

წინასიტყვაობა

მასწავლებლის წიგნი შედგენილია X კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის მიხედვით. ეს ნაწილი პირველი სემესტრის პირველ თემას – „პიროვნება და ისტორია“ – მოიცავს და ოც პარაგრაფს აერთიანებს, ფარნავაზიდან XX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებამდე. პირველივე სემესტრში მას მეორე თემა დაემატება, რომელსაც ცალკე მასწავლებლის წიგნი მოჰყვება.

წიგნის მიზანია, მასწავლებელს შესთავაზოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელების გზები. სტანდარტი განსაზღვრავს, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საშუალო საფეხურზე; სახელმძღვანელო სასწავლო მასალის შინაარსს გვაწვდის; მასწავლებლის წიგნი კი ამ ორ კომპონენტს ერთმანეთს უკავშირებს. თითოეულ სცენარში მითითებულია, სტანდარტის რომელი ცნება, შედეგი და ინდიკატორი მუშავდება გაკვეთილზე, რა შედეგს უნდა მიაღწიოს მოსწავლემ და რა კრიტერიუმებით შეფასდეს მიღწეული შედეგი.

მასწავლებლის წიგნი ხუთი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია მეთოდური საფუძვლები: სტანდარტთან მუშაობის პრინციპები, შეფასების, დიფერენცირებული სწავლებისა და საგანთაშორისი კავშირების საკითხები. მეორე ნაწილი შეიცავს თემის შესავალს, სამიზნე ცნებების განაწილებასა და სავარაუდო კალენდარულ გეგმას. მესამე ნაწილი წიგნის ძირითადი ნაწილია: მასში თავმოყრილია გაკვეთილის სცენარები. მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია თემის შემაჯამებელი პროექტული დავალება, მეხუთეში კი დამხმარე მასალა – მეთოდების ცნობარი, შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები და სასწავლო რესურსების ნუსხა.

მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია 9 გაკვეთილის სცენარი. ამ შემთხვევაში წიგნი მასწავლებელს გაკვეთილის ჩატარების მოდელს გვთავაზობს და არა ყველა გაკვეთილის მზა გეგმას. შერჩევის კრიტერიუმები და მოდელის სხვა პარაგრაფზე გამოყენების წესი პირველი ნაწილის პირველ სექციაშია აღწერილი.

წიგნში წარმოდგენილი მასალა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სცენარები ერთ შესაძლო გადაწყვეტას გვთავაზობს და მასწავლებელს შეუძლია, კლასის შესაძლებლობების, სასწავლო გარემოსა და დროის რესურსის მიხედვით შეცვალოს აქტივობა, გადაანაწილოს დრო ან სხვა მიდგომა გამოიყენოს. ცვლილებისას სამი პირობის დაცვაა მნიშვნელოვანი: გაკვეთილის კავშირი სტანდარტის ინდიკატორთან, გაკვეთილის მიზანი და მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი დრო.

წიგნზე მუშაობისას გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურის მოსწავლის შესაძლებლობები. სცენარებში წყაროებს მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ, ჯგუფის პასუხი დასაბუთებული მტკიცების სახით ყალიბდება, გაკვეთილის ბოლო პროდუქტი კი, როგორც წესი, წერითი არგუმენტია.

ნაწილი I. მეთოდური გზამკვლევი

1. როგორ ვისარგებლოთ მასწავლებლის წიგნით

წიგნით სარგებლობის ორი გზა არსებობს. სემესტრის დაგეგმვისას მასწავლებელი მეორე ნაწილს მიმართავს და მასალის განაწილებას ერთიანად ხედავს; კონკრეტული გაკვეთილისთვის მომზადებისას კი პირდაპირ მესამე ნაწილში პოულობს შესაბამისი პარაგრაფის სცენარს. პირველი, მეოთხე და მეხუთე ნაწილი ორივე შემთხვევაში დამხმარე მასალაა.

გაკვეთილის სცენარის თერთმეტი სექცია

თითოეული სცენარი ერთი და იმავე თერთმეტი სექციისგან შედგება: კავშირი სტანდარტთან; გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები; წინარე ცოდნის გააქტიურება; მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები; გაკვეთილის მსვლელობა; დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი; საშინაო დავალება; შეფასება; საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები; მასწავლებლის რეფლექსია; სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის.

რატომ ცხრა სცენარი

თემა ოც პარაგრაფს მოიცავს, სცენარი კი ცხრაა. ეს შეგნებული არჩევანია: წიგნი გაკვეთილის ჩატარების სარეკომენდაციო მოდელს გვთავაზობს და არა ყველა გაკვეთილის მზა გეგმას. პარაგრაფები სამი კრიტერიუმით შეირჩა. პირველი – პარაგრაფები ისეა შერჩეული რომ ყველა ეპოქა ყოფილიყო წარმოდგენილი ანტიკური ხანიდან უახლეს ისტორიამდე. მეორე – ექვსივე სამიზნე ცნების წარმოდგენა. მესამე – მეთოდების მრავალფეროვნება: მართალია ყველა სცენარს საერთო სტრუქტურული ჩარჩო აქვს, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდება გაკვეთილზე გამოსაყენებელი მეთოდები, აქტივობები და მოსწავლეთა ქმედებები მიზნების გასააზრებლად და შედეგების მისაღწევად

პარაგრაფი	ძირითადი სამიზნე ცნება	რა ნიმუშს იძლევა სცენარი
1.1	ისტორიული წყარო	ორი განსხვავებული ცნობის შედარება ერთსა და იმავე მოვლენაზე
1.3	სივრცე	მმართველის ნაბიჯების დახარისხება ორი მიმართულებით
1.5	ისტორიული მოვლენა/პროცესი	გარემოებებისა და პიროვნული გადაწყვეტილებების შეპირისპირება
1.6	ძალაუფლება	ექსპერტთა ჯგუფები და ნორმატიული ტექსტის ანალიზი
1.7	დრო (ისტორიული პერიოდი)	ეპოქის შეფასება საკუთარი კრიტერიუმებით
1.13	ისტორიული მოვლენა/პროცესი	სტრუქტურირებული დებატი სადავო შეფასებაზე
1.17	ისტორიული მოვლენა/პროცესი	მოღვაწეობის დახარისხება სფეროების მიხედვით
1.18	საზოგადოება	ღონისძიებისა და პასუხის დაკავშირება ცხრილში
1.20	ძალაუფლება	ბრძოლის ფორმების შედარება ეტაპების მიხედვით

როგორ გამოვიყენოთ წიგნში წარმოდგენილი სცენარი სხვა პარაგრაფზე

წარმოდგენილი სცენარები დანარჩენ თერთმეტ პარაგრაფზეც გამოდგება – არა როგორც მზა გეგმა, არამედ როგორც სამუშაო მოდელი. გთავაზობთ ოთხ თანმიმდევრულ ნაბიჯს, რომელიც ამ ამოცანის გადაჭრაში დაგეხმარებათ:

1. წაიკითხეთ პარაგრაფი და გამოყავით მისი ერთი შინაარსობრივი კვანძი – ის საკითხი, რომლის გარშემოც პარაგრაფია აგებული.

2. მოძებნეთ სტანდარტის ის ინდიკატორი, რომელსაც ეს მასალა ბუნებრივად ესადაგება. ინდიკატორი მასალას უნდა მოერგოს და არა პირიქით.

3. დაავიწროვეთ ინდიკატორი ერთი გაკვეთილის შედეგამდე – ისე, რომ მიღწევადი და შესამოწმებელი იყოს.

4. აქტივობა შეარჩიეთ მეხუთე ნაწილში მოცემული მეთოდების ცნობარიდან და დაუკავშირეთ პარაგრაფის კითხვები და დავალება.

იმ პარაგრაფებზე, რომლებზეც სცენარი არ არის წარმოდგენილი, ორი მოდელი გამოდგება ყველაზე ხშირად: 1.17-ის სცენარი მაშინ, როცა პარაგრაფი მმართველის მრავალმხრივ საქმიანობას აღწერს; 1.13-ის სცენარი კი მაშინ, როცა პიროვნების შეფასება სადაოა.

როცა სცენარის შეცვლა გჭირდებათ

სცენარის შეცვლა სპეციფიკურ სიტუაციებში ხდება საჭირო. როცა კლასს წინარე ცოდნა არ ან ნაკლებად აქვს, მასწავლებელი პირველ აქტივობას მეტ დროს უთმობს და მესამეს ამოკლებს. როცა დრო არ გვყოფნის, პირველ რიგში, დასკვნითი ნაწილის წერითი დავალება მცირდება ორ წინადადებამდე და არა ძირითადი ნაწილის აქტივობა. როცა კლასი მცირერიცხოვანია, ჯგუფური მუშაობა წყვილებში მუშაობით იცვლება. როცა მასწავლებელს სხვა, კლასის სპეციფიკაზე მორგებული სხვა აქტივობა აქვს გამოცდილი, იგი სცენარში მოცემულის ნაცვლად საკუთარს იყენებს. ოთხივე შემთხვევაში მთავარია, გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგი უცვლელი დარჩეს.

2. მეთოდოლოგიური პრინციპები

ა) სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული სწავლება

ცნება მასალის დასამახსოვრებელ ჩარჩოს კი არ ქმნის, არამედ იმ კითხვას განსაზღვრავს, რომელსაც კლასი პარაგრაფს უსვამს. როცა გაკვეთილის სამიზნე ცნებაა „ისტორიული წყარო", მასალა იმ კუთხით მუშავდება, ვინ და რა მიზნით შექმნა ესა თუ ის ცნობა; როცა ცნებაა „ძალაუფლება", იმავე პარაგრაფში სხვა კითხვა დგება – რა ინსტიტუტებით ხორციელდებოდა მმართველობა. სცენარებში ყოველთვის ერთი ძირითადი ცნებაა დასახელებული და ერთი ან ორი დამატებითი.

ბ) წყაროებზე მუშაობა

სახელმძღვანელოს რუბრიკა „წყარო" თემაში ყველაზე ხშირად გვხვდება, ასევე, ხშირად გამოიყენება „მეცნიერის თვალსაზრისი". სცენარებში ეს ბლოკები საკითხავ მასალად არ განიხილება: მოსწავლე მათ კითხვებით ამუშავებს – ვინ არის ავტორი, რა მიზნით წერს, რას ეყრდნობა, რით შეიძლება მისი ცნობის გადამოწმება და ა.შ.

გ) კვლევითი კომპონენტი

თითქმის ყოველ სცენარში მოსწავლე ერთსა და იმავე ოპერაციას ასრულებს: აგროვებს ფაქტებს, აჯგუფებს მათ და დასკვნას ფაქტით ასაბუთებს. ეს ისტორიკოსის მუშაობის გამარტივებული სქემაა და სწორედ იგი აკავშირებს ერთმანეთთან სხვადასხვა ეპოქაზე დაწერილ გაკვეთილებს.

დ) ღირებულებითი კომპონენტი

ღირებულებითი საკითხი სცენარებში მასწავლებლის ფორმალური მსჯელობით არ შემოდის, მაგრამ როცა იაკობ გოგებაშვილის ტექსტი ამბობს, რომ მამულის სიყვარული სხვისი სიძულვილით არ იზომება, კლასი ამ დებულებას თავად პოულობს ტექსტში. სადაო შეფასების შემთხვევაში მასწავლებელი არ ამბობს, რომელი პასუხია სწორი, და ყოველ მოსწავლეს კონკრეტული ფაქტის დასახელებას სთხოვს.

ე) კავშირი თანამედროვეობასთან

კავშირი დღევანდელობასთან სცენარებში ერთი კითხვის სახით შემოდის და ვრცელ მსჯელობაში არ გადადის. იგი მხოლოდ იქ ჩნდება, სადაც ბუნებრივია: ინფორმაციის სანდოობის შემოწმებაზე, სატრანზიტო გზების მნიშვნელობაზე ან ყველასთვის ერთნაირი წესის უპირატესობაზე მსჯელობისას.

3. როგორ ვიმუშაოთ X კლასის საქართველოს ისტორიის სტანდარტით

საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის სტანდარტი ექვს სამიზნე ცნებას მოიცავს: ისტორიული წყარო, დრო (ისტორიული პერიოდი), სივრცე (ტერიტორია, გარემო), საზოგადოება, ძალაუფლება და ისტორიული მოვლენა/პროცესი. თითოეულ ცნებას შეესაბამება ერთი შედეგი და ოთხიდან ხუთამდე ინდიკატორი. კურსი თემატურად არის აგებული და ექვს სასწავლო თემას მოიცავს; წინამდებარე წიგნი მათგან პირველს ეთმობა.

ინდიკატორი უშუალოდ ვერ შემოწმდება: იგი მთელ კურსზეა გათვლილი და არა ერთ გაკვეთილზე. ამიტომ დაგეგმვისას სამი ნაბიჯი კეთდება – ინდიკატორი ვიწროვდება გაკვეთილის შედეგამდე, შედეგი კარნახობს აქტივობას, აქტივობა კი შეფასების კრიტერიუმს.

სტანდარტის ინდიკატორი	გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგი	შეფასების კრიტერიუმი
ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი განსხვავებული წყაროების შედარება და განსხვავების ახსნა (1.1)	მოსწავლე ცხრილში ადარებს ორ ქართულ თხზულებას სამი ნიშნით და ასახელებს ორ განსხვავებას	დასახელებულია ორი განსხვავება და თითოეული დადასტურებულია ტექსტით
ძალაუფლების სიმბოლოების, მათ შორის ტიტულატურის, შედარება (1.5)	მოსწავლე ალაგებს ბაგრატ III-ის ტიტულის სამ საფეხურს და თითოეულს უკავშირებს კონკრეტულ შემოერთებას	სამივე საფეხური სწორი თანმიმდევრობითაა და თითოეულს შეესაბამება შემოერთება
კონკრეტული ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით (1.18)	მოსწავლე ცხრილში უკავშირებს იმპერიის ღონისძიებას თერგდალეულთა პასუხს და ოთხ წყვილს ასახელებს	დასახელებულია ოთხი წყვილი და თითოეულში პასუხი შეესაბამება ღონისძიებას

ცხრილიდან ერთი წესი იკვეთება: გაკვეთილის შედეგი ინდიკატორის დავიწროებაა ერთი პარაგრაფის მასალამდე, შეფასების კრიტერიუმი კი იმავე შედეგის გადაკეთება შესამოწმებელ ფორმულირებად. სამივე შემთხვევაში ფორმულირება მოსწავლის მოქმედებას აღწერს და არა მასწავლებლისას.

ერთი გაშლილი მაგალითი

ავიღოთ პარაგრაფი 1.13 – გიორგი სააკაძე. დაგეგმვა პარაგრაფის წაკითხვით იწყება. მისი მთავარი თავისებურება რუბრიკა „წყაროშია”: რვა ავტორი ერთსა და იმავე ადამიანს

სხვადასხვანაირად აფასებს. სწორედ ეს ეხმიანება სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორს – მოვლენის მნიშვნელობის შეფასება როგორც თანადროული, ისე დღევანდელი პერსპექტივიდან და შეფასებებს შორის განსხვავების ახსნა.

შემდეგი ნაბიჯი ინდიკატორის დაკონკრეტებაა: მოსწავლე ასახელებს ავტორთა შეფასებების საერთო და განსხვავებულ მხარეებს და ხსნის, რით არის გამოწვეული ეს განსხვავება. ეს უკვე გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგია.

როცა შედეგი ჩამოყალიბებულია, აქტივობის შერჩევა ადვილდება. წყვილები ავსებენ ცხრილს, რომელშიც ხუთი ავტორია შეტანილი: ვახუშტი ბაგრატიონი, ივანე ჯავახიშვილი, შოთა მესხია, კრისტოფორო კასტელი და არაქელ თავრიზელი. ცხრილს სამი სვეტი აქვს – ავტორი, მისი მოღვაწეობის დრო და ქვეყანა, შეფასების შინაარსი. ბოლო ნაბიჯი შეფასების კრიტერიუმის ჩამოყალიბებაა. იგი იმავე მოსალოდნელი შედეგიდან მომდინარეობს და ასე ჩამოყალიბდება: მოსწავლემ დაასახელა, რაზე თანხმდებიან ავტორები და რაზე განსხვავდებიან, და ორივე ახსნა ავტორების დროითა და წარმომავლობით.

4. შეფასება

განმავითარებელი შეფასება

განმავითარებელი შეფასება გაკვეთილის ცალკე ეტაპი არ არის – იგი მუშაობის მსვლელობაშივე ხდება. სცენარებში ოთხი ინსტრუმენტი მეორდება: ცხრილის შერჩევითი გადამოწმება წყვილებში მუშაობის დროს; ჯგუფის წარდგენა წინასწარ დასმულ კითხვებზე; დასკვნითი ნაწილის წერითი არგუმენტი რვეულში; დამაზუსტებელი კითხვები საერთო მსჯელობისას.

უკუკავშირი კონკრეტულ ქმედებას უნდა ეხებოდეს და არა მოსწავლის შეფასებას. შენიშვნის „პასუხი არასრულია“ ნაცვლად უფრო გამოსადეგია მითითება: „დაასახელე ის ფაქტი, რომელსაც ეს დასკვნა ეყრდნობა”.

განმსაზღვრელი შეფასება

განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები სცენარებში პირდაპირ სტანდარტის ინდიკატორებიდან მომდინარეობს. თითოეულ გაკვეთილზე ორი კრიტერიუმია დასახელებული და შესრულების ხარისხი საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით ფასდება.

რუბრიკის შედგენისას სამი-ოთხი დონე გამოიყოფა და თითოეული აღიწერება იმით, რასაც მოსწავლე აკეთებს. მაგალითად, კრიტერიუმზე „ასაბუთებს პოზიციას ფაქტით“ დონეები ასე ჩამოყალიბდება: ასახელებს პოზიციას ფაქტის გარეშე; ასახელებს პოზიციას და ერთ ფაქტს; ასახელებს პოზიციას, ორ ფაქტს და აჩვენებს მათ კავშირს დასკვნასთან.

თემის შემაჯამებელი წერითი სამუშაოს ნიმუში მეხუთე ნაწილშია მოცემული.

5. დიფერენცირებული სწავლება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები

ერთსა და იმავე აქტივობაში დავალებები სირთულით განსხვავდება. ტექსტიდან ფაქტის ამოკრება საბაზისო ნაბიჯია; იმის ახსნა, რატომ მოხდა ასე, უკვე დასკვნას მოითხოვს. სცენარებში ეს განსხვავება ყოველთვის დასახელებულია და მითითებულია, რომელ ნაბიჯს განიხილავს მასწავლებელი მთელ კლასთან ერთად. აქვე მოცემულია დამატებითი კითხვა იმ შემთხვევისთვის, როცა წყვილი ან ჯგუფი დავალებას დანარჩენებზე ადრე დაასრულებს.

მხარდამჭერი სტრატეგიები

მხარდაჭერა იმ სირთულეს უნდა პასუხობდეს, რომელიც კონკრეტულ გაკვეთილზე ჩნდება. სცენარებში სამი სტრატეგია მეორდება: ცხრილის ან სქემის პირველი სტრიქონი კლასთან ერთად ივსება ნიმუშად; საკვანძო ტერმინები დაფაზე იწერება და გაკვეთილის

ბოლომდე რჩება; ძველი ქართულით დაწერილი ტექსტის სრული გარჩევა მოსწავლეს არ მოეთხოვება – სცენარში მითითებულია, რისი დადგენა კმარა მოსწავლის მხრიდან.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები

სახელმძღვანელო მასალას ხუთი სახით იძლევა: ტექსტით, წერილობითი წყაროთი, მეცნიერის მსჯელობით, რუკითა და ილუსტრაციით. სცენარებში ილუსტრაცია დამატებით ცნობად განიხილება და არა გასაფორმებელ მასალად: მონეტა, ბეჭედი, ხელრთვა თუ ფრესკა იმ დროის ნივთიერი კვალია. ნასწავლის ჩვენებაც რამდენიმენაირად შეიძლება: ცხრილის შევსებით, ჯგუფის წარდგენით, ზეპირი არგუმენტით ან წერითი პასუხით.

6. საგანთაშორისი კავშირები

თემა ბუნებრივ კავშირს ამყარებს ოთხ საგანთან. ქართული ენა და ლიტერატურა: საისტორიო და ლიტერატურული თხზულებები, პუბლიცისტიკა და მათი კავშირი ცნებებთან „ტექსტი“ და „კონტექსტი”. გეოგრაფია: რუკები, სავაჭრო გზები და მდებარეობის პოლიტიკური მნიშვნელობა. მოქალაქეობა: სახელმწიფო ინსტიტუტები, ადამიანის უფლებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ინფორმაციის სანდოობა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ხუროთმოძღვრება, ფრესკები და ეპოქის ნივთიერი მასალა.

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა ოთხ ნაბიჯად იშლება: შეარჩიეთ ორივე საგნისთვის საერთო საკითხი; დაასახელეთ თითოეული საგნის სამიზნე ცნება, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს; შეათანხმეთ ერთი საერთო პროდუქტი, რომელსაც მოსწავლე ორივე საგნის კრიტერიუმით შეასრულებს; წინასწარ განსაზღვრეთ, რომელი მასწავლებელი რას აფასებს.

ნიმუში: ისტორია და გეოგრაფია (პარაგრაფი 1.5)

საერთო საკითხია, რატომ იყო შიდა ქართლი გაერთიანებისთვის საკვანძო რეგიონი. ისტორიის სამიზნე ცნებაა „სივრცე”, გეოგრაფიისა – რელიეფი და სატრანზიტო ფუნქცია. მოსწავლეები კონტურულ რუკაზე აღნიშნავენ შიდა ქართლზე გამავალ გზებს და წერენ ხუთწინადადებიან დასაბუთებას. ისტორიის მასწავლებელი აფასებს, დაუკავშირა თუ არა მოსწავლემ მდებარეობა პოლიტიკურ ბრძოლას; გეოგრაფიისა – რამდენად სწორად არის რუკაზე ასახული რელიეფი და გზები.

7. მეთოდოლოგიური სიახლეები

წინა თაობის მასწავლებლის წიგნებთან შედარებით ოთხი თავისებურებაა.

პირველი: სცენარი სტანდარტის კონკრეტულ ინდიკატორზეა მიბმული და შეფასების კრიტერიუმი იმავე ინდიკატორიდან მომდინარეობს. მოსალოდნელი შედეგები დამდგარი ფორმითაა ჩამოყალიბებული – მოსწავლე ასახელებს, ადარებს, ასაბუთებს – და თითოეული რაოდენობრივად კონკრეტულია.

მეორე: წიგნი ყველა გაკვეთილს კი არ აღწერს, არამედ მოდელს იძლევა. ამის მიზეზი ისაა, რომ თემატურ კურსში პარაგრაფის მოცულობა და გაკვეთილის დრო ერთმანეთს არ ემთხვევა და მასწავლებელს მასალის შერჩევა თავად უწევს.

მესამე: სცენარები ერთმანეთს არ იმეორებს. თითოეულში ერთი ახალი მეთოდი მაინც შემოდის, ყველა მათგანი კი მეხუთე ნაწილის ცნობარშია თავმოყრილი.

მეოთხე: თემა ერთი პროექტული დავალებით სრულდება, რომელიც ოცივე პარაგრაფის მასალას აერთიანებს და თემის საკვანძო კითხვას უბრუნდება – პიროვნებები ქმნიან ისტორიას თუ ისტორია აყალიბებს პიროვნებებს.

ნაწილი II. სახელმძღვანელოს თემატური ანალიზი

ეს ნაწილი მასწავლებელს სასწავლო მასალაში ორიენტირებას უადვილებს. აქ მოცემულია სახელმძღვანელოს აგებულების მიმოხილვა, თემის შესავალი, სამიზნე ცნებების განაწილება ოც პარაგრაფზე და სავარაუდო კალენდარული გეგმა. სემესტრის დაგეგმვისას სწორედ ამ ნაწილს იყენებს მასწავლებელი.

1. სახელმძღვანელოს აგებულება

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი ერთ თემას – „პიროვნება და ისტორია“ – მოიცავს და ოც პარაგრაფად იყოფა. პარაგრაფები ქრონოლოგიურად მიჰყვება ერთმანეთს, თუმცა თითოეული ერთი პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის გარშემოა აგებული. პარაგრაფების ნაწილი საკმაოდ მოცულობითია, ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელს ყველაზე აქტიუალური მასალის შერჩევა მოუწევს.

რუბრიკები და მათი ადგილი გაკვეთილზე

„წყაროს“ ბლოკში თავმოყრილია ისტორიული დოკუმენტები, ძველი ავტორების თხზულებები, წერილები და წარწერები. სცენარებში ისინი საკითხავ მასალად არ განიხილება: მოსწავლე მათ კითხვებით ამუშავებს.

„მეცნიერის თვალსაზრისში“ წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, შოთა მესხიას, მარიამ ლორთქიფანიძის, როინ მეტრეველისა და სხვა მკვლევრების მსჯელობა. ეს ბლოკები ორნაირად გამოიყენება: ან როგორც სამეცნიერო შეფასება, ან როგორც ცალკე ტექსტი, რომელშიც მოსწავლე დასკვნასა და დასკვნის საფუძველს ერთმანეთისგან მიჯნავს.

„ლექსიკონი“ და „ეს საინტერესოა“ დამხმარე რუბრიკებია. ლექსიკონი ტერმინებს განმარტავს და მასწავლებელს ეხმარება იმ სიტყვების შერჩევაში, რომლებიც დაფაზე უნდა დაწეროს.

კითხვები პარაგრაფის ბოლოს არ არის თავმოყრილი. ისინი ქვეთავებს მოსდევს და ნუმერაცია მთელ პარაგრაფზე გრძელდება. გაკვეთილის დაგეგმვისას კითხვა თავის ქვეთავთან ერთად უნდა შეირჩეს.

დავალებები პარაგრაფის ბოლოშია, ცალკე ნუმერაციით. შინაარსით ისინი ანალიტიკური და შეფასებითია და საშინაო/დამოუკიდებელი წერითი ნაშრომის საფუძველს იძლევა. სცენარებში ყოველთვის მითითებულია, რომელი დავალება ეძლევა მოსწავლეს სახლში და რომელი სრულდება კლასში.

სახელმძღვანელოს ერთვის თხუთმეტი რუკა საძიებლით. რუკები სცენარებში სამუშაო მასალაა და არა ილუსტრაცია: მოსწავლე მათზე ტერიტორიულ ცვლილებას, სავაჭრო გზებსა და სამხედრო მარშრუტებს კითხულობს.

2. თემის შესავალი მასწავლებლისთვის

ამ სექციაშია მოთავსებული თემა 1-ის შესავალი. იგი აღწერს, რას ემსახურება თემა და როგორ იკითხება მისი შინაარსი ხუთ ბლოკად; აჩვენებს, რომელ სამიზნე ცნებებთან და სტანდარტის რომელ ინდიკატორებთან არის იგი დაკავშირებული; და გვთავაზობს პრაქტიკულ ორიენტირებს – პარაგრაფის მოცულობიდან და სახოტბო წყაროების ჟანრიდან დაწყებული, სადაო შეფასებებითა და უახლესი პერიოდის მასალით დამთავრებული. შესავალი დაგეგმვის მასალაა და მას მასწავლებელი კონკრეტულ გაკვეთილზე მუშაობის დაწყებამდე ეცნობა.

3. სამიზნე ცნებების განაწილება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, პარაგრაფების მიხედვით რომელი ცნება მუშავდება ძირითადად და რომელი აქტიურდება დამატებით.

პარაგრაფი	ძირითადი ცნება	დამატებით აქტიურდება
1.1. ფარნავაზი	ისტორიული წყარო	ძალაუფლება
1.2. ფარსმანების ეპოქა	სივრცე	ისტორიული მოვლენა/პროცესი
1.3. ვახტანგ გორგასალი	სივრცე	ძალაუფლება
1.4. აფხაზთა მეფეები	საზოგადოება	ძალაუფლება
1.5. დავით III და ბაგრატ III	ისტორიული მოვლენა/პროცესი	სივრცე, ძალაუფლება
1.6. დავით IV აღმაშენებელი	ძალაუფლება	ისტორიული მოვლენა/პროცესი
1.7. თამარ მეფე	დრო (ისტორიული პერიოდი)	ისტორიული წყარო, საზოგადოება
1.8. დემეტრე II თავდადებული	ისტორიული მოვლენა/პროცესი	ძალაუფლება
1.9. გიორგი V ბრწყინვალე	ძალაუფლება	ისტორიული მოვლენა/პროცესი
1.10. ალექსანდრე I დიდი	დრო (ისტორიული პერიოდი)	საზოგადოება
1.11. ლუარსაბ I, ბაგრატ III, ლევანი	ისტორიული მოვლენა/პროცესი	სივრცე
1.12. სიმონ I	ისტორიული მოვლენა/პროცესი	ისტორიული წყარო
1.13. გიორგი სააკაძე	ისტორიული მოვლენა/პროცესი	ისტორიული წყარო
1.14. ქეთევან წამებული	ისტორიული წყარო	საზოგადოება
1.15. ვახტანგ VI	ძალაუფლება	საზოგადოება
1.16. სოლომონ I	ისტორიული მოვლენა/პროცესი	სივრცე
1.17. ერეკლე II	ისტორიული მოვლენა/პროცესი	სივრცე, ისტორიული წყარო
1.18. ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები	საზოგადოება	ისტორიული მოვლენა/პროცესი
1.19. ივანე ჯავახიშვილი	საზოგადოება	ისტორიული წყარო
1.20. ეროვნული მოძრაობის ლიდერები	ძალაუფლება	ისტორიული მოვლენა/პროცესი

განაწილებიდან ორი რამ იკვეთება. პირველი: ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ ყველაზე ხშირად მუშავდება. ეს თემის შინაარსიდან გამომდინარეობს – პიროვნების მოღვაწეობა ყოველთვის რომელიმე პროცესის ნაწილია და მისი შეფასება მიზეზებისა და შედეგების ანალიზს მოითხოვს. მეორე: ცნებები „დრო“ და „სივრცე”, როგორც ძირითადი ცნება, შედარებით იშვიათად აქტიურდება, სამაგიეროდ დამატებითი ცნების სახით თითქმის ყო-

ველ პარაგრაფში იკვეთება, რადგან პიროვნება ყოველთვის კონკრეტულ ეპოქასა და კონკრეტულ ტერიტორიაზე მოქმედებს.

4. სავარაუდო კალენდარული გეგმა

გეგმა ოცდახუთ საათზეა გათვლილი. ოცივე პარაგრაფს თითო გაკვეთილი ეთმობა, პროექტულ დავალებას – ორი საათი, შემაჯამებელ სამუშაოს – ერთი; ორი საათი თავისუფალი რჩება.

გაკვეთილები	შინაარსი	საათი
1-5	პარაგრაფები 1.1-1.5: ფარნავაზიდან საქართველოს გაერთიანებამდე	5
6-10	პარაგრაფები 1.6-1.10: დავით IV-დან ალექსანდრე I-მდე	5
11-15	პარაგრაფები 1.11-1.15: XVI-XVIII საუკუნეების მმართველები	5
16-20	პარაგრაფები 1.16-1.20: სოლომონ I-დან უახლეს პერიოდამდე	5
21-22	პროექტული დავალება: მომზადება და წარდგენა	2
23	შემაჯამებელი სამუშაო	1
24-25	თავისუფალი საათები	2

შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუში მეხუთე ნაწილშია მოცემული.

თავისუფალ ორ საათს წინასწარ განსაზღვრული შინაარსი არ აქვს. მათი გამოყენების სამი გზა იკვეთება. პირველი: გამეორება შემაჯამებელი სამუშაოს წინ, როცა კლასი თემის საკვანძო კითხვას უბრუნდება. მეორე: ერთ-ერთი მოცულობითი პარაგრაფის – 1.6-ის ან 1.7-ის – ორ გაკვეთილად გაშლა, თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ ერთი საათი არ კმარა. მესამე: ინტეგრირებული გაკვეთილი გეოგრაფიასთან ან მოქალაქეობასთან.

თუ გეგმიდან გადაუხვევთ

დროის დანაკლისის შემთხვევაში შემცირების თანმიმდევრობა ასეთია. ჯერ თავისუფალი საათები გამოიყენება. შემდეგ პროექტული დავალების საკლასო ნაწილი მცირდება ერთ საათამდე და მომზადება საშინაო სამუშაოდ გადადის. ბოლოს, თუ ესეც არ კმარა, რამდენიმე პარაგრაფის მასალა ერთ გაკვეთილზე ერთიანდება; ამისთვის ყველაზე უკეთ ერთი ეპოქის მეზობელი პარაგრაფები გამოდგება, მაგალითად 1.11 და 1.12.

რაც არ უნდა შემცირდეს გეგმა, სამი ელემენტი უცვლელი უნდა დარჩეს: მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობა წყაროზე, წერითი არგუმენტის შედგენა და პროექტული დავალების წარდგენა. სწორედ ეს სამი ელემენტი უკავშირდება სტანდარტის შედეგებს ყველაზე პირდაპირ.

ნაწილი III. გაკვეთილების სცენარები

შესავალი

ეს ნაწილი წიგნის ძირითადი ნაწილია. მასში თავმოყრილია ცხრა გაკვეთილის სცენარი – 1.1, 1.3, 1.5, 1.6, 1.7, 1.13, 1.17, 1.18 და 1.20 პარაგრაფზე. თითოეული სცენარი მთელ პარაგრაფს მოიცავს და ერთ ორმოცდახუთწუთიან გაკვეთილზეა გათვლილი. შერჩევის კრიტერიუმები და მოდელის სხვა პარაგრაფზე გამოყენების წესი პირველი ნაწილის პირველ სექციაშია აღწერილი.

რას იძლევა სცენარი

სცენარი ოთხ პრაქტიკულ საკითხს წინასწარ წყვეტს.

პირველი: სტანდარტთან კავშირი. სცენარში დასახელებულია, რომელი ცნება და რომელი ინდიკატორი მუშავდება გაკვეთილზე და როგორ გარდაიქმნება ეს ინდიკატორი გაკვეთილის შედეგად და შეფასების კრიტერიუმად.

მეორე: დროის ბიუჯეტი. აქტივობები ისეა გაწერილი, რომ ჯამში ორმოცდახუთ წუთზეა გათვლილი. თითოეულ აქტივობასთან მითითებულია დრო, კლასის ორგანიზების ფორმა და ნაბიჯების თანმიმდევრობა.

მესამე: მასალის განაწილება. პარაგრაფის ყველა კითხვა და დავალება განაწილებულია აქტივობებზე. მასწავლებელს აღარ სჭირდება იმის გადაწყვეტა, რომელი კითხვა სად დაუსვას კლასს და რომელი დავალება მისცეს მოსწავლეებს საშინაოდ.

მეოთხე: დიფერენცირება და შეფასება. მითითებულია, რომელი ნაბიჯია რთული, რა მხარდაჭერაა საჭირო და რა ინსტრუმენტით მოწმდება მიღწეული შედეგი.

როგორ იკითხება სცენარი

სცენარის თერთმეტი სექცია ერთი თანმიმდევრობით არის დალაგებული. პირველი და მეორე სექცია პასუხობს კითხვას, რას ემსახურება გაკვეთილი; მეხუთე გვიჩვენებს, როგორ მიმდინარეობს იგი; მეექვსედან მერვემდე სექციები კი გვეუბნება, რა უნდა მოვამზადოთ და რა შევამოწმოთ. მეცხრედან მეთერთმეტემდე სექციები დამხმარეა და გაკვეთილის შემდეგ ან სემესტრის დაგეგმვისას უფრო გამოსადეგია.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს მესამე სექცია – წინარე ცოდნის გააქტიურება. მასში მითითებულია, რომელი პარაგრაფიდან რა ცოდნა გადმოჰყვება მოსწავლეს. თუ კლასმა ეს მასალა სხვა თანმიმდევრობით ან დიდი ხნის წინ გაიარა, მასწავლებელს გახსნის წინ მოკლე შეხსენება დასჭირდება.

როცა მომზადებისთვის მცირე დრო გაქვთ

თუ გაკვეთილამდე თხუთმეტი წუთი დაგრჩათ, ოთხი ნაბიჯი კმარა.

1. წაიკითხეთ მეორე სექცია და დაიმახსოვრეთ გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგები.
2. წაიკითხეთ მეხუთე სექცია და გამოიწერეთ, რა უნდა დაწეროთ დაფაზე გაკვეთილის დაწყებამდე: ცხრილის ან სქემის ბადე, საკვანძო კითხვა და ტერმინები.
3. გადახედეთ მეშვიდე სექციას და მოამზადეთ საშინაო დავალების ინსტრუქცია.
4. მოძებნეთ სახელმძღვანელოში ის წყაროები და რუკები, რომლებზეც სცენარი მიუთითებს, და დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს ისინი ხელთ ექნებათ.

რა არ არის სცენარში გათვალისწინებული

სცენარის დროის ბიუჯეტი მხოლოდ სასწავლო აქტივობებს ითვლის. მასში არ შედის საორგანიზაციო წუთები, დასწრების აღრიცხვა და საშინაო დავალების შემოწმება. თუ მასწავლებელი გაკვეთილს წინა დავალების განხილვით იწყებს, ამას დამატებითი დრო სჭირ-

დება და შესაბამისად რომელიმე აქტივობა უნდა შემცირდეს – პირველ რიგში დასკვნითი ნაწილის წერითი დავალება.

სცენარში არ არის გაწერილი მასწავლებლის სიტყვები. ნაბიჯებში აღწერილია, რას აკეთებს მასწავლებელი და რას მოსწავლე, ფორმულირება კი მასწავლებელს რჩება. გამონაკლისია საკვანძო კითხვები და მოსწავლისთვის განკუთვნილი ინსტრუქციები: ისინი იმ სახითაა მოცემული, როგორითაც კლასს მიეწოდება.

სცენარების სარეკომენდაციო ხასიათი

სცენარი ერთ შესაძლო გადაწყვეტას გვთავაზობს და არა ერთადერთს. მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს აქტივობა, გადაანაწილოს დრო, სხვა კითხვები შეარჩიოს პარაგრაფიდან ან საკუთარი, უკვე გამოცდილი მიდგომა გამოიყენოს.

ცვლილებისას სამი პირობის დაცვა რჩება მნიშვნელოვანი: გაკვეთილი სტანდარტის კონკრეტულ ინდიკატორს უნდა უკავშირდებოდეს; გაკვეთილის მიზანი უცვლელი უნდა დარჩეს; მოსწავლეს დამოუკიდებელი მუშაობისთვის საკმარისი დრო უნდა ჰქონდეს. თუ ეს სამი პირობა დაცულია, ნებისმიერი სხვა ცვლილება მასწავლებლის გადასაწყვეტია.

გაკვეთილის სცენარები

თემა 1. პიროვნება და ისტორია

შესავალი მასწავლებლისთვის

რას ემსახურება ეს თემა

სახელმძღვანელოს პირველი თემა 20 პარაგრაფს (1.1-1.20) მოიცავს და ქრონოლოგიურად ძვ. წ. IV- XX საუკუნეებს მოიცავს – ფარნავაზიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებამდე.

შინაარსობრივად თემა ხუთ ბლოკად იყოფა:

1. სახელმწიფოს შექმნა და გაერთიანება – ფარნავაზი (1.1), აფხაზთა მეფეები (1.4), დავით III დიდი და ბაგრატ III (1.5), დავით IV აღმაშენებელი (1.6);
2. აღმავლობა, მმართველობა და სამართალი – თამარ მეფე (1.7), გიორგი V ბრწყინვალე (1.9), ალექსანდრე I დიდი (1.10), ვახტანგ VI (1.15);
3. არჩევანი „დიდ ძალებს“ შორის – ფარსმანების ეპოქა (1.2), ვახტანგ გორგასალი (1.3), ლუარსაბ I, ბაგრატ III (1.11), სიმონ I (1.12), სოლომონ I (1.16), ერეკლე II (1.17);
4. რწმენისა და ღირსების ფასი – დემეტრე II თავდადებული (1.8), გიორგი სააკაძე (1.13), ქეთევან წამებული (1.14);
5. ეროვნული ცნობიერებიდან დამოუკიდებლობის აღდგენამდე – ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები (1.18), ივანე ჯავახიშვილი (1.19), ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები (1.20).

თემის მთავარი ღირებულებითი იდეა ისაა, რომ ისტორიული პიროვნების შეფასება ქებას ან გაკიცხვას არ ნიშნავს. შეფასება ანალიზია: რა ვითარებაში მოქმედებდა მმართველი, რა ალტერნატივა ჰქონდა, რა შედეგი გამოიღო მისმა გადაწყვეტილებამ მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში. რუბრიკა „მეცნიერის თვალსაზრისი“ მოსწავლეს აცნობს ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, შოთა მესხიას, მარიამ ლორთქიფანიძის, როინ მეტრეველისა და სხვა მკვლევართა მსჯელობას; რუბრიკა „წყარო“ კი ერთსა და იმავე მმართველზე ქართულ და უცხოურ ცნობებს უპირისპირებს – ფარსმან ქველის რომში ვიზიტს დიონ კასიოსიც აღწერს და ლეონტი მროველიც, სიმონ I-ის საგარეო კურსზე კი მისივე წერილი ფილიპე II-ისადმი მოწმობს.

პარაგრაფის სტრუქტურას კიდევ ორი თავისებურება აქვს, რომელიც დაგეგმვისას გასათვალისწინებელია. კითხვები პარაგრაფის ბოლოს არ არის თავმოყრილი – ისინი ქვეთავებს მოსდევს, ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვისას კითხვა თავის ქვეთავთან ერთად უნდა შეირჩეს. დავალებები კი პარაგრაფის ბოლოშია და ანალიტიკური ხასიათისაა („შეაფასეთ”, „გამოკვეთეთ”, „იმსჯელეთ ოთხი კრიტერიუმით”). ამას ემატება თხუთმეტი დანომრილი რუკა საძიებლით, რუბრიკები „ეს საინტერესოა“ და „ლექსიკონი”,ასევე მდიდარი ვიზუალური მასალა.

სტანდარტის სამიზნე ცნებებთან კავშირი

თემა ექვსივე სამიზნე ცნებას ეხება, მაგრამ არა თანაბრად, წამყვანია ორი.

პირველია „ისტორიული მოვლენა/პროცესი”. მოსწავლე აცნობიერებს, რომ ისტორიულ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი გამორჩეულ პიროვნებებს: მმართველებს, სარდლებს, რეფორმატორებსა და საზოგადო მოღვაწეებს ეკუთვნით, თუმცა, მათი მოქმედება იზოლირებული არ არის: ის ქვეყნის შიდა ვითარებითა და საერთაშორისო კონტექსტითაა გან-

პირობებული. აქვე მუშავდება ცნების ის ასპექტი, რომ ერთი და იმავე მოვლენის შეფასება თანადროული და დღევანდელი პერსპექტივიდან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამ განსხვავებას ახსნა სჭირდება.

მეორეა „ძალაუფლება". თემა მოსწავლეს ძალაუფლების ფორმების ევოლუციას აჩვენებს კონკრეტულ პიროვნებათა მოღვაწეობის მაგალითზე: ფარნავაზის საერისთავოებიდან და დავით აღმაშენებლის ცენტრალიზებული მმართველობიდან სამეფო-სამთავროებად დაშლამდე, იმპერიულ მმართველობამდე, საბჭოთა სისტემამდე და თანამედროვე დემოკრატიულ ინსტიტუტებამდე. აქვე იკვეთება საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის ხაზი – ვახტანგ გორგასლიდან და რუის-ურბნისის კრებიდან მოყოლებული.

დამხმარე ცნებები თემას ოთხი მიმართულებით ავსებს. „ისტორიული წყარო" – პიროვნების შესახებ ცნობები ხშირად სახოტბო ან ჰაგიოგრაფიული ჟანრისაა და მათი გამოყენება ავტორის მიზნის გააზრებას მოითხოვს. „საზოგადოება" – მმართველის რეფორმა სხვადასხვა სოციალურ ფენებს ეხებოდა. „სივრცე" – საგარეო-პოლიტიკური არჩევანი ქვეყნის მდებარეობიდან და სავაჭრო გზებზე კონტროლიდან გამომდინარეობდა. „დრო" – თემა ყველა ეპოქას მოიცავს და ისტორიული პიროვნება ყოველთვის კონკრეტულ პერიოდის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს.

სტანდარტის შედეგები და ინდიკატორები

თემა უპირატესად სტანდარტის შედეგი 6-ისა და შედეგი 5-ის მიღწევას ემსახურება; მათ დამატებით უკავშირდება: შედეგი 1, შედეგი 4, შედეგი 3 და შედეგი 2. აქტიურდება შემდეგი ინდიკატორები:

1. გამორჩეული ისტორიული პიროვნებების, მმართველების, სარდლების, რეფორმატორების, საზოგადო და კულტურის მოღვაწეების წვლილის შეფასება ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში – თემის ყველა პარაგრაფში, როგორც ძირითადი ინდიკატორი (შედეგი 6);

2. საქართველოს ისტორიის მოვლენის/პროცესის მიზეზებისა და შედეგების ახსნა ქვეყნის შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით – 1.2, 1.3, 1.6, 1.11, 1.17 (შედეგი 6);

3. მნიშვნელოვანი ბრძოლებისა და კონფლიქტების შეფასება საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის კონტექსტში – 1.6, 1.12, 1.16, 1.17, 1.20 (შედეგი 6);

4. მოვლენის მნიშვნელობის შეფასება როგორც თანადროული, ისე დღევანდელი პერსპექტივიდან, ამ შეფასებების შედარება და განსხვავების ახსნა – 1.8, 1.13, 1.14, 1.17 (შედეგი 6);

5. ვარაუდის გამოთქმა, როგორ განვითარდებოდა საქართველოს ისტორია მოვლენების განსხვავებული მსვლელობის შემთხვევაში – 1.3, 1.13, 1.17 (შედეგი 6);

6. მმართველობის სხვადასხვა ფორმის თავისებურებების განხილვა და შედარება – 1.1, 1.5, 1.9, 1.15, 1.20 (შედეგი 5);

7. ძალაუფლების ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესების ახსნა და ანალიზი – 1.6, 1.7, 1.10, 1.11 (შედეგი 5);

8. საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის ანალიზი – 1.3, 1.6, 1.14 (შედეგი 5);

9. ძალაუფლების სიმბოლოების შედარება – სამეფო ინსიგნიები, კურთხევის რიტუალი, ტიტულატურა, სახელმწიფო სიმბოლიკა – 1.5, 1.7, 1.9 (შედეგი 5);

10. მოსაზრების ჩამოყალიბება მმართველობის ეფექტიანობისა და სამართლიანობის შესახებ – 1.9, 1.15, 1.20 (შედეგი 5);

11. ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი განსხვავებული, მათ შორის ქართული და უცხოური წყაროების შედარება, მსგავსება-განსხვავებების იდენტიფიცირება და ახსნა – 1.1, 1.2, 1.12 (შედეგი 1);

12. წყაროს სანდოობის შეფასება ავტორის ვინაობის, მიზნის, თვითმხილველობისა და შექმნის დროის მიხედვით – 1.1, 1.8, 1.14 (შედეგი 1);

13. საქართველოს კონკრეტული ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით – 1.7, 1.15, 1.18 (შედეგი 4);

14. ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების როლის გაცნობიერება და შეფასება – 1.4, 1.6, 1.7 (შედეგი 4);

15. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობის შეფასება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში – სავაჭრო გზები, სტრატეგიული მდებარეობა, დიდ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთა – 1.2, 1.3, 1.10, 1.17 (შედეგი 3);

16. კონკრეტული თემის განვითარების ანალიზი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის მაგალითზე, ცვლილებების, მსგავსებებისა და განსხვავებების გამოსაყოფად – თემის შემაჯამებელ აქტივობებში (შედეგი 2).

ეს ინდიკატორები ორმაგ ფუნქციას ასრულებს: დაგეგმვისას აქტივობების ორიენტირია, შეფასებისას კი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები. კონკრეტული მითითებები თითოეული გაკვეთილის მოდელის მე-8 სექციაშია.

პრაქტიკული ორიენტირები მასწავლებლისთვის

1. პარაგრაფის მოცულობა ექვსიდან თექვსმეტ გვერდამდე მერყეობს, ამიტომ ერთი პარაგრაფი ერთ გაკვეთილს არ უდრის. მასწავლებლის წიგნი შერჩეულ პარაგრაფებზე სრულ სანიმუშო მოდელს გვთავაზობს; დანარჩენ მასალას მასწავლებელი ამ ნიმუშის მიხედვით ანაწილებს. დაყოფის ყველაზე საიმედო ორიენტირი თავად სახელმძღვანელოს ქვეთავებია.

2. მთავარი რისკი ის არის, რომ თემაზე მუშაობა ბიოგრაფიების სწავლებად არ გადაიქცეს. სტანდარტი შეფასებას ითხოვს და არა ცხოვრების აღწერას, ამიტომ ყოველი დასკვნა ტექსტიდან აღებულ კონკრეტულ ფაქტს უნდა ეყრდნობოდეს. სასარგებლოა ერთი და იმავე ჩარჩოს დაცვა ყველა პარაგრაფში: რა ვითარებაში მოქმედებდა პიროვნება, რა გადაწყვეტილება მიიღო, რა ალტერნატივა არსებობდა, რა შედეგი დადგა.

3. წყაროთა დიდი ნაწილი სახოტბო ან ჰაგიოგრაფიული ჟანრისაა. ეს ნაკლი კი არ არის, არამედ სასწავლო მასალა: ლეონტი მროველის მიერ ფარსმან ქველის დახასიათება ან „ქართლის ცხოვრების“ ტონი მეფეთა მიმართ სწორედ იმ კითხვას სვამს, რომელსაც სტანდარტის შედეგი 1 ითხოვს – ვინ წერს, რა მიზნით და როგორ აისახება ეს ტექსტზე.

4. თემაში რამდენიმე სადავო შეფასებაა – პირველ რიგში, გიორგი სააკაძის მოღვაწეობა და ერეკლე II-ის საგარეო კურსი. ისინი ერთი სწორი პასუხის სახით არ უნდა წარედგინოს კლასს. სახელმძღვანელო თავად ციტირებს მეცნიერთა განსხვავებულ პოზიციებს და ეს პირდაპირ ეხმიანება სტანდარტის მოთხოვნას მულტიპერსპექტიულობის შესახებ.

5. თხუთმეტი რუკა თემის სამუშაო ინსტრუმენტია და არა ილუსტრაცია. ტერიტორიის ცვლილება მმართველის მოღვაწეობის ერთ-ერთი გაზომვადი მაჩვენებელია, ამიტომ ორი რუკის შედარება (მაგალითად, ბაგრატ III-ისა და დავით IV-ის დროინდელი საქართველოს) ხშირად უფრო მეტ ინფორმაციას აწვდის მოსწავლეს, ვიდრე ტექსტი.

6. ბოლო პარაგრაფი უახლეს პერიოდს ეხება. მასწავლებელს შეუძლია ოჯახის წევრების მოგონება რესურსად გამოიყენოს, ოღონდ იმავე წესით, რომელიც სხვა წყაროზე ვრცელდება: ვინ ჰყვება, თვითმხილველია თუ არა და რით დასტურდება ნათქვამი.

7. თემაზე მუშაობისას განვითარებული უნარები: პიროვნების მოღვაწეობის კონტექსტში შეფასება, სახოტბო წყაროსთან კრიტიკული მუშაობა, მმართველობის ფორმების შედარება – კურსის დანარჩენ თემებშიც აქტიური რჩება.

1) 1.1. ფარნავაზი. ქართული მიწების პირველი გამაერთიანებელი

გაკვეთილის სანიმუშო მოდელი

გაკვეთილი ეთმობა პარაგრაფის იმ ნაწილს, სადაც ქართლის სამეფოს წარმოქმნის ორი განსხვავებული ვერსიაა მოცემული. მუშავდება მონაკვეთები „ლეონტი მროველი ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ", „ქართლის პირველი მეფის შესახებ „მოქცევაი ქართლისაის" ვერსია" და „ლეგენდები და სინამდვილე", ორივე რუბრიკა „წყარო" და მე-3-დან მე-9-მდე კითხვები.

1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნებები: „ისტორიული წყარო" – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ ერთსა და იმავე მოვლენას განსხვავებული წყაროები სხვადასხვანაირად წარმოაჩენენ. ქართლის სამეფოს წარმოქმნის ამბავი ორ ქართულ თხზულებაშია დაცული. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, აზო უცხოელი დამპყრობლის სარდალია; „მოქცევაი ქართლისაის" მიხედვით კი ქართული წარმოშობის მეფე. ორივე ტექსტი მოვლენებიდან საუკუნეების შემდეგაა შექმნილი, ამიტომ სანდოობაზე მსჯელობისას შექმნის დროსაც აქვს მნიშვნელობა. დამატებით მუშავდება ცნება „ძალაუფლება". ფარნავაზმა სამეფო რვა საერისთავოდ დაყო, სპასპეტის თანამდებობა დააწესა, ქართული სახელმწიფო ენად გამოაცხადა და არმაზი საერთო ღვთაებად დაასახელა. ეს პირველი ქართული სახელმწიფო ინსტიტუტებია.

სტანდარტის შედეგები: სტანდარტის შედეგი 1 – ისტორიული წყაროების გამოყენება საქართველოს ისტორიის შესასწავლად და განსხვავებული პერსპექტივების დასანახად. გაკვეთილი ამ შედეგის ორ ინდიკატორს ემსახურება: ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი განსხვავებული წყაროების შედარება და განსხვავების ახსნა; წყაროს სანდოობის შეფასება ავტორის ვინაობის, მიზნისა და შექმნის დროის მიხედვით. მუშავდება სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორიც – გამორჩეული ისტორიული პიროვნების წვლილის შეფასება ქართული სახელმწიფოს განვითარებაში.

2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა დაინახონ, რომ ქართლის სამეფოს წარმოქმნის შესახებ ჩვენი ცოდნა შუა საუკუნეების ორ თხზულებას ეყრდნობა და რომ ეს თხზულებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მოსწავლეები ჯერ ორივე წყაროს წაიკითხავენ და ცხრილში შეადარებენ, როგორ წარმოაჩენს თითოეული აზოსა და ფარნავაზს. შემდეგ პარაგრაფის ცნობებს ორ სვეტად დაახარისხებენ: რას ადასტურებს სხვა წყარო ან არქეოლოგიური მასალა და რა რჩება მხოლოდ გადმოცემად. გაკვეთილის ბოლო ნაწილი ფარნავაზის მოღვაწეობის შეფასებას ეთმობა: მოსწავლეები მის ღონისძიებებს ოთხ მიმართულებად აჯგუფებენ და თითოეულს კონკრეტულ შედეგს უკავშირებენ.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლე ასახელებს მინიმუმ ორ ფაქტორს, რომელსაც ისტორიკოსი წყაროს სანდოობაზე მსჯელობისას ითვალისწინებს;

2. მოსწავლე ერთმანეთისგან მიჯნავს დადასტურებულ ცნობასა და გადმოცემას და თითოეულ არჩევანს ერთი მტკიცებულებით ასაბუთებს;

3. მოსწავლე ასახელებს ფარნავაზის ღონისძიებებს ოთხივე მიმართულებით და თითოეულს უკავშირებს კონკრეტულ შედეგს;

4. მოსწავლე ასაბუთებს, რაში მდგომარეობს ფარნავაზის წვლილი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

3. წინარე ცოდნის გააქტიურება

საბაზო საფეხურზე მოსწავლეებმა უკვე ისწავლეს ფარნავაზისა და აზოს ამბავი. მათ იციან წყაროს ტიპები და ის, რომ პირველადი და მეორეული წყარო ერთმანეთისგან განსხვავდება. ასევე იციან, რომ ავტორის ვინაობასა და მიზანს წყაროს შეფასებისას მნიშვნელობა აქვს. მსოფლიო ისტორიის კურსიდან მოსწავლეებს ახსოვთ ალექსანდრე მაკედონელი, მისი იმპერიის დაშლა და ელინისტური სახელმწიფოები. ეს ცოდნა სელევკიდების მხარდაჭერისა და ანტიოქოსის მიერ გამოგზავნილი სამეფო ნიშნების გასაგებად დასჭირდებათ. თემის შესავალი გვერდიდან მათ ახსოვთ საკვანძო კითხვა პიროვნებისა და ისტორიის ურთიერთმიმართებაზე. მასწავლებელს ერთი კითხვით შეუძლია წინარე ცოდნის შემოწმება: რას ვეყრდნობით, როცა ვამბობთ, რომ ესა თუ ის ამბავი ნამდვილად მოხდა.

4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: პრობლემური კითხვა; წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; შედარების ცხრილის შევსება; ინფორმაციის დახარისხება ორ სვეტად; კრიტერიუმის ერთობლივი ჩამოყალიბება; ტექსტზე მუშაობა ჯგუფებში; შემაჯამებელი დისკუსია; გასასვლელი ბარათი; წყვილებში მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: ორი განსხვავებული ცნობა არ ნიშნავს, რომ ერთი მათგანი მოგონილია. მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს, დასკვნა მტკიცებულებას დაუკავშირონ. მეორე საკითხი ფარნავაზის რელიგიურ პოლიტიკას ეხება. მან არმაზი უზენაეს ღვთაებად გამოაცხადა, სხვა კერპების თაყვანისცემა კი არ აუკრძალავს. კლასი მსჯელობს, რა შედეგი მოჰყვა ამ ნაბიჯს დამარცხებული მხარის მიმართ.

კავშირი თანამედროვეობასთან: განსხვავებული ცნობების შემოწმება დღესაც იმავე კითხვებს ეყრდნობა: ვინ ავრცელებს ცნობას, რას ეყრდნობა და ადასტურებს თუ არა მას მეორე, დამოუკიდებელი წყარო. მასწავლებელს ეს პარალელი დასკვნით ნაწილში ერთი კითხვით გამოაქვს.

5. გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (7 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**ვინ იყო პირველი მეფე?**
დრო	7 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი
მეთოდი	პრობლემური კითხვა

მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე წერს ორ დებულებას: „ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი იყო“ და „ქართლში პირველად აზო გამეფდა, ფარნავაზი კი მის შემდეგ”. მოსწავლეები ვარაუდობენ, საიდან შეიძლება იყოს აღებული თითოეული ცნობა. 2. მასწავლებელი ამბობს, რომ ორივე დებულება ქართული თხზულებიდანაა: პირველი – „ქართლის ცხოვრებიდან”, მეორე – „მოქცევაი ქართლისაიდან”. შემდეგ სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას: რას აკეთებს ისტორიკოსი, როცა ორი წყარო ერთსა და იმავე მოვლენაზე სხვადასხვას ამბობს? 3. მოსწავლეები ორ-სამ ვარაუდს გამოთქვამენ. მასწავლებელი მათ დაფაზე წერს და მოსწავლეებს შეახსენებს, რომ გაკვეთილის ბოლოს ამ ვარაუდებს დაუბრუნდებიან.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეები მსჯელობენ ფარნავაზისა და აზოს შესახებ არსებული წყაროების სანდოობაზე და გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს.

ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**ორი მემატიანე ერთსა და იმავე მოვლენაზე**
დრო	12 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით, შედარების ცხრილის შევსება
მსვლელობა	1. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ლეონტი მროველის ტექსტს და ლექსიკონის სიტყვებს იქვე განმარტავს: სთულისა, არისანი, ქართლოსი. შემდეგ იკითხება „მოქცევაი ქართლისაის“ ამონარიდი. 2. წყვილები რვეულში ავსებენ სამსტრიქონიან ცხრილს ორი სვეტით. სტრიქონებში წერია: ვინ იყო აზო; ვინ იყო ქართლის პირველი მეფე; რას ამბობს ავტორი ფარნავაზზე. თითოეული პასუხი ტექსტიდან უნდა დასტურდებოდეს. 3. საერთო გადამოწმებისას მოსწავლეები პასუხობენ მე-5, მე-6 და მე-7 კითხვებს. მასწავლებელი ამატებს: „მოქცევაი ქართლისაი“ IX საუკუნის მატიანეა, ლეონტი მროველი კი XI საუკუნის ისტორიკოსი. ორივე ტექსტი აღწერილი მოვლენებიდან დაახლოებით ათასი წლის შემდეგ არის დაწერილი. კლასი ერთად ასახელებს, რას ითვალისწინებს ისტორიკოსი სანდოობაზე მსჯელობისას: ვინ არის ავტორი, რა მიზნით წერს, როდის იქმნება ტექსტი და ეყრდნობა თუ არა თვითმხილველის ცნობას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ორ ქართულ წყაროს ადარებს და განსხვავებას ასაბუთებს. მუშავდება პირველი, მე-2 და მე-3 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 1-ის ორივე ინდიკატორი.

აქტივობის სახელწოდება	**რა დასტურდება და რა რჩება გადმოცემად**
დრო	10 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ინფორმაციის დახარისხება ორ სვეტად, კრიტერიუმის ერთობლივი ჩამოყალიბება
მსვლელობა	1. მოსწავლეები კითხულობენ მონაკვეთს „ლეგენდები და სინამდვილე“ და ხუთ დებულებას ორ სვეტად ალაგებენ. სვეტების სახელებია „დასტურდება სხვა წყაროთი ან არქეოლოგიური მასალით“ და „ცნობილია მხოლოდ გადმოცემით”. დებულებები დაფაზეა ჩამოწერილი: ქართლის სამეფო ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე წარმოიქმნა; სამეფოს სათავეში ფარნავაზიანთა დინასტია იდგა; ქვეყანა საერისთავოებად დაიყო; ფარნავაზმა გამოქვაბულში განძი იპოვა და ხუთი დღე ეზიდებოდა; ალექსანდრე მაკედონელმა ქართლი დაიპყრო. 2. მოსწავლეები თითოეულ არჩევანს ასაბუთებენ. მასწავლებელი ბოლო დებულებაზე ცალკე ჩერდება: ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში არ ულაშქრია, თუმცა მისი დაპყრობების ამბავმა იმდროინდელ სამყაროზე დიდი გავლენა მოახდინა და ადგილობრივ გადმოცემებში აისახა. კლასი პასუხობს მე-8 და მე-9 კითხვებს. 3. მასწავლებელი კლასთან ერთად ორ კრიტერიუმს აყალიბებს. ცნობა დადასტურებულია, თუ მას სხვა, დამოუკიდებელი წყარო ან ნივთიერი მასალა ადასტურებს. გადმოცემად რჩება ის, რაც მხოლოდ ერთ თხრობაშია დაცული ან სხვა მონაცემებს ეწინააღმდეგება. კრიტერიუმები დაფაზე რჩება გაკვეთილის ბოლომდე.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ერთმანეთისგან მიჯნავს დადასტურებულ ცნობასა და გადმოცემას და არჩევანს მტკიცებულებით ასაბუთებს. მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი წყაროს სანდოობის შესახებ.

აქტივობის სახელწოდება	**ფარნავაზის ღონისძიებები**
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ჯგუფში (4-5 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ტექსტზე მუშაობა ჯგუფებში, ცხრილის შევსება დაფაზე

მსვლელობა	1. კლასი ოთხ ჯგუფად იყოფა. თითოეული ერთ მიმართულებას იღებს: სამხედრო, ადმინისტრაციული, კულტურულ-რელიგიური, დიპლომატიური. ჯგუფი ტექსტიდან ამოწერს ერთ-ორ ღონისძიებას და ერთი წინადადებით წერს, რა მისცა ამან სახელმწიფოს. 2. ჯგუფები რიგრიგობით ავსებენ დაფაზე გამზადებულ ოთხსვეტიან ცხრილს. მასწავლებელი აზუსტებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ტექსტში მოკლედაა ნახსენები: სპასპეტის თანამდებობას, ანტიოქოსის მიერ გამოგზავნილ სამეფო ნიშნებს და ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. 3. კლასი პასუხობს მე-3 და მე-4 კითხვებს. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ფარნავაზის მიერ შექმნილი საერისთავოების სისტემა შემდგომ საუკუნეებშიც დარჩა სახელმწიფოს მოწყობის საფუძვლად.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე პიროვნების მოღვაწეობას მიმართულებების მიხედვით აღწერს და თითოეულ ნაბიჯს კონკრეტულ შედეგს უკავშირებს. მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორი.

დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**რაზე თანხმდება ორი წყარო**
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი, შემდეგ ინდივიდუალურად
მეთოდი	შემაჯამებელი დისკუსია, გასასვლელი ბარათი
მსვლელობა	1. მასწავლებელი ბრუნდება გახსნის კითხვასთან და დაფაზე ჩაწერილ ვარაუდებთან. კლასი მსჯელობს: ისტორიკოსი ორ ცნობას ადარებს, თითოეულის სანდოობას აფასებს და ეძებს იმას, რაზეც ორივე თანხმდება. 2. მოსწავლეები ასახელებენ საერთოს: ორივე თხზულების მიხედვით ფარნავაზი ქართლის მეფე გახდა და სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ქართლის სამეფო. 3. მოსწავლეები ავსებენ გასასვლელ ბარათს ორი პასუხით: ერთი განსხვავება ორ წყაროს შორის და ერთი დასაბუთებული წინადადება ფარნავაზის წვლილზე.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე აჯამებს გაკვეთილის ორივე ხაზს – წყაროთა შედარებას და პიროვნების შეფასებას. გასასვლელი ბარათი მასწავლებელს აჩვენებს, ვის სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა საშინაო დავალებამდე.

6. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: ცხრილის შევსება ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრებას ეყრდნობა და საბაზისო დონეა. იმის ახსნა, რატომ განსხვავდება ორი ცნობა, უკვე დასკვნის გამოტანას მოითხოვს. დახარისხების აქტივობაში საბაზისო ნაბიჯი დებულების სვეტში

მოთავსებაა, გაღრმავებული კი – კრიტერიუმის დამოუკიდებლად ჩამოყალიბება. ჯგუფურ აქტივობაში დიპლომატიური მიმართულება ყველაზე მეტ დასკვნას მოითხოვს, რადგან ტექსტში პირდაპირ არ არის დასახელებული.

მხარდამჭერი სტრატეგიები: ორივე წყარო ძველი ქართულითაა გადმოცემული, ამიტომ მასწავლებელი უცნობ სიტყვებს იქვე განმარტავს. დაფაზე იწერება ორი თხზულების სახელი შექმნის საუკუნესთან ერთად, აგრეთვე ტერმინები მამასახლისი, ერისთავი, სპასპეტი და საერისთავო. ჩანაწერი გაკვეთილის ბოლომდე რჩება. შედარების ცხრილის პირველი სტრიქონი კლასთან ერთად ივსება ნიმუშად. ჯგუფებში როლები ნაწილდება: ვინ ეძებს ტექსტში, ვინ იწერს, ვინ წარადგენს.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება პარაგრაფის ტექსტით, ორი წერილობითი წყაროთი, რუკითა და ილუსტრაციებით: ახალგორის განძის ნივთები, ალექსანდრე მაკედონელის მონეტის ქართული მინაბაძი და „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის გვერდი. მონეტის მინაბაძი ელინისტურ სამყაროსთან კავშირის ნივთიერი კვალია. ხელნაწერის გვერდი კი მოსწავლეს აჩვენებს, როგორ გამოიყურება ძველი ტექსტი. ცოდნის წარმოჩენა შესაძლებელია ცხრილით, დაფაზე შევსებული სვეტით, ზეპირი არგუმენტით ან წერილობითი პასუხით.

7. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება: „დააჯგუფეთ ფარნავაზის მიერ გატარებული ღონისძიებები სამხედრო, ადმინისტრაციული, კულტურულ-რელიგიური და დიპლომატიური მიმართულებების მიხედვით; ახსენით, რატომ გაატარა ფარნავაზმა თითოეული და რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ სახელმწიფოს გაძლიერებისთვის”. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. გამოიყენეთ საკლასო მუშაობისას შევსებული ცხრილი და თითოეულ მიმართულებას დაამატეთ ერთი ღონისძიება, რომელიც კლასში არ დასახელებულა;

2. თითოეულ ღონისძიებას მიაწერეთ ორი-სამი წინადადება: რატომ გაატარა იგი ფარნავაზმა და რა შეიცვალა მის შედეგად;

3. დაასრულეთ ერთი აბზაცით: რომელი მიმართულება მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად და რატომ.

დავალება უკავშირდება მოსალოდნელ შედეგებს. მასწავლებელი აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ დასკვნით აბზაცში მოსაზრება ფაქტს უნდა ეყრდნობოდეს.

8. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: შედარების ცხრილი აჩვენებს, ამოიცნო თუ არა მოსწავლემ ორ წყაროს შორის არსებითი განსხვავება და დაასაბუთა თუ არა იგი ტექსტით. დებულებების დახარისხებისას ჩანს, ეყრდნობა თუ არა მოსწავლე მტკიცებულებას თუ ვარაუდით მოქმედებს. ჯგუფურ მუშაობაზე დაკვირვებით მასწავლებელი ამოწმებს, ახერხებს თუ არა მოსწავლე ღონისძიების შედეგთან დაკავშირებას. საერთო მსჯელობისას კი ხედავს, იყენებენ თუ არა მოსწავლეები დაფაზე ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი ორი პასუხით; შედარების ცხრილის შერჩევითი გადამოწმება წყვილებში მუშაობის დროს; დაკვირვება ჯგუფურ მუშაობასა და წარდგენაზე; დამაზუსტებელი კითხვები საერთო გადამოწმებისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი – ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი განსხვავებული წყაროების შედარება და განსხვავების ახსნა; ბ) სტანდარ-

ტის შედეგი 6-ის ინდიკატორი – გამორჩეული ისტორიული პიროვნების წვლილის შეფასება ქართული სახელმწიფოს განვითარებაში. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

9. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა: ორივე წყარო ძველი ქართული მწერლობის ნიმუშია. გაკვეთილი უკავშირდება სამიზნე ცნებებს „ტექსტი“ და „კონტექსტი“ – ავტორის მიზანი და ეპოქა განსაზღვრავს, როგორ არის ამბავი მოთხრობილი. გეოგრაფია: რუკა და საერისთავოების განლაგება მდინარეებთან და გზებთან მიმართებით სამეურნეო და სატრანზიტო ფაქტორებზე მსჯელობის საშუალებას იძლევა. მოქალაქეობა: სახელმწიფო ენისა და ერთიანი მმართველობის საკითხი უკავშირდება სახელმწიფო ინსტიტუტების ცნებას.

10. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. ორი წყაროს შედარებისას მოსწავლეებმა განსხვავება ტექსტით დაასაბუთეს თუ ზოგადი მოსაზრებით შემოიფარგლნენ?
2. დახარისხების აქტივობაში რომელი დებულება აღმოჩნდა ყველაზე სადავო და რა მიზეზით?
3. რომელ ჯგუფს გაუჭირდა ღონისძიების შედეგთან დაკავშირება და რა დახმარება დასჭირდებოდა?
4. გასასვლელი ბარათების მიხედვით, რამდენმა მოსწავლემ შეძლო ფარნავაზის წვლილის დასაბუთება და საჭიროა თუ არა ამ უნარზე დამატებითი მუშაობა?

11. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. „ქართლის ცხოვრება”, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ – ფარნავაზის შესახებ თხრობის სრული ტექსტი. მასწავლებელს დაეხმარება სახელმძღვანელოს ამონარიდის კონტექსტში დანახვაში.
2. „მოქცევაი ქართლისაი“ – შატბერდისა და ჭელიშის ხელნაწერების ტექსტები, სადაც აზოს შესახებ ვერსია სრულადაა წარმოდგენილი.
3. ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნი – ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკისა და ფარნავაზის ეპოქის შესახებ.
4. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ელექტრონული რესურსები – ახალგორის განძისა და ძვ. წ. IV-III საუკუნეების არქეოლოგიური მასალის კოლექციები.

2) 1.3. ვახტანგ გორგასალი. არჩევანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის

გაკვეთილი ეთმობა პარაგრაფის იმ ნაწილს, სადაც ვახტანგ გორგასლის საგარეო-პოლიტიკური და საეკლესიო ნაბიჯებია აღწერილი. მუშავდება მონაკვეთები „ვახტანგ გორგასლის მმართველობის დასაწყისი", „ვახტანგ გორგასალი ირანში" და „საეკლესიო რეფორმა", ჯუანშერის წყარო მეფისა და მთავარეპისკოპოსის დაპირისპირების შესახებ, დავით მუსხელიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისები და მე-11, მე-12, მე-13, მე-14 და მე-16 კითხვები.

1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნებები: „სივრცე (ტერიტორია, გარემო)" – გაკვეთილზე მუშავდება ცნების ის ასპექტი, რომ დიდ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთაზე ქვეყნის მდებარეობა განსაზღვრავს მმართველის საგარეო პოლიტიკურ არჩევანს. 387 წელს რომმა და ირანმა კავკასიაში გავლენის სფეროები გაინაწილეს და ქართლი ირანს ერგო. კავკასიის უღელტეხილები, პირველ რიგში, დარიალი, ორივე იმპერიას აინტერესებდა. ამიტომაც, ვახტანგ გორგასალი ჯერ ირანის მოკავშირედ გამოდის, შემდეგ კი მისი გავლენის შესუსტებას ცდილობს. დამატებით მუშავდება ცნება „ძალაუფლება". ეკლესიის ავტოკეფალია საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის საკითხია და მეფე მას სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გასამყარებლად იყენებს.

სტანდარტის შედეგები: სტანდარტის შედეგი 3 – გეოგრაფიული გარემოს როლის გააზრება საქართველოს ისტორიულ განვითარებაში. გაკვეთილი ამ შედეგის იმ ინდიკატორს ემსახურება, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობის შეფასებას ითვალისწინებს სტრატეგიული მდებარეობისა და დიდ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთის კუთხით. მუშავდება სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორიც – საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის ანალიზი. მესამე აქტივობაში აქტიურდება სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი, რომელიც წყაროსა და მასზე დაფუძნებულ დასკვნას ეხება.

2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა დაინახონ, რომ ვახტანგ გორგასლის ერთი შეხედვით ურთიერთსაწინააღმდეგო ნაბიჯები ერთ მიზანს ემსახურებოდა. მეფე ირანის მოკავშირედ ლაშქრობს და ამავდროულად ირანელ მოგვებს აძევებს ქვეყნიდან; ბიზანტიას კლარჯეთს ართმევს და იქვე ბიზანტიიდან სასულიერო პირებს იწვევს. მოსწავლეები ჯერ ტექსტიდან ამოკრებენ მეფის ნაბიჯებს და ორ სვეტად დაალაგებენ. შემდეგ ჯუანშერის თხზულებაზე დაყრდნობით განიხილავენ მეფისა და მთავარეპისკოპოსის დაპირისპირებას და გაარკვევენ, რატომ იყო ეკლესიის ავტოკეფალია სახელმწიფოებრივი საკითხი. მესამე აქტივობაში ისინი მეცნიერის თვალსაზრისს დაამუშავებენ და დაინახავენ, სად მთავრდება კონკრეტული ისტორიული ცნობა და სად იწყება მეცნიერული ვარაუდი. გაკვეთილი სრულდება იმაზე მსჯელობით, თუ რა სარგებელი მიიღო და რა დათმო ქართლმა ირანთან დადებული ზავით.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლე ხსნის, რატომ აღმოჩნდა ქართლი V საუკუნეში ორი იმპერიის ინტერესთა გადაკვეთაზე და ასახელებს 387 წლის ხელშეკრულების ერთ შედეგს;

2. მოსწავლე ხსნის, რა მიზანს ემსახურებოდა დარიალის კარზე კონტროლის დაწესება და ასახელებს ორ მხარეს, რომელსაც ეს კონტროლი აინტერესებდა;

3. მოსწავლე წყაროზე დაყრდნობით ასახელებს მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის მიზეზს და ასაბუთებს ეკლესიის ავტოკეფალიის მნიშვნელობას;

4 მოსწავლე მეცნიერის პოზიციის გაცნობისას გამოყოფს დასკვნასა და მის საფუძველს და ასახელებს იმ მონაცემს, რომლითაც ავტორი ვარაუდს გამოხატავს;

3. წინარე ცოდნის გააქტიურება

პარაგრაფის პირველი მონაკვეთებიდან მოსწავლეებმა იციან, რომ 387 წელს რომმა და ირანმა კავკასიაში გავლენის სფეროები გაინაწილეს და ქართლი ირანს ერგო. ასევე იციან, რომ ვახტანგის მცირეწლოვნების დროს ქართლში მაზდეანობის დაშვება იქცა იმ ფასად, რომლითაც სამეფო ხელისუფლება შენარჩუნდა. საბაზო საფეხურიდან მათ ახსოვთ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება IV საუკუნეში და ის, რომ რწმენის საკითხი ქართლში პოლიტიკურ საკითხადაც განიხილებოდა. მსოფლიო ისტორიის კურსიდან იციან, რა იყო სასანიდური ირანი და ბიზანტიის იმპერია და როგორ დაეცა დასავლეთ რომის იმპერია 476 წელს. პარაგრაფ 1.1-იდან კი იციან: წყაროს ავტორის მიზნის გათვალისწინება და დადასტურებული ცნობის გამიჯვნა ვარაუდისგან. მასწავლებელს გაკვეთილის დაწყებისას ერთი კითხვით შეუძლია წინარე ცოდნის შემოწმება: რა ვალდებულებები ჰქონდა ქართლს ირანის მიმართ ვახტანგის გამეფებამდე.

4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: სასწავლო სიტუაციის ანალიზი; ორსვეტიანი სქემის შევსება ტექსტიდან ამოკრებილი მასალით; მონიშვნით კითხვა ორი ფერით; წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით; მეცნიერის მსჯელობის ანალიზი მოცემული კითხვებით; არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირება; მოკლე წერითი შეჯამება; წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: მმართველის გადაწყვეტილება იმ პირობების მიხედვით უნდა შეფასდეს, რომელშიც ის მიიღეს. ვახტანგ გორგასალმა ირანელთა უზენაესობა აღიარა და სამხედრო ვალდებულებაც აიღო. სანაცვლოდ ქვეყანამ რელიგიურ საკითხებში ჩაურევლობა მიიღო. მასწავლებელი კლასს ორმხრივ მსჯელობას სთავაზობს და ერთმნიშვნელოვან შეფასებას თავს არიდებს. მეორე საკითხი წყაროს ავტორს ეხება. ჯუანშერის თხზულებაში მეფე თავშეკავებულადაა წარმოჩენილი, თხზულების მიზანი კი მეფის დადებითი სახის შექმნაა. მოსწავლემ ეს ტექსტის კითხვისას უნდა გაითვალისწინოს.

კავშირი თანამედროვეობასთან: სატრანზიტო გზებსა და გადმოსასვლელებზე კონტროლი დღესაც განსაზღვრავს ქვეყნის მნიშვნელობას მეზობლებისთვის. მასწავლებელს ეს პარალელი პირველ აქტივობაში ერთი კითხვით გამოაქვს: რატომ რჩება მთის გადმოსასვლელი სტრატეგიულ ობიექტად მაშინაც, როცა სამხედრო ტექნიკა შეიცვალა.

5. გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (7 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**ორი იმპერია, ერთი სამეფო**
დრო	6 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	სასწავლო სიტუაციის ანალიზი

მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე წერს სამ პირობას, რომელშიც V საუკუნის შუა ხანების ქართლის მეფე იმყოფებოდა: ქვეყანა ფორმალურად ირანის ქვეშევრდომია; მეფე ვალდებულია, ჯარი ირანის ომებში გაგზავნოს; ქვეყანაში მაზდეანობის გავრცელება ოფიციალურად დაშვებულია. 2. წყვილები ფიქრობენ და ასახელებენ, რა საშუალება რჩება ასეთ პირობებში მმართველს ქვეყნის ინტერესის დასაცავად. მასწავლებელი ორ-სამ პასუხს დაფაზე იწერს. 3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას: როგორ იცავდა ვახტანგ გორგასალი ქართლის ინტერესს ორ იმპერიას შორის? კლასი ამ კითხვას გაკვეთილის ბოლოს დაუბრუნდება.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე მეფის ნაბიჯებს თავიდანვე იმ შეზღუდვების ფონზე აღიქვამს, რომელშიც ისინი გადაიდგა.

ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**ირანთან ურთიერთობა**
დრო	12 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ტექსტზე მუშაობა, ორსვეტიანი სქემის შევსება
მსვლელობა	1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთებს „ვახტანგ გორგასლის მმართველობის დასაწყისი“ და „ვახტანგ გორგასალი ირანში”. რვეულში ავსებენ ორსვეტიან სქემას: ერთი სვეტი ირანთან თანამშრომლობის ნაბიჯებისთვის, მეორე – ირანის გავლენის შესუსტების ნაბიჯებისთვის. თითოეულ სვეტში მოსწავლეები აკეთებენ მინიმუმ სამ ჩანაწერს. 2. მასწავლებელი დაფაზე ავსებს იმავე სქემას. პირველ სვეტში ხვდება ალანების წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა, ირანელთა უზენაესობის აღიარება და მისი დასახმარებლად რამდენიმეწლიანი ლაშქრობა. მეორეში – ირანელი დამხმარე ჯარის უკან გაბრუნება, დასავლეთ საქართველოს შემოერთება, კლარჯეთის შემოერთება და არტანუჯის ციხის აგება, ბინქარანისა და მოგვების გაძევება. 3. კლასი პასუხობს მე-11 და მე-12 კითხვებს. მასწავლებელი დარიალის კარზე ჩერდება: ალანების წინააღმდეგ ლაშქრობა ქართლისთვისაც სასარგებლო იყო და ირანისთვისაც, რადგან ორივეს გადმოსასვლელის კონტროლი აინტერესებდა. მოკავშირეობა აქ ინტერესთა დროებით დამთხვევას ნიშნავს და არა დამორჩილებას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე მეფის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ორი მიმართულებით ალაგებს და ხედავს, რომ ისინი ერთ მიზანს ემსახურება. მუშავდება პირველი, მე-2 და მე-3 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 3-ის ინდიკატორი.

აქტივობის სახელწოდება	**მეფე და მთავარეპისკოპოსი**
დრო	11 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	მონიშვნით კითხვა ორი ფერით, წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით
მსვლელობა	1. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ჯუანშერის ტექსტს მეფესა და მთავარეპისკოპოს მიქაელს შორის დაპირისპირების შესახებ. წყვილები ტექსტში ორი ფერით მონიშნავენ: ერთით – რას აკეთებს და რას ამბობს მთავარეპისკოპოსი, მეორეთი – როგორ პასუხობს მეფე. 2. მოსწავლეები პასუხობენ მე-14 კითხვას და ასახელებენ კონფლიქტის მიზეზს: მეფემ მოციქული ბიზანტიაში კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მოსაყვანად გაგზავნა, რაც მთავარეპისკოპოსის მდგომარეობას პირდაპირ ეხებოდა. მასწავლებელი აზუსტებს, რომ ტექსტი ჯუანშერისაა და მისი მიზანი მეფის დადებითი სახის წარმოჩენაა. 3. კლასი პასუხობს მე-13 კითხვას. მსჯელობა ორ არგუმენტამდე მიდის: ეკლესიის მეთაური, რომელიც სხვა ქვეყანას ემორჩილება, მის პოლიტიკურ გავლენას განიცდის; საკუთარი კათალიკოსი კი ქვეყნის სუვერენიტეტს აძლიერებს. ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისზე დაყრდნობით ფიქსირდება, რომ სწორედ ვახტანგის მეფობაში ჩამოყალიბდა ქართული ეკლესიის მეთაურის ახალი სტატუსი.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე წყაროდან ამოიცნობს კონფლიქტის მიზეზს და ეკლესიის ავტოკეფალიას სახელმწიფოებრივ საკითხად აფასებს. მუშავდება მე-4 და მე-5 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორი.

აქტივობის სახელწოდება	**სად მთავრდება ცნობა და სად იწყება ვარაუდი**
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ჯგუფში (4-5 მოსწავლე), შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	მეცნიერის მსჯელობის ანალიზი მოცემული კითხვებით

მსვლელობა	1. ჯგუფები კითხულობენ დავით მუსხელიშვილის თვალსაზრისს დასავლეთ საქართველოს შემოერთების შესახებ და პასუხობენ სამ კითხვას: რა ცნობას ეყრდნობა მეცნიერი? რა დასკვნამდე მიდის? რომელი გამონათქვამი აჩვენებს, რომ მისი დასკვნა შეიძლება ვარაუდი იყოს? 2. ჯგუფები პასუხებს წარადგენენ. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მეცნიერი ორ ცნობას აჯერებს – ჯუანშერის დასახელებულ ერისთავებს და ლაშქრობის ხანგრძლივობას და მხოლოდ ამის შემდეგ ასახელებს თარიღს. 3. მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს, რომ იმავე პარაგრაფში ვახტანგის გარდაცვალების თარიღიც სადავოა. კლასი აყალიბებს მოსაზრებას, თუ რატომ არის მეცნიერული ვარაუდი კვლევის ნაწილი.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე გამოყოფს დასკვნასა და მის საფუძველს და ვარაუდს ფაქტისგან მიჯნავს. მუშავდება მე-6 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი.

დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**რა მიიღო და რა დათმო ქართლმა**
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	მოკლე წერითი შეჯამება, არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირება
მსვლელობა	1. მოსწავლეები რვეულში ორ სვეტად წერენ ზავის შედეგებს. ქართლმა მიიღო რელიგიურ საქმეებში ჩაურევლობა და მოგვების გაწვევა; დათმო – აღიარა ირანელთა უზენაესობა და სამხედრო ვალდებულება იკისრა. 2. მასწავლებელი სვამს კითხვას: ეს ზავი წარმატება იყო თუ დათმობა? ორი-სამი მოსწავლე ასახელებს პასუხს და არგუმენტს. მასწავლებელი ერთმნიშვნელოვან შეფასებას არ აძლევს კლასს, მაგრამ მოითხოვს, რომ თითოეული პოზიცია ტექსტში მოცემულ ფაქტს ეყრდნობოდეს.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე გადაწყვეტილებას ორმხრივად აფასებს და პოზიციას ფაქტით ასაბუთებს. მუშავდება მე-7 მოსალოდნელი შედეგი. მსჯელობა ამზადებს საშინაო დავალებას.

6. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: ორსვეტიანი სქემის შევსება ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრებას ეყრდნობა და საბაზისო დონეა. უფრო რთულია იმის ახსნა, რატომ ხვდება ალანების წინააღმდეგ ლაშქრობა თანამშრომლობის სვეტში მაშინ, როცა ის ქართლის ინტერესსაც ემსახურებოდა. წყაროს მონიშვნა საბაზისო ნაბიჯია, ავტორის მიზნის გათვალისწინე-

ბა კი გაღრმავებული. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი კლასს/მოსწავლეთა ნაწილს მე-16 კითხვას სთავაზობს: რატომ ვერ შეძლო სასანიდურმა ირანმა ქართლის სრული დამორჩილება? პასუხი რამდენიმე ფაქტორის შეჯერებას მოითხოვს.

მხარდამჭერი სტრატეგიები: ჯუანშერის ტექსტი ძველი ქართულის ელემენტებს შეიცავს, ამიტომ მასწავლებელი მას ხმამაღლა კითხულობს და უცნობ სიტყვებს იქვე განმარტავს. დაფაზე იწერება ტერმინები მოგვი, პიტიახში, კათალიკოსი, ავტოკეფალია. ორსვეტიანი სქემის თითო ჩანაწერი კლასთან ერთად ივსება ნიმუშად. მეცნიერის თვალსაზრისზე მუშაობის სამივე კითხვა დაფაზე რჩება. ჯგუფებში როლები ნაწილდება: ვინ კითხულობს, ვინ იწერს, ვინ წარადგენს.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება პარაგრაფის ტექსტით, ჯუანშერის ამონარიდით, ორი მეცნიერის მსჯელობით, მე-5 რუკითა და ილუსტრაციებით: სასანიდური ვერცხლის თასით, ჯუანშერის თხზულების ხელნაწერითა და ვახტანგ გორგასლის სვეტიცხოვლის ფრესკის ასლით. მე-5 რუკა პირველ აქტივობას ემსახურება – მასზე ჩანს დარიალი და სხვა უღელტეხილები, აგრეთვე ის ტერიტორიები, რომლებიც მეფემ შემოიერთა. ნასწავლის წარმოჩენა შესაძლებელია სქემით, მონიშნული ტექსტით, ზეპირი არგუმენტით ან წერილობითი შეჯამებით.

7. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული მე-2 დავალება: „ვახტანგ გორგასალი ერთდროულად მონაწილეობდა ირანის ლაშქრობებში, იბრძოდა ბიზანტიის წინააღმდეგ კლარჯეთისთვის და ბიზანტიის პატრიარქის დახმარებით ეკლესიის ავტოკეფალია მოიპოვა. ახსენით, რა მიზანს ემსახურებოდა მისი თითოეული ნაბიჯი. თქვენი აზრით, რომელი მიმართულება იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. სამივე ნაბიჯი ცალ-ცალკე განიხილეთ და თითოეულზე ორი-სამი წინადადებით ახსენით, რა მიზანს ემსახურებოდა იგი; საფუძვლად გამოიყენეთ საკლასო მუშაობისას შევსებული სქემა;

2. თითოეულ ახსნაში დაასახელეთ ერთი კონკრეტული ფაქტი მაინც: თარიღი, ტერიტორია, პიროვნება ან შეთანხმების პირობა;

3. დაასრულეთ ერთი აბზაცით: რომელი მიმართულება მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად და რა შედეგი მოუტანა მან სახელმწიფოს.

დავალება უკავშირდება მე-2 შედეგს. პარაგრაფის პირველი დავალება მთელ პარაგრაფს მოიცავს, მათ შორის ეკონომიკურ და ურბანულ მიმართულებას, ამიტომ ის პარაგრაფის დასრულების შემდეგ ეძლევა მოსწავლეებს.

8. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: ორსვეტიანი სქემა აჩვენებს, ამოიცნო თუ არა მოსწავლემ მეფის ნაბიჯების მიმართულება და დაასაბუთა თუ არა იგი ტექსტით. წყაროს მონიშვნისას ჩანს, გამოჰყოფს თუ არა იგი მხარეთა არგუმენტებს. მეცნიერის მსჯელობაზე მუშაობისას მასწავლებელი ამოწმებს, ახერხებს თუ არა მოსწავლე დასკვნისა და მისი საფუძვლის გამიჯვნას. დასკვნით ნაწილში კი ჩანს, ეყრდნობა თუ არა გამოთქმული პოზიცია ფაქტს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ორსვეტიანი სქემის შერჩევითი გადამოწმება წყვილებში მუშაობის დროს; ჯგუფების წარდგენა სამ კითხვაზე; დასკვნითი ნაწილის წერითი შეჯამება რვეულში; დამაზუსტებელი კითხვები საერთო მსჯელობისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) სტანდარტის შედეგი 3-ის ინდიკატორი – საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობის შეფასება სტრატეგიული მდებარეობისა და დიდ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთის გათვალისწინებით; ბ) სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორი – საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის ანალიზი. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

9. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა: ჯუანშერის თხზულება საისტორიო მწერლობის ნიმუშია და აჩვენებს, როგორ განსაზღვრავს ავტორის მიზანი ტექსტის ტონს. ეს პირდაპირ უკავშირდება სამიზნე ცნებებს „ტექსტი“ და „კონტექსტი”. აქვე შესაძლებელია კავშირი „შუშანიკის წამებასთან”, რომლის მთავარი ისტორიული პირი, ვარსქენი, ამავე პარაგრაფშია ნახსენები. გეოგრაფია: კავკასიის უღელტეხილები და სავაჭრო გზები რელიეფისა და სატრანზიტო ფუნქციის კავშირზე მსჯელობის საშუალებას იძლევა. მოქალაქეობა: სახელმწიფოსა და რელიგიური ინსტიტუტის ურთიერთობა თანამედროვე კონტექსტშიც განიხილება.

10. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. ორსვეტიანი სქემის შევსებისას რომელი ნაბიჯი აღმოჩნდა ყველაზე სადავო და რა მიზეზით?
2. მოსწავლეებმა ეკლესიის ავტოკეფალია სახელმწიფოებრივ საკითხად აღიქვეს თუ მხოლოდ საეკლესიო დავად?
3. რამდენმა ჯგუფმა იპოვა ვარაუდის აღმნიშვნელი გამოთქმა დამოუკიდებლად და საჭიროა თუ არა ამ ნაბიჯის გამეორება მომდევნო წყაროზე?
4. დასკვნით ნაწილში გამოთქმული პოზიციები ფაქტს ეყრდნობოდა თუ ზოგად შთაბეჭდილებას?

11. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ჯუანშერ ჯუანშერიანი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ – თხზულების სრული ტექსტი „ქართლის ცხოვრებაში”. მასწავლებელს დაეხმარება სახელმძღვანელოს ამონარიდების კონტექსტში დანახვაში.
2. იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება“ – V საუკუნის თანადროული თხზულება, რომელიც ვარსქენისა და იმდროინდელი ქართლის ვითარების უფრო ზუსტ წარმოდგენას იძლევა.
3. ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნი – ქართული ეკლესიის ორგანიზაციისა და V საუკუნის მოვლენების შესახებ.
4. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები”, ტომი II – სასანიდურ ირანთან ურთიერთობისა და ვახტანგ გორგასლის ეპოქის მიმოხილვა, სადაც თარიღებთან დაკავშირებული დისკუსიაცაა წარმოდგენილი.

3) 1.6. დავით IV აღმაშენებელი. ერთიანი კავკასიის შემქმნელი

გაკვეთილი ეთმობა პარაგრაფის იმ ნაწილს, სადაც სამეფო ხელისუფლების განმტკიცებაა აღწერილი. მუშავდება მონაკვეთები „ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯები", „რუის-ურბნისის საეკლესიო კრება" და „ადმინისტრაციული და სამხედრო რეფორმა", რუის-ურბნისის კრების დადგენილებისა და ყივჩაყთა ჩამოსახლების წყაროები, აგრეთვე პირველი და მე-5-დან მე-10-მდე კითხვები.

1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნებები: „ძალაუფლება" – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ ცენტრალიზაცია ინსტიტუტების შექმნით მიიღწევა და არა მმართველის ნებით. დავით IV-მ ოთხი ნაბიჯი გადადგა: გააუქმა ბაღვაშთა საერისთავო, მოიწვია რუის-ურბნისის კრება, დააწესა ვაზირის თანამდებობა და ჩამოაყალიბა მეფისადმი დაქვემდებარებული ჯარი. ეს ერთი პროცესის ოთხი მხარეა. აქვე ჩანს საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობა: ეკლესიის შიდა წესრიგის აღდგენა სახელმწიფოებრივ ამოცანად იქცევა. დამატებით მუშავდება ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი". შიდა გამაგრება იმ საერთაშორისო ვითარებას დაემთხვა, რომელიც სელჩუკთა იმპერიის დასუსტებამ და ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა შექმნა.

სტანდარტის შედეგები: სტანდარტის შედეგი 5 – ძალაუფლების ფორმებისა და მმართველობის სისტემების ევოლუციის გააზრება საქართველოს ისტორიაში. გაკვეთილი ამ შედეგის იმ ინდიკატორს ემსახურება, რომელიც ძალაუფლების ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესების ახსნას ითვალისწინებს. მეორე აქტივობაზე აქტიურდება იმავე შედეგის კიდევ ერთი ინდიკატორი – საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის ანალიზი. მუშავდება სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორიც – მოვლენის მიზეზებისა და შედეგების ახსნა ქვეყნის შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით.

2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა დაინახონ, რომ დავით IV-ის სამხედრო წარმატებებს წინ უძღოდა ხელისუფლების შიდა გამაგრება. მოსწავლეები ექსპერტთა ჯგუფებში დაამუშავებენ ოთხ მიმართულებას: ბრძოლას დიდებულთა თვითნებობის წინააღმდეგ, საეკლესიო კრებას, ადმინისტრაციულ და სამხედრო რეფორმას. თითოეულ ჯგუფს ერთი და იგივე სამი კითხვა ექნება – რა პრობლემას პასუხობდა ნაბიჯი, რა გაკეთდა კონკრეტულად და როგორ გაიზარდა ამით მეფის ძალაუფლება. შემდეგ კლასი რუის-ურბნისის კრების დადგენილებას დაამუშავებს და თითოეულ კანონს იმ პრობლემას დაუკავშირებს, რომლის აღმოსაფხვრელადაც იყო შედგენილი. ბოლო აქტივობაზე მოსწავლეები ააგებენ ჯაჭვს, რომელიც შიდა რეფორმებს საგარეო წარმატებებთან აკავშირებს.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლე ასახელებს ოთხივე მიმართულებას, რომლითაც დავით IV-მ სამეფო ხელისუფლება განამტკიცა და თითოეულს ერთი ღონისძიებით ახასიათებს;

2. მოსწავლე ხსნის, რა პრობლემას პასუხობდა ბაღვაშთა საერისთავოს გაუქმება და ასახელებს ამ ნაბიჯის ორ შედეგს;

3. მოსწავლე ხსნის, რატომ გახდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა მეფის საყრდენი;

4. მოსწავლე აღწერს ყივჩაყთა ჩამოსახლების პირობებსა და მიზანს და ასახელებს ამ გადაწყვეტილების ერთ სარგებელსა და ერთ რისკს;

5. აჯამებს როგორ შეუწყო ხელი ადმინისტრაციულმა, საეკლესიო და სამხედრო რეფორმებმა ქვეყნის საგარეო წარმატებას.

3. წინარე ცოდნის გააქტიურება

მსოფლიო ისტორიის კურსიდან მოსწავლეებს ახსოვთ ჯვაროსნული ლაშქრობების დასაწყისი და სელჩუკთა იმპერიის დასუსტება მალიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ. საბაზო საფეხურიდან მოსწავლეებს აქთ ზოგადი წარმოდგენა დავით აღმაშენებელსა და დიდგორის ბრძოლაზე; პარაგრაფ 1.1-იდან მოსწავლეებს ახსოვთ ფარნავაზის შექმნილი საერისთავოების სისტემა; მასწავლებელს გახსნის წინ ერთი კითხვით შეუძლია წინარე ცოდნის შემოწმება: რა შეიცვალა ქვეყნის საგარეო მდგომარეობაში 1099 წელს?

4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: პრობლემების დალაგება მნიშვნელობის მიხედვით; ექსპერტთა ჯგუფებში მუშაობა; ჯგუფის დასაბუთებული წარდგენა; ნორმატიული ტექსტის ანალიზი; შესაბამისობის დადგენა პრობლემასა და გადაწყვეტილებას შორის; მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის აგება; წერითი არგუმენტის შედგენა; წყვილებში მუშაობა.

წყაროებს მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ, ჯგუფის პასუხი დასაბუთებული მტკიცების სახით ყალიბდება, მუშაობის საბოლოო პროდუქტი კი წერითი არგუმენტია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: საეკლესიო კრების დადგენილებები აჩვენებს, რომ თანამდებობაზე დანიშვნის წესი და ასაკობრივი ზღვარი ნათესაური კავშირისა და ქრთამის ალტერნატივა იყო. მასწავლებელი ამ საკითხს განზოგადებული წესის უპირატესობის კუთხით განიხილავს. მეორე საკითხი ყივჩაყთა ჩამოსახლებას ეხება: ორმოცი ათასი მეომრისა და მათი ოჯახების ჩამოსახლება ქვეყანას სამხედრო ძალას მატებდა და ამავე დროს მშვიდობიანი თანაცხოვრების ამოცანას აყენებდა დღის წესრიგში. მასწავლებელი კლასს სთავაზობს, საკითხი ორივე მხარის პოზიციიდან განიხილოს და ერთმნიშვნელოვან შეფასებას თავს არიდებს.

კავშირი თანამედროვეობასთან: თანამდებობაზე დანიშვნის წესები, კვალიფიკაციისა და ასაკის მოთხოვნა დღესაც სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის საფუძველია. მასწავლებელს ეს პარალელი მესამე აქტივობაზე ერთი კითხვით გამოაქვს.

5. გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (7 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**რა უშლიდა ხელს მეფეს**
დრო	7 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	პრობლემების დალაგება მნიშვნელობის მიხედვით

მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე წერს ოთხ დებულებას, რომელიც 1089 წლის ქვეყნის მდგომარეობას ახასიათებს: დიდებულები ცენტრალურ ხელისუფლებას არ ემორჩილებიან; საეკლესიო თანამდებობებზე უღირსი პირები ინიშნებიან; ჯარი მორალურად დაცემულია; ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი მეფის ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება. 2. წყვილები მსჯელობენ და ალაგებენ ამ პრობლემებს იმის მიხედვით, რომელი მიაჩნიათ ყველაზე სახიფათოდ. ორი-სამი წყვილი ასახელებს პირველ ადგილზე დაყენებულ პრობლემას და ასაბუთებს არჩევანს. 3. მასწავლებელი სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას: „როგორ განიმტკიცა დავით IV-მ სამეფო ხელისუფლება? მასწავლებელი აღნიშნავს, რომ დავით IV-მ ოთხივე პრობლემის გადაჭრა სცადა. გაკვეთილის ბოლოს კლასი შეამოწმებს, შეიცვალა თუ არა მისი შეხედულება იმაზე, რომელი პრობლემა იყო ყველაზე მძიმე.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე გაკვეთილს კონკრეტული პრობლემების ჩამონათვალით იწყებს და მეფის ნაბიჯებს მათზე პასუხად აღიქვამს.

ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**ოთხი რეფორმა**
დრო	16 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ჯგუფში, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ექსპერტთა ჯგუფებში მუშაობა, ჯგუფის პოზიციის დასაბუთებული წარდგენა
მსვლელობა	1. კლასი ოთხ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი მუშაობს ლიპარიტ ბაღვაშის ეპიზოდსა და კლდეკარის საერისთავოს გაუქმებაზე. მეორე – რუის-ურბნისის კრებაზე. მესამე – ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის სახელოების გაერთიანებაზე. მეოთხე – მონასპასა და ყივჩაყთა ჩამოსახლებაზე; ეს ჯგუფი შესაბამის წყაროსაც კითხულობს. 2. თითოეული ჯგუფი პასუხობს სამ კითხვას: რა პრობლემას პასუხობდა ეს ნაბიჯი? რა გაკეთდა კონკრეტულად? როგორ გაიზარდა ამით მეფის ძალაუფლება? 3. ჯგუფი პასუხს ორი დასაბუთებული წინადადებით წარადგენს: პირველში – პრობლემა და მისი გადაწყვეტა, მეორეში – შედეგი მეფის ხელისუფლებისთვის. მასწავლებელი დაფაზე ავსებს ცხრილს ოთხი სტრიქონითა და სამი სვეტით. მესამე და მეოთხე ჯგუფი პასუხობს მე-9 კითხვას, მეოთხე – მე-10 კითხვასაც. მასწავლებელი აზუსტებს, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ბერი და ეპისკოპოსი იყო და საკუთარი მამულის გაძლიერებით არ იყო დაინტერესებული; სწორედ ამიტომ იქცა იგი მეფის საყრდენად.

მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ცენტრალიზაციას ოთხი ურთიერთდაკავშირებული ნაბიჯის სახით ხედავს და თითოეულს კონკრეტულ პრობლემას უკავშირებს. მუშავდება პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორი ცენტრალიზაციის შესახებ.

აქტივობის სახელწოდება	**ძეგლისწერის კანონები – პრობლემა და პასუხი**
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ნორმატიული ტექსტის ანალიზი, შესაბამისობის დადგენა პრობლემასა და გადაწყვეტილებას შორის
მსვლელობა	1. წყვილები დამოუკიდებლად კითხულობენ რუის-ურბნისის კრების დადგენილებას. შემდეგ პარაგრაფის ტექსტში ჩამოთვლილ პრობლემებს – ულირს პირთა დანიშვნას, ქრთამს, ტაძრებში ვაჭრობას, მცირეწლოვანთა ქორწინებას და საეკლესიო ქონების მითვისებას – უკავშირებენ იმ კანონს, რომელიც მათ პასუხობდა. 2. მოსწავლეები პასუხობენ მე-5 და მე-6 კითხვებს. მასწავლებელი ხელდასხმის ასაკობრივ ზღვარზე ჩერდება და სვამს კითხვას: რატომ არის ყველასთვის ერთნაირი წესი უფრო საიმედო, ვიდრე ცალკეული შემთხვევის ინდივიდუალური განხილვა? აქვე ისმის კითხვა თანამედროვე პარალელზე. 3. კლასი პასუხობს მე-7 კითხვას და დასკვნას ერთი წინადადებით აყალიბებს: მეფე კრებაზე „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“ ესწრებოდა, კრების შედეგად კი ეკლესია მოწესრიგებულ ინსტიტუტად იქცა და სახელმწიფოს ერთიანობას განამტკიცებდა.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ნორმატიულ ტექსტში პოულობს კონკრეტულ დებულებას და მას რეალურ პრობლემას უკავშირებს. მუშავდება სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორი საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის შესახებ.

აქტივობის სახელწოდება	**რეფორმებიდან სამხედრო წარმატებამდე**
დრო	6 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი
მეთოდი	მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სქემის აგება დაფაზე

მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ოთხუჯრიან სქემას და პირველ უჯრას თავად ავსებს. მოსწავლეები დანარჩენ სამს ავსებენ: დიდებულთა თვითნებობის აღკვეთა და ერთიანი ადმინისტრაცია; მეფისადმი დაქვემდებარებული ჯარი და ყივჩაყთა რაზმები; წარმატებული ლაშქრობები და ციხე-ქალაქების აღება; სამეფოს საზღვრების გაფართოება. 2. კლასი პასუხობს პარაგრაფის პირველ კითხვას: როგორ ავსებდა ერთმანეთს ქვეყნის შიგნით გადადგმული ნაბიჯები და საგარეო პოლიტიკა? მასწავლებელი შეახსენებს, რომ ხარკის შეწყვეტა 1099 წელს სელჩუკთა იმპერიის დასუსტებისა და ჯვაროსნული ლაშქრობის ფონზე გახდა შესაძლებელი, ესე იგი, შედეგი მხოლოდ შიდა რეფორმებით არ აიხსნება – მას საერთაშორისო ვითარებაც განაპირობებდა. 3. მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ სწორედ ამ რეფორმებმა მოამზადა 1121 წლის დიდგორის ბრძოლა და მომდევნო წელს თბილისის შემოერთება.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე შიდა რეფორმებსა და საგარეო წარმატებას შორის კავშირს მიზეზშედეგობრივი სქემის სახით აღწერს. მუშავდება სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორი.

დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**დავით IV-ის ოთხი რეფორმების შეფასება**
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	წერითი არგუმენტის შედგენა
მსვლელობა	1. მოსწავლეები ასახელებენ რეფორმების ერთ მიმართულებას, რომელსაც დანარჩენის საფუძვლად მიიჩნევენ და არჩევანს ორი ფაქტით ასაბუთებენ; ორივე ფაქტს მოსწავლეები ჯგუფური მუშაობისას შევსებული ცხრილიდან იღებენ – იმ ორი სვეტიდან, სადაც ჩაწერილია, რა გაკეთდა კონკრეტულად და როგორ განიმტკიცა ამით მეფემ ხელისუფლება. 2. სამი-ოთხი მოსწავლე ასახელებს არჩეულ ნაბიჯს და ორ ფაქტს, რომლითაც არჩევანს ხსნის. მასწავლებელი არ ამბობს, რომელი პასუხია სწორი, მაგრამ ყოველ მოსწავლეს სთხოვს, კონკრეტული ღონისძიება დაასახელოს. 3. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ისევ სვამს გახსნის კითხვას: რომელი პრობლემა იყო ყველაზე მძიმე? მოსწავლეები პასუხობენ და თავადვე ამბობენ, ემთხვევა თუ არა ეს პასუხი იმას, რაც გაკვეთილის დასაწყისში დაასახელეს.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე აყალიბებს დასაბუთებულ პოზიციას და საკუთარ საწყის ვარაუდს გადაამოწმებს.

6. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: ჯგუფური მუშაობის სამი კითხვა ერთნაირად რთული არ არის. პირველ ორზე პასუხი პარაგრაფის ტექსტშია და მოსწავლემ უნდა იპოვოს; მესამეზე პასუხი ტექსტში არ წერია და მოსწავლემ თავად უნდა ჩამოაყალიბოს. მასწავლებელი მესამე კითხვაზე ჯგუფებს ცალკე ეხმარება.

ჯგუფებს მასალაც სხვადასხვა მოცულობის ხვდებათ. მეორე ჯგუფი კრების დადგენილებას კითხულობს, მეოთხე – ყივჩაყთა ჩამოსახლების წყაროს; პირველი და მესამე მხოლოდ პარაგრაფის ტექსტზე მუშაობს. მასწავლებელი მეორე და მეოთხე ჯგუფში მეტ მოსწავლეს ათავსებს.

თუ ჯგუფი დანარჩენებზე ადრე მოამზადებს პასუხებს, მასწავლებელი ეკითხება: კრების რომელი დადგენილება იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ეკლესიის ავტორიტეტისთვის და რატომ?

მხარდამჭერი სტრატეგიები:მასწავლებელი დაფაზე წერს ჯგუფური მუშაობის სამ კითხვას და ისინი აქტივობის ბოლომდე რჩება. საერთო ცხრილის პირველ სტრიქონს კლასთან ერთად ავსებს, დანარჩენ სამს ჯგუფები ავსებენ. დაფაზევე იწერება ტერმინები: სახელო, ვაზირი, მწიგნობართუხუცესი, ჭყონდიდელი, მონასპა, ძეგლისწერა, ხელდასხმა. კრების დადგენილება ძველი ქართულითაა მოცემული. მოსწავლემ ყველა სიტყვა არ უნდა გაარჩიოს – საკმარისია, დაადგინოს, რომელ პრობლემას ეხება თითოეული პუნქტი. უცნობ სიტყვებს მასწავლებელი კითხვისას განმარტავს.ჯგუფში როლები ნაწილდება: ერთი ტექსტში ეძებს პასუხს, მეორე იწერს, მესამე წარადგენს.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მოსწავლე მასალას იღებს პარაგრაფის ტექსტიდან, ორი წყაროდან და ილუსტრაციებიდან: კლდეკარისა და ზედაზნის ციხეების, რუისისა და ურბნისის ტაძრების ფოტოებიდან, გელათის ფრესკიდან და დავით IV-ის ხელრთვიდან 1123 წლის ანდერძზე. ხელრთვაზე მასწავლებელი ცალკე ჩერდება: ეს თავად მეფის ხელით დაწერილი სიტყვებია და მოსწავლე პირველად ხედავს, როგორ გამოიყურება იმ დროის დოკუმენტი. ცოდნის დემონსტრირება მოსწავლეს სხვადასხვა გზით შეუძლია: ჯგუფის სახელით წარადგინოს პასუხი, შეავსოს ცხრილის სვეტი, დაასახელოს სქემის ერთი უჯრა ან დაწეროს არგუმენტი.

7. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული მე-2 დავალება: „გამოკვეთეთ რუის-ურბნისის კრების რელიგიური და პოლიტიკური მიზნები და შედეგები. იმსჯელეთ, კრებაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა რამდენად შეუწყო ხელი მეფის ძალაუფლების განმტკიცებას?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. ცალ-ცალკე ჩამოწერეთ კრების რელიგიური და პოლიტიკური მიზნები, თითოეული ორი მაინც, და თითოეული მიზანი წყაროში მოცემულ კონკრეტულ დადგენილებას დაუკავშირეთ;

2. ორი-სამი წინადადებით ახსენით, როგორ ეხმარებოდა მოწესრიგებული საეკლესიო ორგანიზაცია მეფეს ქვეყნის მართვაში; საყრდენად გამოიყენეთ საკლასო მუშაობისას შევსებული ცხრილი;

3. დაასრულეთ ერთი აბზაცით: კრება უფრო საეკლესიო თუ სახელმწიფოებრივი ღონისძიება იყო? პასუხი ორი ფაქტით მაინც დაასაბუთეთ. ნაშრომის მოცულობაა ერთი გვერდი.

პარაგრაფის პირველი დავალება მთელ პარაგრაფს მოიცავს და მისი დასრულების შემდეგ ეძლევა მოსწავლეებს. მესამე დავალება, რომელიც ყივჩაყთა ჩამოსახლების განხილვას ითვალისწინებს მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პოზიციებით, საკლასო დისკუსიად უფრო გამოდგება.

8. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: ჯგუფის წარდგენა აჩვენებს, ახერხებს თუ არა მოსწავლე ნაბიჯის დაკავშირებას იმ პრობლემასთან, რომელსაც ის პასუხობდა. კანონებზე მუშაობისას ჩანს, პოულობს თუ არა იგი ნორმატიულ ტექსტში კონკრეტულ დებულებას. ჯაჭვის აგებისას მასწავლებელი აკვირდება, სწორი თანმიმდევრობით ალაგებენ თუ არა მოსწავლეები რგოლებს. დასკვნით ნაწილში კი ჩანს, ეყრდნობა თუ არა წერითი არგუმენტი კონკრეტულ ღონისძიებას.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ჯგუფის დასაბუთებული წარდგენა სამ კითხვაზე; შესაბამისობის დადგენის შერჩევითი გადამოწმება წყვილებში მუშაობის დროს; დასკვნითი ნაწილის წერითი არგუმენტი რვეულში; დამაზუსტებელი კითხვები საერთო მსჯელობისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორი – ძალაუფლების ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესების ახსნა და ანალიზი; ბ) სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორი – მოვლენის მიზეზებისა და შედეგების ახსნა ქვეყნის შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

9. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა: დავით IV-ის „გალობანი სინანულისანი“ აჩვენებს, როგორ აფასებდა მმართველი საკუთარ საქმიანობას, და უკავშირდება სამიზნე ცნებებს „ტექსტი“ და „კონტექსტი”. მოქალაქეობა: თანამდებობაზე დანიშვნის წესები, კვალიფიკაციისა და ასაკის მოთხოვნა და ინსტიტუტის ცნება მოქალაქეობის კურსის შინაარსია. გეოგრაფია: დარიალისა და ჩრდილოეთ კავკასიის ციხეების კონტროლი გადმოსასვლელების სატრანზიტო და სამხედრო ფუნქციაზე მსჯელობის საშუალებას იძლევა.

10. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. მესამე კითხვას რომელმა ჯგუფმა უპასუხა გაუჭირვებლად და რომელს დასჭირდა დამატებითი მითითება?

2. კანონებზე მუშაობისას მოსწავლეებმა კონკრეტული დებულება დაასახელეს თუ ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლნენ?

3. ჯაჭვის რომელი რგოლი აღმოჩნდა ყველაზე რთული და საჭიროა თუ არა მისი გამეორება დიდგორის ბრძოლის განხილვამდე?

4. დასკვნით ნაწილში რამდენმა მოსწავლემ დაასაბუთა პოზიცია ორი კონკრეტული ფაქტით?

11. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“ – დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების სრული ტექსტი „ქართლის ცხოვრებაში”, საიდანაც სახელმძღვანელოს წყაროებია აღებული.

2. რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ სრული ტექსტი – ცხრამეტივე კანონი, რომელიც კრების მასშტაბის უფრო ზუსტ წარმოდგენას იძლევა.

3. ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნი – სახელმწიფო ინსტიტუტების, სავაზიროსა და სამოხელეო სისტემის ჩამოყალიბების შესახებ.

4. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები”, ტომი III – დავით IV-ის ეპოქის მიმოხილვა, სადაც 1089 წელს ტახტზე ასვლის შესახებ დისკუსიაცაა წარმოდგენილი.

4) 1.7. თამარ მეფე. საქართველო „ოქროს ხანაში”

გაკვეთილი ეთმობა პარაგრაფის იმ ნაწილს, სადაც თამარის სახეა წარმოდგენილი თანადროულ ტექსტებში და სადაც თავად შეფასება „ოქროს ხანა“ ხდება განხილვის საგანი. მუშავდება მონაკვეთები „ძველი ქართველი პოეტები თამარ მეფეზე”, „თამარ მეფე მემატიანეთა თვალით”, „თამარ მეფე ხალხურ პოეზიაში“ და „თამარ მეფის გარდაცვალება და დაკრძალვა”, ფრანგი რაინდის წერილი და მე-10, მე-11 და მე-12 კითხვები.

1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნებები: „დრო (ისტორიული პერიოდი)“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ ეპოქა თავისი გამორჩეული ნიშნებით გამოიყოფა და მისი შეფასება გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს. მოსწავლეები თავად განსაზღვრავენ იმ ნიშნებს, რომლითაც შეფასება „ოქროს ხანა“ შემოწმდება და შემდეგ ამ ნიშნებს პარაგრაფში მოცემულ ფაქტებს შეუდარებენ. დამატებით მუშავდება ცნება „ისტორიული წყარო”. თამარის ეპოქის შესახებ ცნობათა დიდი ნაწილი სახოტბო ჟანრის თხზულებებშია დაცული, ამიტომ მათი გამოყენება ავტორის მიზნის გათვალისწინებას მოითხოვს. მესამე ცნება, რომელიც გაკვეთილზე იკვეთება, არის „საზოგადოება”: ის, რასაც მემატიანეები მმართველში აქებდნენ, გვიჩვენებს, რას მიიჩნევდა იმდროინდელი საზოგადოება ხელისუფლის ღირსებად.

სტანდარტის შედეგები: სტანდარტის შედეგი 2 – საქართველოს ისტორიის ეპოქების თავისებურებების გააზრება და პერიოდიზაციის გაცნობიერება. გაკვეთილი ამ შედეგის იმ ინდიკატორს ემსახურება, რომელიც კონკრეტული ეპოქის თავისებურებების გაანალიზებას ითვალისწინებს მისი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. მუშავდება სტანდარტის შედეგი 1-ის ორი ინდიკატორი – წყაროს სანდოობის შეფასება ავტორის მიზნისა და ჟანრის მიხედვით და ერთი და იმავე ფაქტის ამსახველი ქართული და უცხოური წყაროების შედარება. მეორე აქტივობაში აქტიურდება სტანდარტის შედეგი 4-ის ინდიკატორიც – ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი ღირებულებების მიხედვით.

2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლეებმა თამარის ეპოქის დამკვიდრებული შეფასება კრიტერიუმებით შეამოწმონ და არა მზა სახით მიიღონ. ისინი ჯერ განსაზღვრავენ, რა ნიშნებით ფასდება ისტორიული ეპოქა, შემდეგ კი თითოეული ნიშნისთვის მოძებნიან მტკიცებულებას პარაგრაფის ტექსტსა და რუკებზე. მეორე აქტივობაზე მემატიანეთა ტექსტებში გამოჯნავენ შემოწმებად ცნობასა და შეფასებით დახასიათებას და იმსჯელებენ, რა ღირებულება რჩება სახოტბო ტექსტს ისტორიული წყაროს სახით. მესამე აქტივობაზე ერთ კონკრეტულ ფაქტს – თამარის დაკრძალვის ადგილს ქართული და უცხოური ცნობების შეპირისპირებით განიხილავენ. გაკვეთილი მთავრდება წერითი არგუმენტით, რომელშიც მოსწავლე შეფასებას კრიტერიუმებზე დაყრდნობით ასაბუთებს.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლე ასახელებს ოთხ ნიშანს, რომლითაც ისტორიული ეპოქა ფასდება და თითოეულს კონკრეტულ შინაარსს უკავშირებს;
2. მოსწავლე მემატიანის ტექსტში გამოყოფს შემოწმებად ცნობასა და შეფასებით დახასიათებას და თითოეულის ორ მაგალითს ასახელებს;
3. მოსწავლე ხსნის, რა ინფორმაციას იძლევა სახოტბო ტექსტი ეპოქის შესახებ მაშინაც კი, როცა მისი შეფასებები შემოწმებას არ ექვემდებარება;

4. მოსწავლე ადარებს ქართული მატიანეებისა და ფრანგი რაინდის ცნობებს, ასახელებს წინააღმდეგობას და ასაბუთებს, რომელ ცნობას ანიჭებს უპირატესობას;

5. მოსწავლე წერს არგუმენტს, რომელშიც შეფასებას „ოქროს ხანა“ ორი კრიტერიუმით ასაბუთებს.

3. წინარე ცოდნის გააქტიურება

პარაგრაფ 1.6-იდან მოსწავლეებს ახსოვთ დავით IV-ის რეფორმები, რომლებმაც თამარის ეპოქის აღმავლობა მოამზადა; ეს კავშირი დასკვნით ნაწილში დასჭირდებათ. მსოფლიო ისტორიის კურსიდან იციან, რომ 1204 წელს ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერია დაიშალა. ქართული ლიტერატურის კურსიდან მათთვის ნაცნობია „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და სახოტბო ჟანრის თავისებურებები. პარაგრაფ 1.1-იდან კი იციან ორი წყაროს შეპირისპირების წესი.

4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ცნების ნიშნების ერთობლივი განსაზღვრა; შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და მტკიცებულებით შემოწმება; ტექსტსა და რუკაზე მუშაობა ჯგუფებში; შემოწმებადი ცნობისა და შეფასებითი დახასიათების გამიჯვნა; ორი წყაროს შეპირისპირება; წერითი არგუმენტის შედგენა; წყვილებში მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გაკვეთილის ცენტრში დგას დამოკიდებულება, რომ დამკვიდრებული შეფასება შემოწმებას საჭიროებს. მოსწავლე ტექრმინს – „ოქროს ხანას“ არც უარყოფს და არც უპირობოდ იღებს, არამედ კრიტერიუმებს უდარებს. მეორე საკითხი მემატიანეთა ცნობებს ეხება. ის, რომ ავტორები მმართველის სიკეთეს, გლახაკებზე ზრუნვასა და სასჯელისგან თავშეკავებას აქებდნენ, თავად არის ცნობა ეპოქის ღირებულებების შესახებ. მასწავლებელი ამ საკითხს სწორედ ამ კუთხით განიხილავს.

კავშირი თანამედროვეობასთან: მზა შეფასების კრიტერიუმებით შემოწმება იმავე უნარს ეყრდნობა, რომელიც ნებისმიერი განზოგადებული მტკიცების გადამოწმებას სჭირდება: რას ემყარება ეს შეფასება და რომელი ფაქტი ადასტურებს მას.

5. გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (7 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**რას ნიშნავს ოქროს ხანა**
დრო	7 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ცნების ნიშნების ერთობლივი განსაზღვრა

მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე წერს გამოთქმას „ოქროს ხანა“ და სვამს კითხვას: თუ ისტორიკოსი ეპოქას ასე უწოდებს, რა უნდა ახასიათებდეს ამ ეპოქას, რომ სახელწოდება გამართლდეს? 2. წყვილები მსჯელობენ და ასახელებენ ორ-სამ ნიშანს. მასწავლებელი პასუხებს დაფაზე წერს. 3. მასწავლებელი აცხადებს, რომ გაკვეთილის პირველი ამოცანა ამ ჩამონათვალის კრიტერიუმებად ჩამოყალიბებაა, მეორე კი – იმის შემოწმება, დასტურდება თუ არა ეს კრიტერიუმები ფაქტებით. შემდეგ სვამს გაკვეთილის საკვანძო კითხვას: რა საფუძველი აქვს შეფასებას „ოქროს ხანა“ და რომელ წყაროებზეა ის აგებული?
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე შეფასებას მზა სახელწოდების ნაცვლად შესამოწმებელ მტკიცებად აღიქვამს. დაფაზე ჩამოწერილი ნიშნები პირველი აქტივობის საფუძველი ხდება.

ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**კრიტერიუმები და მტკიცებულებები**
დრო	12 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ჯგუფში, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და მტკიცებულებით შემოწმება, ტექსტსა და რუკაზე მუშაობა
მსვლელობა	1. მასწავლებელი კლასთან ერთად აქცევს გაკვეთილის გახსნისას ჩამოწერილ ნიშნებს ოთხ კრიტერიუმად: ტერიტორია და საგარეო მდგომარეობა; პოლიტიკური სტაბილურობა და ხელისუფლების სიმტკიცე; ეკონომიკა და ქალაქები; კულტურა, განათლება. 2. თითოეული ჯგუფი ერთ კრიტერიუმს იღებს და პარაგრაფის ტექსტიდან, აგრეთვე მე-9, მე-10 და მე-11 რუკებიდან ორ მტკიცებულებას პოულობს. შესაძლო პასუხებია: შამქორისა და ბასიანის ბრძოლები, ანისისა და დვინის შემოერთება, ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, 1210 წლის ლაშქრობა და მოხარკე ქვეყნები რუკაზე; ფეოდალთა გამოსვლის დაძლევა; ქალაქებისა და სავაჭრო გზების კონტროლი; ჩახრუხაძის, შავთელისა და რუსთაველის თხზულებები, ბასიანის ომში ნადავლად მოპოვებული სამედიცინო ტრაქტატის თარგმნა, შემოსავლის მეათედის გამოყოფა გლახაკებისთვის და სიკვდილით დასჯის აკრძალვა. 3. ჯგუფი პასუხს ერთი დასაბუთებული წინადადებით წარადგენს – კრიტერიუმი და მისი დამადასტურებელი ორი ფაქტი. მასწავლებელი დაფაზე ავსებს ორსვეტიან ცხრილს. აქვე მას ცხრილში შეაქვს კიდევ ერთი ფაქტი: მეფობის ბოლოს მთიანეთი აჯანყდა და მის დამარცხებას სამი თვე დასჭირდა. მეფობის შეფასება მხოლოდ ხელსაყრელ ფაქტებს არ უნდა ეყრდნობოდეს.

მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ეპოქას კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით ახასიათებს და თითოეულ მტკიცებას ფაქტით ამყარებს. მუშავდება პირველი და მე-2 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 2-ის ინდიკატორი.

აქტივობის სახელწოდება	**ხოტბა და ისტორიული ცნობა**
დრო	10 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	შემოწმებადი ცნობისა და შეფასებითი დახასიათების გამიჯვნა
მსვლელობა	1. წყვილები დამოუკიდებლად კითხულობენ მონაკვეთს „თამარ მეფე მემატიანეთა თვალით“ და რვეულში ორ სვეტად ალაგებენ ტექსტის შინაარსს. პირველ სვეტში – ცნობა, რომლის შემოწმებაც სხვა წყაროთია შესაძლებელი: შემოსავლის მეათედის გამოყოფა გლახაკებისთვის, სიკვდილით დასჯის აკრძალვა, ხელსაქმის დამზადება და გაყიდვა შემწეობისთვის. მეორე სვეტში – შეფასებითი დახასიათება და ეპითეტი, რომლის შემოწმებაც შეუძლებელია. 2. მოსწავლეები პასუხობენ მე-10 კითხვას. მასწავლებელი აზუსტებს, რომ ბასილი ეზოსმოძღვარი და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მეფის თანამედროვეები და მისი პოლიტიკის მომხრეები იყვნენ, ჩახრუხაძის, შავთელისა და რუსთაველის ტექსტები კი სახოტბო ჟანრს ეკუთვნის. 3. მასწავლებელი სვამს კითხვას: კარგავს თუ არა სახოტბო ტექსტი ისტორიული წყაროს ღირებულებას? კლასი აყალიბებს დასკვნას – ის, რასაც მმართველში აქებდნენ, გვიჩვენებს, რას მიიჩნევდა იმდროინდელი საზოგადოება მმართველის ღირსებად. შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ მე-11 კითხვას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ერთსა და იმავე ტექსტში მიჯნავს შემოწმებად ცნობასა და შეფასებას და სახოტბო წყაროსაც ისტორიულ ცნობად იყენებს. მუშავდება მე-3 და მე-4 მოსალოდნელი შედეგი, სტანდარტის შედეგი 1-ისა და შედეგი 4-ის ინდიკატორები.

აქტივობის სახელწოდება	**ორი ცნობა ერთ ფაქტზე**
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი
მეთოდი	ორი წყაროს შეპირისპირება

მსვლელობა	1. მოსწავლეები კითხულობენ ფრანგი რაინდის, დე ბუას, 1211 წლის წერილს და შემდეგ – სამი ქართული თხზულების ცნობებს დაკრძალვის ადგილის შესახებ. 2. კლასი პასუხობს მე-12 კითხვას: რაში მდგომარეობს წყაროთა მონაცემებს შორის წინააღმდეგობა და რომელ ცნობას ენიჭება უპირატესობა? მოსწავლეები არგუმენტებს ასახელებენ: სამივე ქართული თხზულება თანადროულია და ერთსა და იმავე ადგილს ასახელებს, დე ბუა კი შორიდან, სხვისგან გაგონილს გადმოსცემს. 3. მასწავლებელი ამატებს, რომ თავად გარდაცვალების თარიღიც სადავოა და მკვლევრები მას სხვადასხვანაირად ათარიღებენ. კლასი ერთი წინადადებით აყალიბებს დასკვნას: ეპოქა, რომლის შესახებაც ბევრი წყაროა შემორჩენილი, არ ნიშნავს ეპოქას, სადაც ყველა დეტალი დადგენილია.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ორ განსხვავებულ ცნობას ადარებს და სანდოობის შეფასებას არგუმენტით ასაბუთებს. მუშავდება მე-5 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი.

დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**შეფასება კრიტერიუმებით**
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	წერითი არგუმენტის შედგენა
მსვლელობა	1. მოსწავლეები რვეულში წერენ სამ-ოთხ წინადადებას. ისინი ირჩევენ დაფაზე შევსებული ცხრილიდან ორ კრიტერიუმს და თითოეულს ერთი მტკიცებულებით ასაბუთებენ. 2. ბოლო წინადადებაში მოსწავლე ასახელებს ერთ გარემოებას, რომელსაც შეფასებას – „ოქროს ხანა“ რამდენადმე უპირისპირდება: მუდმივ ლაშქრობებს, მთიანეთის აჯანყებას ან იმას, რომ ეპოქის სურათი დიდწილად მეფის მომხრე ავტორების ტექსტებზეა აგებული. 3. სამი-ოთხი მოსწავლე კითხულობს პასუხს. მასწავლებელი აჯამებს: შეფასება საფუძვლიანია, როცა კრიტერიუმებს ეყრდნობა. აქვე სვამს კითხვას თანამედროვე პარალელზე და აანონსებს საშინაო დავალებას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე აყალიბებს დასაბუთებულ პოზიციას და ხედავს, რომ დამკვიდრებული შეფასება ერთდროულად საფუძვლიანიც შეიძლება იყოს და არასრულიც.

6. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები: პირველ აქტივობაზე ჯგუფებს სხვადასხვა მოცულობის მასალა ხვდებათ: კულტურისა და სოციალური ზრუნვის კრიტერიუმი ყველაზე ვრცელია, ხელისუფლების სიმტკიცისა – ყველაზე მოკლე. მასწავლებელი ამას ჯგუფების შედგენისას ითვალისწინებს. მეორე აქტივობაზე ორი სვეტიდან ეპითეტების სვეტი უფრო ადვილი შესავსებია. ამიტომ მასწავლებელი წყვილებს ჯერ ეპითეტების სვეტს ავსებინებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაჰყავს შემოწმებად ცნობებზე. თუ წყვილი დავალებას სხვებზე ადრე დაასრულებს, მასწავლებელი დამატებით კითხვას სვამს: რომელი კრიტერიუმით სცილდება თამარის ეპოქა დავით IV-ის ეპოქას?"

მხარდამჭერი სტრატეგიები: ოთხი კრიტერიუმი დაფაზე რჩება მთელი გაკვეთილის განმავლობაში და დასკვნით ნაწილშიც გამოიყენება. ორსვეტიანი ცხრილის პირველი სტრიქონი კლასთან ერთად ივსება ნიმუშად. სახოტბო პოეზიის ამონარიდი ძველ ქართულზეა, თუმცა მოსწავლეს სტრიქონების სრული გაშიფვრა არ მოეთხოვება – საკმარისია იმის ამოცნობა, რომ ტექსტი ქებას შეიცავს; უცნობ სიტყვებს მასწავლებელი კითხვისთანავე განმარტავს. დაფაზე იწერება ტერმინები სახოტბო ჟანრი, მემატიანე, თანადროული წყარო და ეპითეტი. ჯგუფებში როლები ნაწილდება: ვინ ეძებს ტექსტში, ვინ ეძებს რუკაზე, ვინ იწერს, ვინ წარადგენს.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები: მასალა მიეწოდება პარაგრაფის ტექსტით, მემატიანეთა და პოეტთა ამონარიდებით, ფრანგი რაინდის წერილით, სამი რუკითა და ვიზუალური მასალით: ვარძიის, ბეთანიის, ყინცვისისა და ბერთუბნის ფრესკებით, თამარისა და დავით სოსლანის სახელით მოჭრილი მონეტითა და მეფის ხელრთვით 1195 წლის სიგელიდან. ფრესკები ცალკე მსჯელობის საბაბიცაა: ისინი გვიჩვენებს, როგორ გამოსახავდნენ მმართველს იმ ეპოქაში, ანუ იმავე კითხვას სვამს ვიზუალურ მასალაზე, რომელსაც კლასი ტექსტზე სვამს. ნასწავლის წარმოჩენა შესაძლებელია ცხრილის სვეტით, ჯგუფის წარდგენით, ზეპირი არგუმენტით ან წერითი დასაბუთებით.

7. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული მე-2 დავალება: „თამარის ეპოქა ხშირად მოიხსენიება „საქართველოს ოქროს ხანად". რა საფუძველი აქვს ამ შეფასებას?" მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. პასუხი ააგეთ საკლასო მუშაობისას ჩამოყალიბებულ ოთხივე კრიტერიუმზე და თითოეულს ორი-სამი წინადადება დაუთმეთ;

2. თითოეულ კრიტერიუმში დაასახელეთ ერთი კონკრეტული მტკიცებულება მაინც: თარიღი, ბრძოლა, ქალაქი, თხზულება ან ღონისძიება;

3. დაასრულეთ ერთი აბზაცით: რას ჩრდილავს ეს შეფასება და რატომ რჩება ის მაინც საფუძვლიანი? დასკვნა ფაქტს უნდა ეყრდნობოდეს. ნაშრომის მოცულობაა ერთი გვერდი.

დავალება უკავშირდება პირველ და მე-2 მოსალოდნელ შედეგს. პარაგრაფის პირველი დავალება – რომელმა ფაქტორმა განაპირობა ცვლილება: მეფის პიროვნულმა თვისებებმა, წინა მეფეების მიერ მომზადებულმა საფუძველმა თუ რეგიონულმა ვითარებამ – საკლასო დისკუსიად გამოდგება და პარაგრაფის დასრულებისას შეიძლება დაიგეგმოს.

8. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: კრიტერიუმებზე მუშაობისას მასწავლებელი ხედავს, ახერხებს თუ არა მოსწავლე ზოგადი ნიშნის კონკრეტულ მტკიცებულე-

ბად გადაქცევას. ორსვეტიანი დახარისხებისას ჩანს, გამოჰყოფს თუ არა იგი შემოწმებად ცნობას ეპითეტისგან. წყაროთა შეპირისპირებისას მასწავლებელი აკვირდება, არგუმენტს ასახელებს მოსწავლე თუ პირად შთაბეჭდილებას. დასკვნით ნაწილში კი ჩანს, რამდენად ეყრდნობა წერითი არგუმენტი დაფაზე შევსებულ ცხრილს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ჯგუფის დასაბუთებული წარდგენა კრიტერიუმზე; ორსვეტიანი დახარისხების შერჩევითი გადამოწმება წყვილებში მუშაობის დროს; დასკვნითი ნაწილის წერითი არგუმენტი რვეულში; დამაზუსტებელი კითხვები საერთო მსჯელობისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) სტანდარტის შედეგი 2-ის ინდიკატორი – კონკრეტული ეპოქის თავისებურებების გაანალიზება მისი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით; ბ) სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი – წყაროს სანდოობის შეფასება ავტორის ვინაობის, მიზნისა და შექმნის დროის მიხედვით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

9. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა: ჩახრუხაძის, იოანე შავთელისა და შოთა რუსთაველის თხზულებები უკავშირდება სამიზნე ცნებებს „ტექსტი“ და „კონტექსტი“ – ავტორის მიზანი განსაზღვრავს ტექსტის ტონს. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ვარძიის, ბეთანიის, ყინცვისისა და ბერთუბნის ფრესკები მმართველის გამოსახვის ტრადიციაზე მსჯელობის საშუალებას იძლევა. მოქალაქეობა: სოციალური ზრუნვისა და სასჯელის პოლიტიკის საკითხი თანამედროვე კონტექსტშიც განიხილება.

10. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. გაკვეთილის გახსნისას ჩამოწერილი ნიშნებიდან რამდენი გამოდგა კრიტერიუმად და რამდენს დასჭირდა თავიდან ფორმულირება?

2. მემატიანის ტექსტში შემოწმებადი ცნობის გამოყოფა რომელმა წყვილმა შეძლო დამოუკიდებლად და რა დახმარება დასჭირდა დანარჩენებს?

3. მოსწავლეებმა სახოტბო ტექსტს ისტორიული წყაროს ღირებულება შეუნარჩუნეს თუ უბრალოდ არასანდოდ მიიჩნიეს?

4. რამდენმა მოსწავლემ დაასახელა ის გარემოება, რომელიც შეფასებას „ოქროს ხანა“ ჩრდილავს?

11. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ – ორივე თხზულების სრული ტექსტი „ქართლის ცხოვრებაში”, საიდანაც სახელმძღვანელოს ამონარიდებია აღებული.

2. როინ მეტრეველის ნაშრომები თამარ მეფისა და XII-XIII საუკუნეების საქართველოს შესახებ, სადაც ეპოქის შეფასების საკითხიცაა განხილული.

3. ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნი – თამარის ეპოქის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოწყობის შესახებ.

4. საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ელექტრონული რესურსები – ეპოქის მონეტები, სიგელები და ფრესკების გამოსახულებები.

5) 1.13. გიორგი სააკაძე. „დიდი მოურავი”

გაკვეთილი მოიცავს მთელ პარაგრაფს, რომელიც ეხება გიორგი სააკაძის წარმომავლობასა და განათლებას, მის მოღვაწეობას ქართლის სამეფო კარზე, 1609 წლის ტაშისკარის ბრძოლას, 1612 წლის შეთქმულებასა და ირანში გახიზვნას, 1625 წლის აჯანყებას, მარაბდისა და ბაზალეთის ბრძოლებს, ალეპოში მის დაღუპვას, აგრეთვე რვა ავტორის მიერ გიორგი სააკაძის მოღვაწეობის შეფასებებს. გაკვეთილზე მუშავდება პარაგრაფის ათივე კითხვა და რუბრიკა „წყარო“.

1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნებები: „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ – გაკვეთილზე მუშავდება ცნების ის ასპექტი, რომლის მიხედვითაც ერთი და იმავე ისტორიული მოღვაწის საქმიანობა და როლი სხვადასხვა პერსპექტივიდან შეიძლება შეფასდეს. გიორგი სააკაძის მოღვაწეობას ისტორიკოსები დღემდე განსხვავებულად აფასებენ. ვახუშტი ბაგრატიონი მას მამაც და შემართებულ კაცად მიიჩნევს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ლუარსაბ II-ის დაღუპვაში მასაც მიუძღვის წილი. ივანე ჯავახიშვილი გიორგი სააკაძის შეფასებისგან თავს იკავებს, ხოლო შოთა მესხია მის მოღვაწეობაში პირად ინტერესებს წამოსწევს წინ.

დამატებით მუშავდება ცნება „ისტორიული წყარო“: მოსწავლე ადარებს სხვადასხვა დროისა და ქვეყნის ავტორთა შეფასებებს და განმარტავს, რა ფაქტორები შეიძლება განაპირობებდეს მათ შორის განსხვავებას.

გაკვეთილზე ასევე იკვეთება ცნება „ძალაუფლება“ – პარაგრაფის შესწავლისას მოსწავლე აანალიზებს, რატომ ვერ ჩამოყალიბდა XVII საუკუნის ქართლში ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება.

სტანდარტის შედეგები: სტანდარტის შედეგი 6 – საქართველოს ისტორიის მოვლენებისა და პროცესების ანალიზი. გაკვეთილი ამ შედეგის ორ ინდიკატორს ემსახურება: გამორჩეული ისტორიული პიროვნების წვლილის შეფასება ქართული სახელმწიფოს განვითარებაში; მოვლენის მნიშვნელობის შეფასება როგორც თანადროული, ისე დღევანდელი პერსპექტივიდან და შეფასებებს შორის არსებული განსხვავების ახსნა. მუშავდება სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორიც – ერთსა და იმავე საკითხზე შექმნილი განსხვავებული წყაროების შედარება და განსხვავების ახსნა.

2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლემ გაიაროს გიორგი სააკაძის მოღვაწეობის მთელი გზა და შეაფასოს იგი იმ პირობებისა და შედეგების მიხედვით, რომელშიც ის მოქმედებდა. მოსწავლეები ჯერ ცხრილში ალაგებენ სააკაძის მოღვაწეობის ოთხ ეტაპს და თითოეულზე აღნიშნავენ, ვისთან ერთად და ვის წინააღმდეგ მოქმედებდა იგი. შემდეგ ხუთი ავტორის შეფასებას შეადარებენ და დაადგენენ, რაში თანხმდებიან ეს ავტორები და რაში განსხვავდებიან. მესამე აქტივობაზე ორ დებულებას დაიცავენ: სააკაძის ბრძოლა ქვეყნის გადარჩენას ემსახურებოდა და სააკაძის მოქმედებაში პირადი მიზნები იყო წამყვანი. გაკვეთილი მთავრდება იმით, რომ კლასი ასახელებს შეფასების სამ შესაძლო საფუძველს – მიზნებს, ქმედებებსა და შედეგებს – და თითოეული მოსწავლე ერთ მათგანს ირჩევს და წერილობით ასაბუთებს.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლე თანმიმდევრობით ალაგებს გიორგი სააკაძის მოღვაწეობის ოთხ ეტაპს და თითოეულს ერთი თარიღით ან მოვლენით ახასიათებს;

2. მოსწავლე თითოეულ ეტაპზე ასახელებს, ვისთან ერთად და ვის წინააღმდეგ მოქმედებდა სააკაძე;

3. მოსწავლე ასახელებს ორ მიზეზს, რომელიც ხსნის, რატომ ვერ ჩამოყალიბდა XVII საუკუნის ქართლში ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება;

4. მოსწავლე ასახელებს ერთ საკითხს, რომელზეც ავტორები თანხმდებიან, ერთს, რომლის მიმართაც განსხვავებულ პოზიციას აყალიბებენ და ასახელებენ ორ მიზეზს, რომელიც ამ განსხვავებას ხსნის;

5. მოსწავლე წერს არგუმენტს, რომელშიც შეფასების ერთ საფუძველს ირჩევს და არჩევანს ორი ფაქტით ასაბუთებს.

3. წინარე ცოდნის გააქტიურება

პარაგრაფი 1.12-ის შესწავლისას მოსწავლეებმა გაიგეს, რა მდგომარეობაში იყო ქართლი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში: ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ამიერკავკასიაში უპირისპირდებოდნენ, ქართლის მეფე კი ორ იმპერიას შორის მოქმედებდა. იმავე პარაგრაფში მოსწავლეები გაეცნენ იმასაც, რომ სიმონ I-ის მიმართ მოკავშირეებისა და მოწინააღმდეგეების დამოკიდებულება და მათი გზავნილები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა.

პარაგრაფი 1.1-დან მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთმანეთს შეადარონ ორი განსხვავებული წყარო, ხოლო პარაგრაფი 1.6-დან ახსოვთ, რა ღონისძიებები დასჭირდა დავით IV-ს ცენტრალური ხელისუფლების გასამტკიცებლად. ეს ცოდნა მათ მეორე აქტივობის შესრულებისას გამოადგებათ.

მასწავლებელს გაკვეთილის დაწყებამდე წინარე ცოდნის შესამოწმებლად შეუძლია დასვას ერთი კითხვა: რომელ ორ იმპერიას შორის იყო მოქცეული XVII საუკუნის დასაწყისის ქართლი?

4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ორი განსხვავებული შეფასების შედარება; ქრონოლოგიური ცხრილის შევსება ტექსტზე დაყრდნობით; წყაროთა შედარება ცხრილში; სტრუქტურირებული დებატი; საკუთარი დებულების სუსტი მხარის დასახელება; შეფასების საფუძვლის განსაზღვრა; წერითი არგუმენტის შედგენა; წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა.

გაკვეთილი საშუალო საფეხურის მოსწავლეზეა გათვლილი: ტექსტსა და წყაროებს მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ, დებატში დებულებას მასწავლებელი ანაწილებს, გაკვეთილის ბოლო პროდუქტი კი წერითი არგუმენტია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: სადავო ისტორიულ ფიგურას ერთი სწორი შეფასება არ აქვს. მასწავლებელი არ ამბობს, რომელი შეფასებაა სწორი, და ყოველ მოსწავლეს სთხოვს, პასუხში კონკრეტული ფაქტი დაასახელოს. მეორე საკითხი თევდორე მღვდლის არჩევანს ეხება: მან საკუთარი სიცოცხლე ქვეყნის გადარჩენას შესწირა და კლასი მსჯელობს, რა შედეგი მოჰყვებოდა სხვა არჩევანს. მესამე საკითხი დებატის წესია: მოსწავლე იმ დებულებას იცავს, რომელიც მასწავლებელმა მიაკუთვნა, და ბოლოს თავად ასახელებს ფაქტს, რომელიც ამ დებულებას ასუსტებს. ძლიერი არგუმენტი ის არის, რომელიც საწინააღმდეგო ფაქტსაც ითვალისწინებს.

კავშირი თანამედროვეობასთან: საზოგადო მოღვაწის შეფასება დღესაც განსხვავდება იმის მიხედვით, ვინ აფასებს და როდის. მასწავლებელს ეს კითხვა დასკვნით ნაწილში შეაქვს.

5. გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (7 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**ერთი ადამიანი, ორი შეფასება**
დრო	7 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი
მეთოდი	ორი განსხვავებული შეფასების შედარება
მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე წერს ორ შეფასებას და ავტორებს არ ასახელებს. პირველი: „კაცი წარჩინებული, დიდად შემძლე და ყოველთა უმამაცესი". მეორე: „ვერც კარგს ვიტყვი, ვერც ავსაო". 2. მოსწავლეები ამბობენ, ერთ ადამიანზეა ეს ნათქვამი თუ ორზე. მასწავლებელი ასახელებს ავტორებს: პირველი იტალიელი მისიონერის, კრისტოფორო კასტელისაა, მეორე – ივანე ჯავახიშვილის. ორივე გიორგი სააკაძეზე წერს. 3. მასწავლებელი დაფაზე წერს გაკვეთილის საკვანძო კითხვას: რის მიხედვით უნდა შეფასდეს ისტორიული პიროვნება? კითხვა დაფაზე რჩება გაკვეთილის ბოლომდე.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე გაკვეთილს კონკრეტული წინააღმდეგობით იწყებს და მას გაკვეთილის ბოლოს დაუბრუნდება.

ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**სააკაძის გზა ოთხ ეტაპად**
დრო	12 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ქრონოლოგიური ცხრილის შევსება ტექსტზე დაყრდნობით

მსვლელობა	1. წყვილები კითხულობენ პარაგრაფის ტექსტს და რვეულში ავსებენ ცხრილს ოთხი სტრიქონითა და სამი სვეტით. სტრიქონებია: სამსახური ქართლის სამეფო კარზე; შეთქმულება და ირანში გახიზვნა; დაბრუნება და აჯანყება; ბოლო წლები. სვეტებია: წლები; რა გააკეთა სააკაძემ; ვისთან ერთად და ვის წინააღმდეგ მოქმედებდა. 2. კლასი ერთად ავსებს იმავე ცხრილს დაფაზე. პირველ სტრიქონში ხვდება თბილისის მოურავობა, ფეოდალთა თვითნებობის შეზღუდვა, გახიზნული მოსახლეობის დაბრუნება და 1609 წლის ტაშისკარის ბრძოლა. მეორეში – 1611 წლის ქორწინება, 1612 წლის შეთქმულება და გაქცევა ირანში. მესამეში – 1619 წლის დანიშვნა სიმონ II-ის მრჩევლად, 1625 წლის მარტყოფის აჯანყება, პაატას სიკვდილით დასჯა და მარაბდის ბრძოლა. მეოთხეში – 1626 წლის ბაზალეთის შეტაკება თეიმურაზ I-თან, გადასვლა ოსმალეთში და დაღუპვა ალეპოში 1629 წელს. 3. კლასი პასუხობს პარაგრაფის პირველ, მე-2 და მე-3 კითხვას. მასწავლებელი ცალკე სვამს მე-4 კითხვას თევდორე მღვდლის შესახებ და ორი-სამი მოსწავლე პასუხობს.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე პარაგრაფის მთელ შინაარსს ერთ ცხრილში ალაგებს და ხედავს, რომ სააკაძის მოკავშირეები ყოველ ეტაპზე იცვლებოდა. მუშავდება პირველი, მე-2 და მე-3 მოსალოდნელი შედეგი.

აქტივობის სახელწოდება	**ვინ როგორ აფასებს სააკაძეს**
დრო	10 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	წყაროთა შედარება ცხრილში
მსვლელობა	1. წყვილები კითხულობენ რუბრიკა „წყაროს“ და ავსებენ სამსვეტიან ცხრილს: ავტორი; რომელი საუკუნისა და ქვეყნის ავტორია; რას ამბობს სააკაძეზე. ცხრილში შეაქვთ ხუთი ავტორი: ვახუშტი ბაგრატიონი, ივანე ჯავახიშვილი, შოთა მესხია, კრისტოფორო კასტელი და არაქელ თავრიზელი. 2. მასწავლებელი ეკითხება კლასს, რაზე თანხმდებიან ეს ავტორები. მოსწავლეები ასახელებენ: ხუთივე მას მამაც და ნიჭიერ სარდლად მიიჩნევს. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება, რაზე განსხვავდებიან. პასუხი: იმაზე, რა მიზანი ჰქონდა სააკაძის მოქმედებას და რა შედეგი მოჰყვა მას. 3. მასწავლებელი სვამს კითხვას: რით აიხსნება ეს განსხვავება? მოსწავლეები მსჯელობენ და გამოყოფენ ორ ძირითად მიზეზს: ავტორები სხვადასხვა დროს წერდნენ და განსხვავებული ისტორიული შედეგები ჰქონდათ თვალწინ; ამასთან, ისინი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ და სააკაძის მოქმედებებს განსხვავებული პერსპექტივიდან აღიქვამდნენ. მსჯელობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები მე-5 და მე-6 კითხვებზე მუშაობენ.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ხუთი ავტორის შეფასებას ერთმანეთს ადარებს და განსხვავების მიზეზს ხსნის. მუშავდება მე-4 და მე-5 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი.

აქტივობის სახელწოდება	დებატი სააკაძის ბრძოლის მიზანზე
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ორ ჯგუფად გაყოფილი კლასი
მეთოდი	სტრუქტურირებული დებატი, საკუთარი დებულების სუსტი მხარის დასახელება
მსვლელობა	1. მასწავლებელი კლასს ორ ჯგუფად ყოფს და დებულებებს თავად ანაწილებს. პირველი ჯგუფის დებულებაა: სააკაძის ბრძოლა ქვეყნის გადარჩენას ემსახურებოდა. მეორე ჯგუფის დებულებაა: სააკაძის მოქმედებაში პირადი მიზნები იყო წამყვანი. ორივე დებულება დაფაზე იწერება. ჯგუფებს არგუმენტების მოსამზადებლად სამი წუთი აქვთ; ფაქტებს პირველ აქტივობაზე შევსებული ცხრილიდან იღებენ. 2. თითოეული ჯგუფი ასახელებს ორ არგუმენტს და ფაქტს. პირველ ჯგუფს შეუძლია დაეყრდნოს 1625 წლის აჯანყებას, ბრძოლის გაგრძელებას პაატას სიკვდილით დასჯის შემდეგ და ირანის დანაკარგს, რომელმაც შაჰი აიძულა, საქართველოს აოხრების გეგმაზე ხელი აეღო. მეორე ჯგუფს – ბაზალეთის შეტაკებას თეიმურაზ I-თან, შოთა მესხიას შეფასებას კახეთის აოხრებაში მონაწილეობის შესახებ და ოსმალეთის კარზე გადასვლას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე დებულებას ფაქტით ასაბუთებს და ხედავს, რომ იმავე მასალაში მისი დებულების საწინააღმდეგო ფაქტიც არის. მუშავდება მე-6 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორი.

დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (8 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	შეფასების სამი საფუძველი
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი, შემდეგ ინდივიდუალურად
მეთოდი	შეფასების საფუძვლის განსაზღვრა, წერითი არგუმენტის შედგენა
მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე წერს სამ სიტყვას: მიზნები, ქმედებები, შედეგები. კლასი თითოეულს ერთი წინადადებით ხსნის სააკაძის მაგალითზე. მიზნების მიხედვით: იგი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ესწრაფვოდა. ქმედებების მიხედვით: მისი ნაბიჯები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. შედეგების მიხედვით: ირანმა დიდი ძალა დაკარგა, საქართველო კი აოხრებული დარჩა. აქვე კლასი პასუხობს მე-10 კითხვას. 2. მოსწავლეები რვეულში წერენ: სამი საფუძვლიდან რომელს ირჩევენ, რა შეფასებამდე მიდიან ამ საფუძვლით და რომელი ორი ფაქტი ადასტურებს მათ შეფასებას. 3. სამი-ოთხი მოსწავლე ასახელებს არჩეულ საფუძველს და ორ ფაქტს. შემდეგ მასწავლებელი ისევ სვამს გახსნის კითხვას: რის მიხედვით უნდა შეფასდეს ისტორიული პიროვნება? მოსწავლეები პასუხობენ და ამბობენ, შეიცვალა თუ არა მათი პასუხი გაკვეთილის დასაწყისთან შედარებით.

მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ხედავს, რომ შეფასების განსხვავება შერჩეულ საფუძველზეც არის დამოკიდებული, და საკუთარ შეფასებას ორი ფაქტით ასაბუთებს. მუშავდება მე-7 მოსალოდნელი შედეგი.

6. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები

პირველ აქტივობაზე ცხრილის სვეტები ერთნაირად რთული არ არის. წლები და მოვლენები პირდაპირ ტექსტშია, მესამე სვეტი კი მოითხოვს, რომ მოსწავლემ თავად დაადგინოს, ვისთან ერთად და ვის წინააღმდეგ მოქმედებდა სააკაძე. მასწავლებელი წყვილებს ჯერ პირველ ორ სვეტს ავსებინებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაჰყავს მესამეზე.

მეორე აქტივობაზე ავტორთა ცხრილის მესამე სვეტი მოითხოვს, რომ მოსწავლემ შეფასება საკუთარი სიტყვებით შეაჯამოს. მასწავლებელი პირველ სტრიქონს კლასთან ერთად ავსებს ნიმუშად.

მესამე აქტივობაზე დატვირთვა ჯგუფის შიგნით ნაწილდება: ერთი მოსწავლე ცხრილში ეძებს ფაქტს, მეორე არგუმენტს აყალიბებს, მესამე დებატში წარადგენს. ასე ყველა მოსწავლე მონაწილეობს მომზადებაში.

თუ ჯგუფი არგუმენტებს დანარჩენებზე ადრე მოამზადებს, მასწავლებელი ეკითხება: რომელი არგუმენტი იქნებოდა ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე ჯგუფისთვის?

მხარდამჭერი სტრატეგიები

პირველი აქტივობის ცხრილს მასწავლებელი დაფაზე ხაზავს გაკვეთილის დაწყებამდე და ის ბოლომდე რჩება, რადგან დებატის ფაქტებიც აქედან აიღება.

დებატის ორ დებულებას მასწავლებელი დაფაზე წერს და ისინი აქტივობის ბოლომდე რჩება. დაფაზევე იწერება ტერმინები: მოურავი, აზნაური, ხანი, მძევალი, ფარეშთუხუცესი.

ვახუშტი ბაგრატიონის ტექსტი ძველ ქართულზეა. მოსწავლემ ყველა სიტყვა არ უნდა გაარჩიოს – საკმარისია დაადგინოს, დადებით თუ უარყოფით შეფასებას შეიცავს ის. უცნობ სიტყვებს მასწავლებელი კითხვისას განმარტავს.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები

მოსწავლე მასალას იღებს პარაგრაფის ტექსტიდან, რვა ავტორის შეფასებიდან და ილუსტრაციებიდან: კრისტოფორო კასტელის ალბომის ნახატებიდან, ნოსტეს კოშკის, ერთაწმინდის ტაძრისა და მარაბდის ეკლესიის ფოტოებიდან.

კასტელის ნახატებზე მასწავლებელი ცალკე ჩერდება: მათი ავტორი სააკაძის თანამედროვე იყო და ნახატები იმავე დროის ცნობაა, ისევე როგორც წერილობითი ტექსტი.

ნასწავლის ჩვენება მოსწავლეს რამდენიმენაირად შეუძლია: შეავსოს ცხრილის სვეტი, წარადგინოს არგუმენტი დებატში ან დაწეროს არგუმენტი რვეულში.

7. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული მე-2 დავალება: „რის მიხედვით უნდა შეფასდეს ისტორიული პიროვნება – მისი მიზნებით, ქმედებებით თუ შედეგებით? პასუხი დაასაბუთეთ გიორგი სააკაძის მოღვაწეობის მაგალითით". მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. სამივე საფუძველი ცალ-ცალკე განიხილეთ. თითოეულზე ორ-სამ წინადადებაში აჩვენეთ, რა შეფასებამდე მიგვიყვანს ის სააკაძის შემთხვევაში;

2. თითოეულ ნაწილში დაასახელეთ ერთი კონკრეტული ფაქტი მაინც: თარიღი, ბრძოლა, გადაწყვეტილება ან ერთი ავტორის შეფასება;

3. ბოლო აბზაცში დაწერეთ, რომელ საფუძველს ირჩევთ და რატომ. ნაშრომის მოცულობაა ერთი გვერდი.

დავალება უკავშირდება მე-7 მოსალოდნელ შედეგს. პარაგრაფის პირველი დავალება ავტორთა შეფასებების შედარებას ეხება და მეორე აქტივობაზე კლასში სრულდება, ამიტომ საშინაოდ არ ეძლევა მოსწავლეებს.

8. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: პირველი ცხრილის მესამე სვეტი აჩვენებს, ახერხებს თუ არა მოსწავლე მოკავშირეებისა და მოწინააღმდეგეების დადგენას ტექსტის მიხედვით. ავტორთა ცხრილში ჩანს, შეუძლია თუ არა მას შეფასების საკუთარი სიტყვებით შეჯამება. დებატში მასწავლებელი ხედავს, ამაგრებს თუ არა მოსწავლე არგუმენტს კონკრეტული ფაქტით და შეუძლია თუ არა საწინააღმდეგო ფაქტის აღიარება. დასკვნით ნაწილში კი ჩანს, ასახელებს თუ არა იგი შეფასების საფუძველს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ორივე ცხრილის შერჩევითი გადამოწმება წყვილებში მუშაობის დროს; დებატში წარმოთქმული არგუმენტების აღრიცხვა; დასკვნითი ნაწილის წერითი არგუმენტი რვეულში; დამაზუსტებელი კითხვები საერთო მსჯელობისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორი – გამორჩეული ისტორიული პიროვნების წვლილის შეფასება ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში; ბ) სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი – ერთსა და იმავე საკითხზე შექმნილი განსხვავებული წყაროების შედარება და განსხვავების ახსნა. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

9. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა: ილია ჭავჭავაძისა და გიორგი ლეონიძის შეფასებები აჩვენებს, როგორ ხდება ისტორიული ფიგურა ლიტერატურული ინტერპრეტაციის საგანი. მოქალაქეობა: პირადი ინტერესისა და საერთო სიკეთის ურთიერთმიმართება მოქალაქეობის კურსის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია; იმავე თემას ეხება თევდორე მღვდლის არჩევანიც. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: კრისტოფორო კასტელის ალბომი XVII საუკუნის საქართველოს ვიზუალური ცნობაა და ცალკე განხილვის მასალას იძლევა.

10. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. პირველი ცხრილის რომელი სვეტი აღმოჩნდა ყველაზე რთული შესავსები და რატომ?

2. დებატში მოსწავლეებმა არგუმენტს კონკრეტული ფაქტი დაუკავშირეს თუ ზოგადი მსჯელობით შემოიფარგლნენ?

3. რამდენმა ჯგუფმა დაასახელა საკუთარი დებულების სუსტი მხარე და საჭიროა თუ არა ამ ნაბიჯის გამეორება შემდეგ დისკუსიაზე?

4. დასკვნით ნაწილში რამდენმა მოსწავლემ დაასახელა შეფასების საფუძველი და არა მხოლოდ საბოლოო დასკვნა?

11. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – XVIII საუკუნის ავტორის თხრობა XVII საუკუნის მოვლენებზე, საიდანაც სახელმძღვანელოს შეფასებაა აღებული.

2. კრისტოფორო კასტელის ალბომი და ჩანაწერები საქართველოს შესახებ – სააკაძის თანამედროვე იტალიელი მისიონერის ცნობები და ნახატები.

3. ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნი – XVII საუკუნის ქართლისა და კახეთის ვითარების შესახებ.

4. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები”, ტომი IV – შაჰ-აბას I-ის ლაშქრობებისა და 1625 წლის აჯანყების მიმოხილვა, სადაც სააკაძის შეფასების სამეცნიერო დისკუსიაცაა წარმოდგენილი.

6) 1.17. ერეკლე II

გაკვეთილი მთელ პარაგრაფს მოიცავს: ერეკლეს ყრმობასა და ირანში მიღებულ გამოცდილებას, გამეფებას, სამხედრო წარმატებებს, სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, საგარეო პოლიტიკასა და გეორგიევსკის ტრაქტატს, მეფის ტიტულატურას და მის შეფასებას ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ. მუშავდება პარაგრაფის თორმეტივე კითხვა, სამივე რუბრიკა „წყარო", ორი „მეცნიერის თვალსაზრისი" და მე-15 რუკა.

1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნებები: „ისტორიული მოვლენა/პროცესი" – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ მმართველის გადაწყვეტილება ქვეყნის შიდა შესაძლებლობებითა და საერთაშორისო ვითარებით არის განპირობებული. ერეკლე II 1782 წლამდე ევროპელ მონარქებს სთხოვდა დახმარებას; დახმარება ვერ მიიღო და მხოლოდ ამის შემდეგ დადო რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატი. დამატებით მუშავდება ცნება „სივრცე": მე-15 რუკა აჩვენებს, რომ ქართლ-კახეთი ოსმალეთის იმპერიას, ირანსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის იყო მოქცეული და მისი მოხარკე სახანოები სამხრეთ-აღმოსავლეთით იწყებოდა. მესამე ცნება, რომელიც გაკვეთილზე იკვეთება, არის „ისტორიული წყარო": მოსწავლე ადარებს ქართველი და უცხოელი ავტორების შეფასებებს და აფასებს, რამდენად სანდოა ბრიტანული ჟურნალის ცნობა.

სტანდარტის შედეგები: სტანდარტის შედეგი 6 – საქართველოს ისტორიის მოვლენებისა და პროცესების ანალიზი. გაკვეთილი ამ შედეგის ორ ინდიკატორს ემსახურება: მოვლენის მიზეზებისა და შედეგების ახსნა ქვეყნის შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით; გამორჩეული ისტორიული პიროვნების წვლილის შეფასება ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში. მუშავდება სტანდარტის შედეგი 3-ის ინდიკატორი – გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობის შეფასება დიდ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთის კუთხით, და სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი – წყაროს სანდოობის შეფასება ავტორის ვინაობისა და მიზნის მიხედვით.

2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლემ დაინახოს, რის ხარჯზე გაძლიერდა ქართლ-კახეთის სამეფო ერეკლე II-ის დროს და რა პირობებში მიიღო მეფემ საგარეო პოლიტიკის მთავარი გადაწყვეტილება. მოსწავლეები ჯერ ცხრილში ალაგებენ მეფის ღონისძიებებს სამ სფეროდ: სამხედრო, სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო. შემდეგ მე-15 რუკაზე მუშაობენ და დაფაზე აგებენ იმ ნაბიჯების თანმიმდევრობას, რომელიც 1766 წლის სტამბოლის ზავიდან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატამდე მიდის. მესამე აქტივობაზე ადარებენ ქართველი და უცხოელი ავტორების შეფასებებს და აფასებენ ბრიტანული ჟურნალის ცნობის სანდოობას. გაკვეთილი მთავრდება წერითი არგუმენტით, რომელშიც მოსწავლე სამი სფეროდან ერთს ირჩევს და არჩევანს ორი ფაქტით ასაბუთებს.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლე ტიტულატურის მიხედვით ასახელებს ორ ფაქტს ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობის შესახებ;

2. მოსწავლე ხსნის, რა გამოცდილება შეიძინა ერეკლემ ირანში და როგორ გამოადგა ეს გამოცდილება მეფობისას;

3. მოსწავლე ცხრილში ალაგებს ერეკლე II-ის ღონისძიებებს სამ სფეროდ და თითოეულ სფეროში ორ ფაქტს ასახელებს;

4. მოსწავლე მე-15 რუკაზე ასახელებს ქართლ-კახეთის მეზობელ სახელმწიფოებსა და მოხარკე სახანოებს;

5. მოსწავლე თანმიმდევრობით ასახელებს იმ სამ ნაბიჯს, რომელიც ერეკლემ 1766 წლიდან 1783 წლამდე საგარეო დახმარების საპოვნელად გადადგა;

6. მოსწავლე ასახელებს ორ არგუმენტს, რომლითაც ბრიტანული ჟურნალის ავტორი მკითხველს არწმუნებს, და ამბობს, საკმარისად მიაჩნია თუ არა ისინი;

7. მოსწავლე წერს არგუმენტს, რომელშიც სამი სფეროდან ერთს ირჩევს და არჩევანს ორი ფაქტით ასაბუთებს.

3. წინარე ცოდნის გააქტიურება

პარაგრაფ 1.16-დან მოსწავლეებმა იციან სოლომონ I-ის ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ და ის, რომ იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეები ერთობლივად მოქმედებდნენ. პარაგრაფ 1.15-დან ახსოვთ ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა და თბილისში ჩამოტანილი სტამბა, რომელიც ერეკლეს დროს აღდგა. პარაგრაფ 1.13-დან იციან, რომ XVII საუკუნეში ქართლი ირანსა და ოსმალეთს შორის იყო მოქცეული და ეს ვითარება XVIII საუკუნეშიც გრძელდებოდა. მსოფლიო ისტორიის კურსიდან მოსწავლეებმა იციან, რა იყო განმანათლებლობის ეპოქა და ვინ იყო ვოლტერი; ეს ცოდნა მეორე აქტივობაზე დასჭირდებათ. მასწავლებელს გახსნის წინ ერთი კითხვით შეუძლია წინარე ცოდნის შემოწმება: რომელ სამ დიდ სახელმწიფოს შორის იყო მოქცეული XVIII საუკუნის საქართველო?

4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: დოკუმენტის ერთი ფრაგმენტის ანალიზი; ტექსტზე მუშაობა და ცხრილის შევსება სამი სფეროს მიხედვით; რუკაზე მუშაობა; მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სქემის აგება დაფაზე; ქართველი და უცხოელი ავტორის შეფასებების შედარება; წყაროს სანდოობის შეფასება; წერითი არგუმენტის შედგენა; წყვილებში მუშაობა.

გაკვეთილი საშუალო საფეხურის მოსწავლეზეა გათვლილი: ტექსტსა და წყაროებს მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ, ცხრილს წყვილებში ავსებენ, გაკვეთილის ბოლო პროდუქტი კი წერითი არგუმენტია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გეორგიევსკის ტრაქტატი გაკვეთილზე იმ პირობებში განიხილება, რომელშიც ის დაიდო. მასწავლებელი ჯერ იმ ნაბიჯებს ალაგებინებს კლასს, რომელიც ტრაქტატს წინ უძღოდა, და მხოლოდ ამის შემდეგ სვამს კითხვას შედეგზე. მეორე საკითხი უცხოელი ავტორის შექებას ეხება: ბრიტანული ჟურნალის ტექსტი ერეკლეს დადებითად წარმოაჩენს, მაგრამ მოსწავლე მაინც ამოწმებს, რას ეყრდნობა ავტორი. კარგი შეფასებაც ისევე მოწმდება, როგორც კრიტიკული.

კავშირი თანამედროვეობასთან: XVIII საუკუნის ბრიტანელ მკითხველს შორეული ქვეყნის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ერთი ჟურნალიდან მიეწოდებოდა და მისი გადამოწმება არ შეეძლო. მასწავლებელს ეს კითხვა მესამე აქტივობაზე შეაქვს: რით შეიძლება დღეს იმის შემოწმება, რასაც შორეულ ქვეყანაზე ვკითხულობთ?

5. გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**მეფის ტიტული**
დრო	6 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი
მეთოდი	დოკუმენტის ერთი ფრაგმენტის ანალიზი
მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე წერს ერეკლე II-ის ტიტულატურას: „მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და გამგებელი განჯისა და ერევნისა”. 2. მასწავლებელი ეკითხება კლასს, რას ამბობს ეს ჩამონათვალი სამეფოს მდგომარეობაზე. მოსწავლეები ასახელებენ ორ ფაქტს: სამეფო ორ სამეფოს – ქართლსა და კახეთს – აერთიანებდა; განჯისა და ერევნის სახანოები მას ხარკს უხდიდნენ და უზენაესობას აღიარებდნენ. 3. მასწავლებელი დაფაზე წერს გაკვეთილის საკვანძო კითხვას: რის ხარჯზე მიაღწია ერეკლე II-მ ამ მდგომარეობას? კითხვა დაფაზე რჩება გაკვეთილის ბოლომდე.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე გაკვეთილს კონკრეტული დოკუმენტით იწყებს და ხედავს, რომ სამეფოს ძლიერება მისი ტიტულითაც იზომებოდა.

ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**სამი სფერო**
დრო	12 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ტექსტზე მუშაობა და ცხრილის შევსება სამი სფეროს მიხედვით

მსვლელობა	1. მასწავლებელი კლასს ახსენებს, რომ ერეკლემ ორნახევარი წელი გაატარა ნადირ-შაჰის კარზე, და სვამს პარაგრაფის პირველ და მე-2 კითხვას. ორი-სამი მოსწავლე პასუხობს. 2. წყვილები კითხულობენ პარაგრაფის ტექსტს და რვეულში ავსებენ ცხრილს სამი სვეტით: სამხედრო ღონისძიებები; სამეურნეო ღონისძიებები; კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. თითოეულ სვეტში ორი ჩანაწერი მაინც უნდა იყოს. 3. კლასი ერთად ავსებს იმავე ცხრილს დაფაზე. სამხედრო სვეტში ხვდება 1748 წელს ირანისთვის ხარკის უკანასკნელად გადახდა, აბდულა ბეგის დამარცხება და ქვემო ქართლის ციხეების დამორჩილება, 1760 წელს აზატ-ხანის ტყვედ ჩაგდება, სოლომონ I-თან ერთობლივი მოქმედება 1765-1766 წლებში და გორის, სიღნაღის, თელავის, გრემისა და პატარძეულის ციხეების აღდგენა. სამეურნეო სვეტში – მინის, აგურის, საპნისა და იარაღის მანუფაქტურები, ვერცხლისა და სპილენძის მოპოვება ახტალასა და ალავერდში, ორი ათასი ბერძენი მადნის მუშა ანატოლიიდან. კულტურულ-საგანმანათლებლო სვეტში – 1782 წელს თელავის სემინარიის დაარსება, თბილისის სტამბის აღდგენა და ევროპული გაზეთებიდან თარგმნილი ამბები. შემდეგ კლასი პასუხობს მე-5 კითხვას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე პარაგრაფის ფაქტობრივ მასალას სამ სფეროდ ალაგებს და ხედავს, რომ სამეფოს გაძლიერება მხოლოდ სამხედრო წარმატებას არ ეყრდნობოდა. მუშავდება მე-2 და მე-3 მოსალოდნელი შედეგი.

აქტივობის სახელწოდება	**ორ იმპერიას შორის და ევროპისკენ**
დრო	10 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	რუკაზე მუშაობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სქემის აგება დაფაზე

მსვლელობა	1. წყვილები მუშაობენ მე-15 რუკაზე და პასუხობენ მე-11 და მე-12 კითხვას. ისინი ასახელებენ მეზობელ სახელმწიფოებსა და მოხარკე სახანოებს, შემდეგ კი ადარებენ 1770 წლის ლაშქრობის მარშრუტსა და აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის გზას. 2. მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ოთხუჯრიან სქემას და პირველ უჯრას თავად ავსებს. მოსწავლეები დანარჩენ სამს ავსებენ: 1766 წელს ერეკლესა და სოლომონის ელჩებმა სტამბოლში საკუთარი პირობებით დადეს ზავი; 1782 წლამდე ერეკლე ევროპელ მონარქებს სთხოვდა სამხედრო და ფინანსურ დახმარებას; ევროპისთვის კავკასია შორეული რეგიონი იყო და დახმარება არ მოვიდა; 1783 წლის 24 ივლისს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი. 3. მასწავლებელი ეკითხება კლასს, რა შეინარჩუნა ქართლ-კახეთმა ტრაქტატით და რა შეიცვალა. მოსწავლეები ასახელებენ: სამეფომ შეინარჩუნა საშინაო დამოუკიდებლობა და ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო რუსეთის მფარველობა აღიარა. შემდეგ კლასი პასუხობს მე-3 და მე-4 კითხვას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ხედავს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატს კონკრეტული ნაბიჯები უძღოდა წინ, და სამეფოს მდებარეობას მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მიზეზად აღიქვამს. მუშავდება მე-4 და მე-5 მოსალოდნელი შედეგი, სტანდარტის შედეგი 3-ისა და შედეგი 6-ის ინდიკატორები.

აქტივობის სახელწოდება	**ერეკლე ქართველი და უცხოელი ავტორების თვალით**
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	შეფასებების შედარება, წყაროს სანდოობის შეფასება
მსვლელობა	1. წყვილები კითხულობენ ბრიტანული ჟურნალის 1755 წლის ტექსტს და პასუხობენ მე-8 კითხვას: რით ცდილობს ავტორი მკითხველის დარწმუნებას? მოსწავლეები ასახელებენ, რომ ავტორი იმ ადამიანებს იმოწმებს, ვისაც ერეკლე უნახავს, და დეტალურად აღწერს მის გარეგნობასა და მანერებს. შემდეგ ამბობენ, საკმარისად მიაჩნიათ თუ არა ეს არგუმენტები. 2. კლასი პასუხობს მე-9 კითხვას: რით შეიძლებოდა დაინტერესებულიყო ქართლ-კახეთის მეფით ბრიტანელი მკითხველი? მასწავლებელი აქვე სვამს კითხვას თანამედროვე პარალელზე: რით შეიძლება დღეს იმის შემოწმება, რასაც შორეულ ქვეყანაზე ვკითხულობთ? 3. მოსწავლეები კითხულობენ გერონტი ქიქოძისა და ვახტანგ გურულის თვალსაზრისებს, აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის, კიტა აბაშიძისა და ილია ჭავჭავაძის სიტყვებს. კლასი პასუხობს მე-7 და მე-10 კითხვას და ასახელებს, რაში ემთხვევა ერთმანეთს ქართველი და უცხოელი ავტორების შეფასებები.

მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ერთსა და იმავე მმართველზე შექმნილ ქართულ და უცხოურ ცნობებს ადარებს და დადებით შეფასებასაც ამოწმებს. მუშავდება მე-6 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი.

დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (9 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**რომელმა სფერომ გააძლიერა სამეფო?**
დრო	9 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	წერითი არგუმენტირება
მსვლელობა	1. მოსწავლეები რვეულში წერენ სამ-ოთხ წინადადებას: სამი სფეროდან რომელი მიაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად სამეფოს გასაძლიერებლად და რომელი ორი ფაქტი ადასტურებს მათ პასუხს. ორივე ფაქტს პირველ აქტივობაზე შევსებული ცხრილიდან იღებენ. 2. სამი-ოთხი მოსწავლე ასახელებს არჩეულ სფეროს და ორ ფაქტს. მასწავლებელი არ ამბობს, რომელი პასუხია სწორი, მაგრამ ყოველ მოსწავლეს სთხოვს, კონკრეტული ღონისძიება დაასახელოს. 3. მასწავლებელი ისევ სვამს კითხვას: რის ხარჯზე მიაღწია ერეკლე II-მ ტიტულატურაში აღწერილ მდგომარეობას? მოსწავლეები პასუხობენ და ამბობენ, შეიცვალა თუ არა მათი პასუხი გაკვეთილის დასაწყისთან შედარებით. ბოლოს მასწავლებელი აძლევს საშინაო დავალებას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე პარაგრაფის მასალას ერთ დასაბუთებულ პასუხად კრებს და მას ორი ფაქტით ამაგრებს. მუშავდება მე-7 მოსალოდნელი შედეგი.

6. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები

პირველ აქტივობაზე სამივე სვეტი ერთნაირად ადვილი არ არის. სამხედრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები ტექსტში პირდაპირაა ჩამოთვლილი, სამეურნეო კი რამდენიმე აბზაცშია გაბნეული. მასწავლებელი წყვილებს ჯერ პირველ და მესამე სვეტს ავსებინებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაჰყავს მეორეზე.

მეორე აქტივობაზე რუკის ორი კითხვა სირთულით განსხვავდება. მე-11 კითხვაზე პასუხი პირდაპირ რუკაზეა, მე-12 კი ორი მარშრუტის შედარებას მოითხოვს. მასწავლებელი მე-12 კითხვას მთელ კლასთან ერთად განიხილავს.

თუ წყვილი ცხრილს დანარჩენებზე ადრე შეავსებს, მასწავლებელი სთხოვს, უპასუხოს მე-6 კითხვას: რაში გამოიხატებოდა ერეკლე II-ის ინტერესი განმანათლებლობის იდეებისადმი?

მხარდამჭერი სტრატეგიები

სამსვეტიან ცხრილს მასწავლებელი დაფაზე ხაზავს გაკვეთილის დაწყებამდე და ის ბოლომდე რჩება, რადგან დასკვნითი ნაწილის ფაქტებიც აქედან აიღება.

დაფაზევე იწერება ტერმინები: მანუფაქტურა, ტრაქტატი, ტიტული, მდივანბეგი, მოხარკე სახანო.

ბრიტანული ჟურნალის ტექსტი ვრცელია. მოსწავლემ მთელი აღწერა არ უნდა გაარჩიოს – საკმარისია იპოვოს ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს, ვისგან იცის ნათქვამი.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები

მოსწავლე მასალას იღებს პარაგრაფის ტექსტიდან, სამი წყაროდან, ორი მეცნიერის თვალსაზრისიდან, მე-15 რუკიდან და ილუსტრაციებიდან: ერეკლეს პორტრეტიდან, თელავის სასახლისა და ბატონის ციხის ფოტოებიდან, მოჭრილი მონეტებიდან და მეფის პირადი ნივთებიდან.

ერეკლეს წერილზე ხუთი წლის თეკლასადმი მასწავლებელი ცალკე ჩერდება: წერილი ეროვნულ არქივში ინახება და სწორედ მან შემოგვინახა ხუთენოვანი ბეჭედი. ეს მოსწავლეს აჩვენებს, რომ პირადი წერილიც ისტორიული წყაროა.

ნასწავლის ჩვენება მოსწავლეს რამდენიმენაირად შეუძლია: შეავსოს ცხრილის სვეტი, უპასუხოს კითხვას რუკაზე, დაასახელოს სქემის ერთი უჯრა ან დაწეროს არგუმენტი რვეულში.

7. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება: „დაახასიათეთ ერეკლე II, როგორც ისტორიული მოღვაწე: რა გააკეთა მან ქართლ-კახეთის სამეფოს გასაძლიერებლად სამხედრო, სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში? იმსჯელეთ, რატომ დარჩა ერეკლე ქართველი ხალხის მეხსიერებაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი მეფე?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. სამივე სფერო ცალ-ცალკე განიხილეთ და თითოეულს ორი-სამი წინადადება დაუთმეთ; საფუძვლად გამოიყენეთ საკლასო მუშაობისას შევსებული ცხრილი;

2. თითოეულ სფეროში დაასახელეთ ორი კონკრეტული ფაქტი: ბრძოლა, ღონისძიება, რეფორმა;

3. ბოლო აბზაცში უპასუხეთ მეორე კითხვას – რატომ დარჩა ერეკლე ხალხის მეხსიერებაში. პასუხში გამოიყენეთ ერთი ქართველი და ერთი უცხოელი ავტორის შეფასება. ნაშრომის მოცულობაა ერთი გვერდი.

დავალება უკავშირდება მე-3 და მე-7 მოსალოდნელ შედეგს.

8. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: სამსვეტიანი ცხრილი აჩვენებს, ახერხებს თუ არა მოსწავლე ტექსტში გაბნეული ფაქტების დახარისხებას. რუკაზე მუშაობისას ჩანს, კითხულობს თუ არა იგი პირობით ნიშნებს და მარშრუტებს. სქემის შევსებისას მასწავლებელი ხედავს, სწორი თანმიმდევრობით ალაგებს თუ არა მოსწავლე მოვლენებს. ბრიტანულ ტექსტზე მუშაობისას ჩანს, პოულობს თუ არა იგი ავტორის არგუმენტს. დასკვნით ნაწილში კი ჩანს, ამაგრებს თუ არა მოსწავლე პასუხს ორი კონკრეტული ფაქტით.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ცხრილის შერჩევითი გადამოწმება წყვილებში მუშაობის დროს; რუკის ორი კითხვის ზეპირი გადამოწმება; დასკვნითი ნაწილის წერითი არგუმენტი რვეულში; დამაზუსტებელი კითხვები საერთო მსჯელობისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრი-

ტერიუმებად გამოიყენება: ა) სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორი – მოვლენის მიზეზებისა და შედეგების ახსნა ქვეყნის შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით; ბ) სტანდარტის შედეგი 3-ის ინდიკატორი – გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობის შეფასება დიდ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთის კუთხით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

9. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა: ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის სიტყვები ერეკლეზე აჩვენებს, როგორ აისახება ისტორიული მმართველი ლიტერატურულ ტექსტში. გეოგრაფია: მე-15 რუკა საშუალებას იძლევა, მოსწავლემ იმსჯელოს, როგორ განსაზღვრავდა მდებარეობა სამეფოს საგარეო კავშირებს. მოქალაქეობა: თელავის სემინარია და აღდგენილი სტამბა განათლების ინსტიტუტების მაგალითია და მოქალაქეობის კურსის შინაარსს უკავშირდება.

10. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. ცხრილის რომელი სვეტი აღმოჩნდა ყველაზე რთული შესავსები და რატომ?
2. მე-12 კითხვაზე პასუხისას მოსწავლეებმა ორი მარშრუტი შეადარეს თუ მხოლოდ ერთი მათგანი აღწერეს?
3. რამდენმა მოსწავლემ იპოვა ბრიტანულ ტექსტში ავტორის არგუმენტი და საჭიროა თუ არა ამ ნაბიჯის გამეორება შემდეგ უცხოურ წყაროზე?
4. დასკვნით ნაწილში რამდენმა მოსწავლემ დაასახელა ორივე ფაქტი და არა მხოლოდ არჩეული სფერო?

11. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ომან ხერხეულიძის თხზულება ერეკლე II-ის მეფობის შესახებ – სამეფო კარის ისტორიკოსის ცნობები, საიდანაც სახელმძღვანელოს ამონარიდია აღებული.
2. გეორგიევსკის ტრაქტატის სრული ტექსტი – მუხლების გაცნობა მასწავლებელს დაეხმარება, ზუსტად აჩვენოს კლასს, რა შეინარჩუნა და რა დათმო ქართლ-კახეთმა.
3. საქართველოს ეროვნული არქივის ელექტრონული რესურსები – ერეკლე II-ის წერილები, სიგელები და ხუთენოვანი ბეჭედი.
4. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტომი IV – XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის მიმოხილვა, სადაც გეორგიევსკის ტრაქტატის შეფასების სამეცნიერო დისკუსიაცაა წარმოდგენილი.

7) 1.18. ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები

გაკვეთილი მოიცავს: თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ პროგრამას, ცვლილებებს რუსეთის იმპერიაში, იმპერიის რეპრესიულ პოლიტიკასა და მასზე პასუხს, დიმიტრი ყიფიანის საქმეს, განათლებისა და ქართული ენის საკითხს და 70-იან წლებში მომხდარ განხეთქილებას.

1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნებები: „საზოგადოება“ – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ საზოგადოება თავის ენასა და კულტურას კონკრეტული დაწესებულებებით იცავს. თერგდალეულებმა შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი და დრამატული საზოგადოებები, დააარსეს სკოლები, გამოსცეს ჟურნალ-გაზეთები და საბანკო სახსრები ქართული განათლების სამსახურში ჩააყენეს. დამატებით მუშავდება ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი”: იმპერიის რეპრესიულმა პოლიტიკამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასუსტება კი არა, გაძლიერება გამოიწვია. მესამე ცნება, რომელიც გაკვეთილზე იკვეთება, არის „ისტორიული წყარო”: მოსწავლე მუშაობს პუბლიცისტურ ტექსტზე და ადგენს, რას ამტკიცებს ავტორი და რა მიზნით.

სტანდარტის შედეგები: სტანდარტის შედეგი 4 – საქართველოს საზოგადოების განვითარების გააზრება. გაკვეთილი ამ შედეგის იმ ინდიკატორს ემსახურება, რომელიც კონკრეტული ეპოქის საზოგადოების დახასიათებას ითვალისწინებს მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით. მუშავდება სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორი – მოვლენის მიზეზებისა და შედეგების ახსნა ქვეყნის შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, და სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი – წყაროს დახასიათება ავტორის პოზიციისა და შექმნის მიზნის მიხედვით.

2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლემ დაინახოს, რომ თერგდალეულთა მოღვაწეობა იყო იმპერიის კონკრეტულ ღონისძიებებზე ეფექტური პასუხი. მოსწავლეები ჯერ ჩამოწერენ, რა ღონისძიებები გაატარა იმპერიამ ქართული ენისა და კულტურის წინააღმდეგ და განიხილავენ დიმიტრი ყიფიანის საქმეს. შემდეგ ჯგუფებში იმუშავებენ იმაზე, როგორ პასუხობდნენ თერგდალეულები და საერთო ცხრილში დააკავშირებენ იმპერიის ნაბიჯს მათ პასუხთან. მესამე აქტივობაზე ორ პუბლიცისტურ ტექსტს დაამუშავებენ და დაადგენენ, როგორ ესმოდათ თერგდალეულებს ეროვნული მოძრაობის მიზანი. გაკვეთილი მთავრდება წერითი არგუმენტით მათი მოღვაწეობის მთავარი შედეგის შესახებ.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლე ასახელებს იმპერიის ღონისძიებებს, რომლებიც ქართული ენისა და კულტურის წინააღმდეგ იყო მიმართული;

2. მოსწავლე ხსნის, რატომ მიმართა დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსს და რატომ გადაიქცა მისი დაკრძალვა საპროტესტო გამოსვლად;

3. მოსწავლე ასახელებს თერგდალეულების მიერ შექმნილ მინიმუმ ორ საზოგადოებრივ ორგანიზაციას და განმარტავს მათ ფუნქციასა და მნიშვნელობას;

4. მოსწავლე პუბლიცისტური ტექსტის მიხედვით მსჯელობს, რას არ უნდა შეიცავდეს პატრიოტიზმი და რისკენ უნდა იყოს ის მიმართული;

5. მოსწავლე წერს არგუმენტს თერგდალეულთა მოღვაწეობის ძირითადი შედეგის შესახებ და ორი ფაქტით ასაბუთებს მას.

3. წინარე ცოდნის გააქტიურება

პარაგრაფ 1.17-იდან მოსწავლეებმა იციან, რომ 1783 წელს ქართლ-კახეთმა გეორგიევსკში ხელშერულება/ტრაქტატი გააფორმა, რომელიც რუსეთმა დაარღვია. საბაზო საფეხურიდან მათ ახსოვთ, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიას შეუერთდა და რომ ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა. ქართული ლიტერატურის კურსიდან მოსწავლეებისთვის ნაცნობია ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ და იაკობ გოგებაშვილის „დედაენა”. მსოფლიო ისტორიის კურსიდან იციან, რა იყო XIX საუკუნის ევროპული ეროვნული მოძრაობები. მასწავლებელს გახსნის წინ ერთი კითხვით შეუძლია წინარე ცოდნის შემოწმება: როგორ შეიცვალა საქართველოს მდგომარეობა XIX საუკუნის დასაწყისში?

4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ორი სახელწოდების შედარება; ტექსტზე მუშაობა და ღონისძიებების ჩამონათვალის შედგენა; ჯგუფური მუშაობა და საერთო ცხრილის შევსება; იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკისა და მასზე თერგდალეულთა პასუხის/მოქმედების დაკავშირება ცხრილში; პუბლიცისტური ტექსტის ანალიზი; წერითი არგუმენტის შედგენა; წყვილებში მუშაობა.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: იაკობ გოგებაშვილის ტექსტი პირდაპირ ამბობს, რომ მამულის სიყვარული სხვისი სიძულვილითა და დათრგუნვის სურვილით არ იზომება. ეს გაკვეთილის ცენტრალური ღირებულებითი საკითხია და მასწავლებელი მას ტექსტზე დაყრდნობით განიხილავს. მეორე საკითხი ბრძოლის ფორმებს ეხება: თერგდალეულებმა სკოლა, გაზეთი, თეატრი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია გამოიყენეს. მესამე საკითხი 70-იანი წლების განხეთქილებაა: მასწავლებელი არ ამბობს, რომელი მხარე იყო მართალი და კლასს თითოეული მხარის პრიორიტეტს ასახელებინებს.

კავშირი თანამედროვეობასთან: ენისა და კულტურის დაცვა დღესაც სხვადასხვა დაწესებულებაზეა დამოკიდებული – სკოლაზე, გამომცემლობაზე, თეატრსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

5. გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**ორი სახელწოდება**
დრო	8 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი
მეთოდი	ორი სახელწოდების შედარება

მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე წერს ორ ჩანაწერს: „საქართველო“ და „ტფილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია”. შემდეგ ამბობს, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში იმპერიის მოხელეებს პირველი სახელწოდების ნაცვლად მეორის გამოყენება დაევალათ. 2. მასწავლებელი ეკითხება კლასს, რას ნიშნავს ქვეყნისთვის სახელწოდების ოფიციალური გაუქმება? ორი-სამი მოსწავლე პასუხობს ამ კითხვას. 3. მასწავლებელი დაფაზე წერს გაკვეთილის საკვანძო კითხვას: როგორ პასუხობდნენ თერგდალეულები იმპერიის პოლიტიკას? კითხვა დაფაზე რჩება გაკვეთილის ბოლომდე.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე გაკვეთილს კონკრეტული ფაქტით იწყებს და საკვანძო კითხვას მთელი გაკვეთილის განმავლობაში მიჰყვება.

ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**იმპერიის ღონისძიებები და დიმიტრი ყიფიანის საქმე**
დრო	13 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ტექსტზე მუშაობა და ღონისძიებების ჩამონათვალის შედგენა
მსვლელობა	1. წყვილები კითხულობენ მონაკვეთს „ცვლილებები რუსეთის იმპერიაში და თერგდალეულები“ და რვეულში ჩამოწერენ იმპერიის ოთხ ღონისძიებას მაინც. დაფაზე გამოტანილი პასუხებია: 1881 წელს ამიერკავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმება და ადმინისტრაციული ავტონომიის დაკარგვა; „საეჭვო პირების“ გასამართლების გარეშე გადასახლების უფლება; ცენზურის გამკაცრება და ქართული ჟურნალ-გაზეთების შეზღუდვა; სკოლებში ქართული ენით სწავლებისა და ქართულად ლაპარაკის აკრძალვა; ქართველი მასწავლებლების ჩანაცვლება; სახელწოდება „საქართველოს“ გამოყენების აკრძალვა. 2. მოსწავლეები კითხულობენ სერგი მესხის წერილს იანოვსკისადმი და პასუხობენ მე-4, მე-5 და მე-6 კითხვას. 3. მასწავლებელი კლასს აცნობს დიმიტრი ყიფიანის საქმეს: ეგზარქოს პავლემ ქართველი ხალხი საჯაროდ დაწყევლა, ყიფიანმა კი საპროტესტო წერილში მისი გაძევება მოითხოვა და ამის გამო სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც 1887 წელს მოკლეს. კლასი პასუხობს მე-11 და მე-12 კითხვას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე იმპერიის პოლიტიკას კონკრეტული ღონისძიებების სახით ხედავს და აანალიზებს, თუ როგორ იქცა პროტესტი საერთო ეროვნულ გამოსვლად. მუშავდება პირველი და მე-2 მოსალოდნელი შედეგი.

აქტივობის სახელწოდება	**თერგდალეულთა პასუხი რუსუფიკატურულ პოლიტიკას**
დრო	13 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ჯგუფში, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ჯგუფური მუშაობა და საერთო ცხრილის შევსება
მსვლელობა	1. კლასი ოთხ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი მუშაობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, მეორე – თეატრზე, მესამე – განათლებასა და ქართულ ენაზე, მეოთხე – პრესასა და დაფინანსებაზე. თითოეული ჯგუფი პასუხობს ორ კითხვას: რა შექმნეს ან რა გააკეთეს თერგდალეულებმა ამ მიმართულებით? იმპერიის რომელ ღონისძიებას პასუხობდა ეს ნაბიჯი? 2. ჯგუფები რიგრიგობით წარადგენენ პასუხს და მასწავლებელი დაფაზე ავსებს სამსვეტიან ცხრილს: პრობლემა/საჭიროება, პასუხი, მოსალოდნელი შედეგი. ცხრილში ხვდება 1879 წელს დაარსებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მის მიერ გახსნილი სკოლები; 1880 წელს შექმნილი ქართული დრამატული საზოგადოება და 1882 წელს დადგმული პიესა „სამშობლო"; 1876 წელს გამოცემული „დედაენა" და მოთხოვნა ქართული უნივერსიტეტის გახსნაზე; ჟურნალ-გაზეთები „ივერია" და „დროება" და საბანკო სახსრები, რომელთა უდიდესი ნაწილი ქართული სკოლებისა და თეატრის დაფინანსებას მოხმარდა. 3. კლასი პასუხობს მე-7, მე-8, მე-13 და მე-14 კითხვას. მასწავლებელი აქვე სვამს კითხვას თანამედროვე პარალელზე: რომელი დაწესებულებები იცავს ენასა და კულტურას დღეს?
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ხედავს, რომ თერგდალეულთა ყოველი ნაბიჯი კონკრეტულ შეზღუდვას პასუხობდა და რომ მოძრაობა დაწესებულებების შექმნით მოქმედებდა. მუშავდება მე-3 და მე-4 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 4-ის ინდიკატორი.

დასკვნითი ნაწილი – შეჯამება (11 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**როგორ ესმოდათ თერგდალეულებს ეროვნული მოძრაობა**
დრო	11 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	პუბლიცისტური ტექსტის ანალიზი

მსვლელობა	1. წყვილები კითხულობენ იაკობ გოგებაშვილის 1882 წლის სტატიის ნაწყვეტს და პასუხობენ მე-9 კითხვას: ტექსტის მიხედვით, რას არ უნდა შეიცავდეს მამულის სიყვარული და რისკენ უნდა იყოს ის მიმართული? 2. მოსწავლეები კითხულობენ ილია ჭავჭავაძის ტექსტს ერისა და ისტორიის შესახებ და პასუხობენ პარაგრაფის პირველ კითხვას. 3. კლასი პასუხობს მე-2, მე-3 და მე-10 კითხვას. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ თერგდალეულებმა ევროპული იდეები არ გაიმეორეს უცვლელად, არამედ ქართველი ხალხის საჭიროებებს მოარგეს.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე პუბლიცისტურ ტექსტში პოულობს ავტორის მთავარ მტკიცებას და ხედავს, რომელ ღირებულებებს ეყრდნობოდა ეროვნული მოძრაობა. მუშავდება მე-5 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი.

6. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები

პირველ აქტივობაზე ღონისძიებების ჩამოწერა ტექსტიდან ხდება და საბაზისო დონეა. უფრო რთულია მე-5 კითხვა, რომელიც ითხოვს იმის ახსნას, რა მიზანს ემსახურებოდა მშობლიური ენის სკოლიდან განდევნა. მასწავლებელი ამ კითხვას მთელ კლასთან ერთად განიხილავს.

მეორე აქტივობაზე ჯგუფებს სხვადასხვა მოცულობის მასალა ხვდებათ. განათლებისა და ქართული ენის მიმართულება ორ მონაკვეთშია გაშლილი, თეატრისა კი ერთ აბზაცში. ამიტომ შესაძლებელია მესამე ჯგუფი მეტი მოსწავლისაგან შედგეს.

თუ ჯგუფი პასუხს დანარჩენებზე ადრე მოამზადებს, მასწავლებელი სთხოვს, დაასახელოს, რომელი ნაბიჯი აღმოჩნდა ყველაზე ხანგრძლივი შედეგის მომტანი და რატომ.

მხარდამჭერი სტრატეგიები

ორსვეტიან ცხრილს მასწავლებელი დაფაზე ხაზავს გაკვეთილის დაწყებამდე და ის ბოლომდე რჩება, რადგან დასკვნითი ნაწილის ფაქტებიც აქედან აიღება.

დაფაზევე იწერება ტერმინები და სახელები: თერგდალეული, ეგზარქოსი, მთავარმართებელი, ცენზურა, გუბერნია.

ილია ჭავჭავაძის ტექსტი XIX საუკუნის ქართულითაა დაწერილი და გრძელი პერიოდები აქვს. მოსწავლემ მთელი ნაწყვეტი არ უნდა გაარჩიოს – საკმარისია იპოვოს ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს, რა ემართება ერს, რომელსაც ისტორია დაავიწყდა.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები

მოსწავლე მასალას იღებს პარაგრაფის ტექსტიდან, სამი წყაროდან და ილუსტრაციებიდან: ილია ჭავჭავაძის ფოტოებიდან, დიმიტრი ყიფიანისა და იაკობ გოგებაშვილის პორტრეტებიდან, პიესა „სამშობლოს“ აფიშიდან და სპექტაკლის სცენის ფოტოდან, გაზეთ „დროების“ ნომრიდან.

სპექტაკლის ფოტოზე მასწავლებელი ცალკე ჩერდება: სცენაზე გამოტანილი დროშის ეპიზოდი აჩვენებს, რატომ იქცა თეატრი ეროვნული ცნობიერების ერთ-ერთ საშუალებად.

ნასწავლის ჩვენება მოსწავლეს რამდენიმენაირად შეუძლია: შეავსოს ცხრილის სვეტი, წარადგინოს ჯგუფის პასუხი, უპასუხოს კითხვას წყაროზე ან დაწეროს არგუმენტი რვეულში.

7. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება: „იმსჯელეთ, რა იყო თერგდალეულთა მოღვაწეობის მთავარი შედეგი ქართველი ხალხისთვის: რა საკითხები წამოსწიეს მათ წინ და როგორ შეცვალეს ხალხის დამოკიდებულება საკუთარი ერისა და მომავლის მიმართ?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. პირველ ნაწილში დაასახელეთ სამი საკითხი, რომელიც თერგდალეულებმა წინ წამოსწიეს, და თითოეულს ერთი წინადადებით ახსენით; საფუძვლად გამოიყენეთ საკლასო მუშაობისას შევსებული ცხრილი;

2. მეორე ნაწილში დაასახელეთ ორი კონკრეტული დაწესებულება ან გამოცემა და დაწერეთ, რა შეცვალა თითოეულმა;

3. ბოლო აბზაცში უპასუხეთ, როგორ შეიცვალა ხალხის დამოკიდებულება საკუთარი ერისა და მომავლის მიმართ. ნაშრომის მოცულობაა ერთი გვერდი.

დავალება უკავშირდება მე-3 მოსალოდნელ შედეგს.

8. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: ღონისძიებების ჩამონათვალი აჩვენებს, ახერხებს თუ არა მოსწავლე ტექსტიდან კონკრეტული ფაქტების გამოყოფას. ჯგუფის წარდგენისას ჩანს, უკავშირებს თუ არა იგი თერგდალეულთა ნაბიჯს იმ შეზღუდვას, რომელსაც ის პასუხობდა. პუბლიცისტურ ტექსტზე მუშაობისას მასწავლებელი ხედავს, პოულობს თუ არა მოსწავლე ავტორის მთავარ მტკიცებას. დასკვნით ნაწილში კი ჩანს, აფუძნებს თუ არა იგი პასუხს კონკრეტულ ფაქტს/ფაქტებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ღონისძიებების ჩამონათვალის შერჩევითი გადამოწმება წყვილებში მუშაობის დროს; ჯგუფის წარდგენა ორ კითხვაზე; დასკვნითი ნაწილის წერითი არგუმენტი რვეულში; დამაზუსტებელი კითხვები საერთო მსჯელობისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) სტანდარტის შედეგი 4-ის ინდიკატორი – კონკრეტული ეპოქის საზოგადოების დახასიათება მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით; ბ) სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორი – მოვლენის მიზეზებისა და შედეგების ახსნა ქვეყნის შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

9. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

ქართული ენა და ლიტერატურა: ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა და იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ორივე საგნის სასწავლო მასალაა და გაკვეთილი მათ ისტორიულ კონტექსტში ათავსებს. მოქალაქეობა: საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლი და მშობლიურ ენაზე განათლების საკითხი მოქალაქეობის კურსის შინაარსია. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: 1882 წელს დადგმული პიესა „სამშობლო“ და ქართული თეატრის აღორძინება ცალკე განხილვის მასალას იძლევა.

10. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. იმპერიის ღონისძიებების ჩამოწერისას რომელი ფაქტი გამორჩათ მოსწავლეებს ყველაზე ხშირად?

2. ჯგუფებმა თერგდალეულთა ნაბიჯი კონკრეტულ შეზღუდვას დაუკავშირეს თუ ზოგადად ჩამოთვალეს გაკეთებული საქმეები?

3. რამდენმა მოსწავლემ იპოვა გოგებაშვილის ტექსტში ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს, რას არ უნდა შეიცავდეს მამულის სიყვარული?

4. დასკვნით ნაწილში რამდენმა მოსწავლემ დაასახელა ორივე ფაქტი და არა მხოლოდ საერთო შედეგი?

11. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. ილია ჭავჭავაძის თხზულებები – „მგზავრის წერილები", „ბედნიერი ერი" და პუბლიცისტური წერილები, საიდანაც სახელმძღვანელოს ამონარიდებია აღებული.

2. იაკობ გოგებაშვილის „დედაენა" და პედაგოგიური წერილები – მშობლიურ ენაზე სწავლების დასაბუთება თავად ავტორის ტექსტებში.

3. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისადმი მიძღვნილი გამოცემები – საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლებისა და გამოცემული წიგნების ნუსხა.

4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული არქივი – გაზეთების „ივერია" და „დროება" ნომრები, რომლებიც მასწავლებელს ეპოქის პრესის უშუალო გაცნობის საშუალებას აძლევს.

8) 1.20. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები

გაკვეთილის სანიმუშო მოდელი

გაკვეთილი მოიცავს: დისიდენტურ მოძრაობას და მის ლიდერებს, 1988 წლის საპროტესტო აქციებს, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას, 1990-1991 წლების არჩევნებსა და რეფერენდუმს, დამოუკიდებლობის აღდგენას და მომდევნო თვეების მოვლენებს. მუშავდება პარაგრაფის თორმეტივე კითხვა და ოთხივე რუბრიკა „წყარო".

1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნებები: „ძალაუფლება" – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ მმართველობის ფორმა განსაზღვრავს, რა უფლება აქვს მოქალაქეს და როგორ ყალიბდება ხელისუფლება. საბჭოთა სისტემაში მოქალაქეს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება არ ჰქონდა; 1990 და 1991 წლებში კი ხელისუფლება არჩევნებით შეიქმნა და დამოუკიდებლობა რეფერენდუმის საფუძველზე გამოცხადდა. დამატებით მუშავდება ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი": დისიდენტთა მცირერიცხოვანი მოძრაობა მასობრივ საზოგადოებრივ მოძრაობად გადაიქცა. მესამე ცნება, რომელიც გაკვეთილზე იკვეთება, არის „ისტორიული წყარო": მოსწავლე მუშაობს თანადროულ დოკუმენტზე და მსჯელობს იმაზე, რატომ აშუქებდა ცენტრალური საბჭოთა პრესა მოვლენებს არასწორად.

სტანდარტის შედეგები: სტანდარტის შედეგი 5 – ძალაუფლების ფორმებისა და მმართველობის სისტემების ევოლუციის გააზრება. გაკვეთილი ამ შედეგის ორ ინდიკატორს ემსახურება: მმართველობის სხვადასხვა ფორმის თავისებურებების განხილვა და შედარება; მოსაზრების ჩამოყალიბება მმართველობის ეფექტიანობისა და სამართლიანობის შესახებ. მუშავდება სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორი – მოვლენის მიზეზებისა და შედეგების ახსნა შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, და სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი – წყაროს დახასიათება ავტორის პოზიციისა და შექმნის მიზნის მიხედვით.

2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლემ დაინახოს, რომ 1991 წლის 9 აპრილი ერთი დღის გადაწყვეტილება არ იყო და მას ოთხი ათეული წლის მოძრაობა უძღოდა წინ. მოსწავლეები ჯერ ცხრილში ალაგებენ ბრძოლის ფორმებს სამ ეტაპზე: 1950-იან, 1970-იან და 1980-იან წლებში. შემდეგ დაამუშავებენ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიმართვას და დაადგენენ, რა მოთხოვნებს აყენებდა ის და რას ემსახურებოდა თითოეული. მესამე აქტივობაზე თანმიმდევრობით ალაგებენ 1990-1991 წლების მოვლენებს არჩევნებიდან დამოუკიდებლობის აღდგენის აქტამდე. გაკვეთილი მთავრდება არგუმენტირებული წერითი ნამუშევრით, რომელშიც მოსწავლე აფასებს, რა როლი შეასრულა თითოეულმა ეტაპმა.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლე ცხრილში თანმიმდევრობით წარმოაჩენს განმათავისუფლებელი ბრძოლის/მოძრაობის ფორმებს სამივე ეტაპის მიხედვით;

2. მოსწავლე ასახელებს უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიმართვის მოთხოვნებს და ხსნის, რას ემსახურებოდა თითოეული;

3. მოსწავლე ხსნის, რატომ აშუქებდა ცენტრალური საბჭოთა პრესა თბილისის მოვლენებს არასწორად და ასახელებს ორ ნიშანს, რომლითაც ინფორმაციის სანდოობა მოწმდება;

4. მოსწავლე წერს არგუმენტს იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულა თითოეულმა ეტაპმა დამოუკიდებლობის აღდგენაში და მოყავს კონკრეტული არგუმენტები.

3. წინარე ცოდნის გააქტიურება

პარაგრაფ 1.18-იდან მოსწავლეებმა იციან, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნული მოძრაობა განათლების, პრესისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებით მოქმედებდა. საბაზო საფეხურიდან მათ ახსოვთ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობა და 1921 წლის თებერვლის მოვლენები. მსოფლიო ისტორიის კურსიდან იციან, რა იყო ტოტალიტარული რეჟიმი და როგორ დაიწყო საბჭოთა კავშირში კრიზისი 1980-იან წლებში. მასწავლებელს გახსნის წინ ერთი კითხვით შეუძლია წინარე ცოდნის შემოწმება: რომელი დღე ითვლება საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღად?

4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: ორი თარიღის შედარება; ტექსტზე მუშაობა და ცხრილის შევსება სამი ეტაპის მიხედვით; დოკუმენტის ანალიზი მოთხოვნების მიხედვით; მოვლენების თანმიმდევრობის აღდგენა დაფაზე; წერითი არგუმენტის შედგენა; წყვილებში მუშაობა.

გაკვეთილი საშუალო საფეხურის მოსწავლეზეა გათვლილი: დოკუმენტებს მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ, პასუხს დასაბუთებული მტკიცების სახით აყალიბებენ, გაკვეთილის ბოლო პროდუქტი კი წერითი არგუმენტია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: 9 აპრილის მოვლენები გაკვეთილზე თავშეკავებული ტონით განიხილება. მასწავლებელი ასახელებს ფაქტებს – მშვიდობიანი აქციის დარბევას, ოცდაერთი ადამიანის დაღუპვას და პარლამენტის წინ აღმართულ მემორიალს და თხრობას ემოციური დეტალებით არ ავრცობს. მეორე საკითხი ინფორმაციის სანდოობას ეხება: პარაგრაფის მე-8 კითხვა პირდაპირ ითხოვს მსჯელობას იმაზე, რატომ სჭირდებოდა ტოტალიტარულ სახელმწიფოს მოვლენების არასწორად წარმოჩენა. მესამე საკითხი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს უკავშირდება: დოკუმენტი ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების უფლებებს ცალკე უსვამს ხაზს და კლასი მსჯელობს, რატომ არის აუცილებელი ყველას თანასწორობა და უფლებების დაცვა.

კავშირი თანამედროვეობასთან: 9 აპრილი დღეს სახელმწიფო დღესასწაულია. მასწავლებელს ეს ფაქტი დასკვნით ნაწილში შემოაქვს, როცა კლასი პასუხობს, რატომ აირჩია ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოსაცხადებლად სწორედ ეს დღე.

5. გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**ერთი დღე, ორი წელი**
დრო	6 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი
მეთოდი	ორი თარიღის შედარება

მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე წერს ორ თარიღს: 1989 წლის 9 აპრილი და 1991 წლის 9 აპრილი. შემდეგ ამბობს, რომ პირველი მშვიდობიანი მიტინგის დარბევის დღეა, მეორე კი – დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების დღე. 2. მასწავლებელი ეკითხება კლასს, რატომ შეიძლება აერჩია ხელისუფლებას დამოუკიდებლობის აქტის გამოსაცხადებლად სწორედ ეს თარიღი. 3. მასწავლებელი დაფაზე წერს გაკვეთილის საკვანძო კითხვას: რა გზა გაიარა ეროვნულმა მოძრაობამ 1991 წლის 9 აპრილამდე? კითხვა დაფაზე რჩება გაკვეთილის ბოლომდე.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე გაკვეთილს ორი თარიღის კავშირზე დაფიქრებით იწყებს და მათ ახსნას გაკვეთილის ბოლოს იღებს.

ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**ბრძოლის ფორმები სამ ეტაპზე**
დრო	11 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ტექსტზე მუშაობა და ცხრილის შევსება სამი ეტაპის მიხედვით
მსვლელობა	1. მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ პარაგრაფის ნაწილს: 1950-იანი წლები; 1970-იანი წლები; 1980-იანი წლების ბოლო. და ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ საკითხებზე: ვინ მოქმედებდა; ბრძოლის ფორმა; ხელისუფლების რეაქცია. შემდეგ კლასი ერთად ავსებს სამსვეტიან ცხრილს დაფაზე. პირველ სტრიქონში ხვდება 1956 წელს შექმნილი „გორგასლიანი“ და ქუჩაში გაკრული პროკლამაციები, ხელისუფლების პასუხად კი დევნა და შევიწროება. მეორეში – 1977 წელს დაარსებული საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი და არალეგალური ჟურნალები „საქართველოს მოამბე“ და „ოქროს საწმისი”, პასუხად – დაპატიმრებები და გადასახლება. მესამეში – 1988 წლის მრავალათასიანი მიტინგები, პასუხად – აქციის ძალით დაშლის მცდელობა. 2. კლასი პასუხობს პარაგრაფის პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 კითხვას, შემდეგ კი მე-5 და მე-6 კითხვას. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ბრძოლის ფორმა ეტაპებთან ერთად იცვლებოდა: ფარული პროკლამაციიდან ღია საზოგადოებრივ ორგანიზაციამდე და შემდეგ მასობრივ მიტინგამდე.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ხედავს, რომ ეროვნული მოძრაობა ორმოცი წლის განმავლობაში ვითარდებოდა და მისი ფორმა ეტაპობრივად იცვლებოდა. მუშავდება პირველი მოსალოდნელი შედეგი.

აქტივობის სახელწოდება	**1989 წლის 9 აპრილი და უნივერსიტეტის მიმართვა**
დრო	10 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	დოკუმენტის ანალიზი მოთხოვნების მიხედვით
მსვლელობა	1. წყვილები კითხულობენ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიმართვას და ჩამოწერენ მის ოთხ მოთხოვნას. თითოეულთან ერთი წინადადებით წერენ, რას ემსახურებოდა ის: დამნაშავეთა დადგენას, ხელისუფლების განახლებას, დაღუპულთა ხსოვნის აღნიშვნას თუ ინფორმაციის გასწორებას. 2. კლასი პასუხობს მე-7 და მე-8 კითხვას. მასწავლებელი მე-8 კითხვაზე მსჯელობას ორ ნიშნამდე მიჰყავს, რომლითაც ინფორმაციის სანდოობა მოწმდება: ვინ ავრცელებს ცნობას და ადასტურებს თუ არა მას მეორე, დამოუკიდებელი წყარო. შემდეგ კლასი პასუხობს მე-9 კითხვას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე თანადროულ დოკუმენტში პოულობს კონკრეტულ მოთხოვნებს და მსჯელობს ინფორმაციის სანდოობაზე. მუშავდება მე-2 და მე-3 მოსალოდნელი შედეგი, სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორი.

აქტივობის სახელწოდება	**არჩევნებიდან დამოუკიდებლობის აღდგენამდე**
დრო	9 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი
მეთოდი	მოვლენების თანმიმდევრობის აღდგენა დაფაზე
მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ხუთუჯრიან სქემას და პირველ უჯრას თავად ავსებს. მოსწავლეები დანარჩენ ოთხს ავსებენ: 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები; 1990 წლის 14 ნოემბერს სახელწოდების შეცვლა და 1921 წლის 25 თებერვლის შეფასება ოკუპაციად; 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი; 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 2. მოსწავლეები კითხულობენ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ტექსტს და პასუხობენ მე-11 კითხვას: რატომ უსვამს დოკუმენტი ხაზს ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების უფლებებს?
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე აღადგენს მოვლენების თანმიმდევრობას და ხედავს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენას სამართლებრივი ნაბიჯების რიგი უძღოდა წინ. მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორები.

დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (9 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**რატომ 9 აპრილი**
დრო	9 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი, შემდეგ ინდივიდუალურად
მეთოდი	წერითი არგუმენტის შედგენა
მსვლელობა	1. მასწავლებელი ისევ სვამს გახსნის კითხვას და კლასი პასუხობს მე-10 კითხვას: რატომ აირჩია ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოსაცხადებლად 9 აპრილი და რატომ დაეყრდნო 1918 წლის 26 მაისის აქტს? მოსწავლეები ამოწმებენ, რომელი საწყისი ვარაუდი დადასტურდა. 2. მოსწავლეები რვეულში წერენ სამ-ოთხ წინადადებას: სამი ეტაპიდან რომელს მიიჩნევენ ყველაზე მნიშვნელოვნად დამოუკიდებლობის აღდგენისთვის და რომელი ორი ფაქტი ადასტურებს მათ პასუხს. ორივე ფაქტს პირველ აქტივობაზე შევსებული ცხრილიდან ან დაფაზე აგებული სქემიდან იღებენ. 3. ორი-სამი მოსწავლე ასახელებს არჩეულ ეტაპს და ორ ფაქტს. მასწავლებელი არ ამბობს, რომელი პასუხია სწორი, მაგრამ ყოველ მოსწავლეს სთხოვს, კონკრეტული ფაქტი დაასახელოს. ბოლოს აძლევს საშინაო დავალებას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე პარაგრაფის მასალას ერთ დასაბუთებულ პასუხად კრებს და მას ორი ფაქტით ამაგრებს. მუშავდება მე-5 მოსალოდნელი შედეგი.

6. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები

პირველ აქტივობაზე ცხრილის პირველი ორი სვეტი ტექსტიდან პირდაპირ ივსება, მესამე კი მოითხოვს, რომ მოსწავლემ ხელისუფლების პასუხი თავად ამოკრიბოს ტექსტიდან. მასწავლებელი წყვილებს ჯერ პირველ ორ სვეტს ავსებინებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაჰყავს მესამეზე.

მეორე აქტივობაზე მიმართვის ოთხი მოთხოვნის ჩამოწერა საბაზისო ნაბიჯია; თითოეულის დანიშნულების ახსნა უკვე დასკვნას მოითხოვს. მასწავლებელი პირველ მოთხოვნას კლასთან ერთად განიხილავს ნიმუშად.

თუ წყვილი დავალებას დანარჩენებზე ადრე დაასრულებს, მასწავლებელი სთხოვს, უპასუხოს კითხვას: რომელი მოთხოვნა შესრულდა უახლოეს თვეებში და რომელი დარჩა შეუსრულებელი?

მხარდამჭერი სტრატეგიები

ბრძოლის ფორმების ცხრილს მასწავლებელი დაფაზე გაკვეთილის დაწყებამდე ხაზავს. შევსებული ცხრილი გაკვეთილის ბოლომდე რჩება: დასკვნით ნაწილში მოსწავლეები სწორედ მისგან იღებენ იმ ორ ფაქტს, რომლითაც წერილობით ასაბუთებენ არგუმენტს. დაფაზევე იწერება ტერმინები: დისიდენტი, პროკლამაცია, პერესტროიკა, ტოტალიტარიზმი, რეფერენდუმი.

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი სამართლებრივი ენით არის დაწერილი. მოსწავლემ მთელი ტექსტი არ უნდა გაარჩიოს, არამედ, საკმარისია იპოვოს ის ადგილი, სადაც ჯგუფების უფლებებზეა საუბარი.

თემა უახლეს წარსულს ეხება და ზოგიერთ მოსწავლეს ოჯახში მოსმენილი ამბები ახსოვს. მასწავლებელს შეუძლია მოისმინოს ისინი, ოღონდ იმავე წესით, რომელიც სხვა წყაროზე ვრცელდება: ვინ ჰყვება, თვითმხილველია თუ არა და რით დასტურდება ნათქვამი.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები

მოსწავლე მასალას იღებს პარაგრაფის ტექსტიდან, ოთხი წყაროდან და ილუსტრაციებიდან: 1988 წლის ნოემბრის აქციის ფოტოდან, 9 აპრილის მემორიალის, 1990 წლის არჩევნებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოსახულებებიდან.

1988 წლის აქციის ფოტოზე მასწავლებელი ცალკე ჩერდება: ფოტო აჩვენებს მონაწილეთა რაოდენობას და მოსწავლეს დაანახვებს, რომ მოძრაობა უკვე მასობრივი იყო.

ნასწავლის ჩვენება მოსწავლეს რამდენიმენაირად შეუძლია: შეავსოს ცხრილის სვეტი, ჩამოწეროს დოკუმენტის მოთხოვნები, დაასახელოს სქემის ერთი უჯრა ან დაწეროს არგუმენტი რვეულში.

7. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება: „იმსჯელეთ, როგორ მიაღწია ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობის აღდგენას? რა როლი შეასრულა ამ გზაზე დისიდენტურმა მოძრაობამ, 9 აპრილის ტრაგედიამ და 1990-1991 წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა? დაასაბუთეთ, რატომ შეიძლება ითქვას, რომ 1991 წლის 9 აპრილი ხანგრძლივი ეროვნული ბრძოლის შედეგი იყო". მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. სამივე ეტაპი ცალ-ცალკე განიხილეთ და თითოეულს ორი-სამი წინადადება დაუთმეთ; საფუძვლად გამოიყენეთ საკლასო მუშაობისას შევსებული ცხრილი;

2. თითოეულ ეტაპზე დაასახელეთ ორი კონკრეტული ფაქტი: თარიღი, ორგანიზაცია, დოკუმენტი ან მოვლენა;

3. ბოლო აბზაცში დაასაბუთეთ, რატომ შეიძლება ითქვას, რომ 1991 წლის 9 აპრილი ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი იყო. ნაშრომის მოცულობაა ერთი გვერდი.

დავალება უკავშირდება პირველ, მე-4 და მე-5 მოსალოდნელ შედეგს.

8. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: სამსვეტიანი ცხრილი აჩვენებს, ახერხებს თუ არა მოსწავლე ბრძოლის ფორმისა და ხელისუფლების პასუხის გამიჯვნას. მიმართვაზე მუშაობისას ჩანს, პოულობს თუ არა იგი დოკუმენტში კონკრეტულ მოთხოვნას. სქემის შევსებისას მასწავლებელი ხედავს, სწორი თანმიმდევრობით ალაგებს თუ არა მოსწავლე მოვლენებს. დასკვნით ნაწილში კი ჩანს, ასაბუთებს თუ არა იგი პასუხს ორი კონკრეტული ფაქტით.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: ცხრილის შერჩევითი გადამოწმება წყვილებში მუშაობის დროს; მიმართვის ოთხი მოთხოვნის ზეპირი გადამოწმება; დასკვნითი ნაწილის წერითი არგუმენტი რვეულში; დამაზუსტებელი კითხვები საერთო მსჯელობისას.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორი – მმართველობის სხვადასხვა ფორმის თავისებურებების განხილვა და შედარება; ბ) სტანდარტის შედეგი 6-ის

ინდიკატორი – მოვლენის მიზეზებისა და შედეგების ახსნა შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

9. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

მოქალაქეობა: ადამიანის უფლებები, არჩევნები და რეფერენდუმი, როგორც ხალხის ნების გამოხატვის ფორმა, მოქალაქეობის კურსის ცენტრალური საკითხებია; იმავე კურსს უკავშირდება მე-8 კითხვა ინფორმაციის სანდოობის შესახებ. სამართალი: დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და 1918 წლის 26 მაისის აქტი სამართლებრივი მემკვიდრეობის მაგალითია. გეოგრაფია: საბჭოთა კავშირის დაშლა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბება პოლიტიკური რუკის ცვლილებაზე მსჯელობის საშუალებას იძლევა.

10. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. ცხრილის მესამე სვეტი რომელ ეტაპზე აღმოჩნდა ყველაზე რთული შესავსები და რატომ?
2. მიმართვის ოთხი მოთხოვნიდან რომლის დანიშნულების ახსნა გაუჭირდათ მოსწავლეებს?
3. მე-8 კითხვაზე მსჯელობისას მოსწავლეებმა ინფორმაციის შემოწმების კონკრეტული ნიშნები დაასახელეს თუ ზოგადი მოსაზრებით შემოიფარგლნენ?
4. დასკვნით ნაწილში რამდენმა მოსწავლემ დაასახელა ორივე ფაქტი და არა მხოლოდ არჩეული ეტაპი?

11. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის სრული ტექსტი – დოკუმენტის გაცნობა მასწავლებელს დაეხმარება, ზუსტად აჩვენოს კლასს, რომელ საერთაშორისო ნორმებს ეყრდნობა იგი.
2. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კოლექციები – 1988-1991 წლების პრესა და ფოტომასალა.
3. საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტები 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შესახებ.
4. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ უახლესი პერიოდისადმი მიძღვნილი ტომი – საბჭოთა სისტემის კრიზისისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მიმოხილვა.

1.5. დავით III დიდი. ბაგრატ III. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის

გაკვეთილი მოიცავს: X საუკუნის საერთაშორისო ვითარებას, გაერთიანების ხელშემწყობ გარემოებებს, ბაგრატ III-ის მემკვიდრეობით უფლებებს, დავით III კურაპალატის ურთიერთობას ბიზანტიასთან, ბაგრატ III-ის ბრძოლას სამეფო ხელისუფლების გასაძლიერებლად, კახეთ-ჰერეთის შემოერთებას და მეფის სამშენებლო საქმიანობას. მუშავდება პარაგრაფის თერთმეტივე კითხვა, ორივე რუბრიკა „წყარო", მარიამ ლორთქიფანიძის თვალსაზრისი, გენეალოგიური სქემა და მე-7 რუკა.

1. კავშირი სტანდარტთან

სამიზნე ცნებები: „ისტორიული მოვლენა/პროცესი" – გაკვეთილი ამუშავებს ცნების იმ ასპექტს, რომ დიდი ისტორიული პროცესი ერთდროულად ორ მნიშვნელოვან გარემოებას ეყრდნობა: ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებას და კონკრეტული ადამიანების გადაწყვეტილებებს. საქართველოს გაერთიანება არაბთა სახალიფოს დაშლისა და ეკლესიის გაერთიანების პირობებში მოხდა, თუმცა მას ორი მმართველის – დავით III კურაპალატისა და ბაგრატ III-ის – მიზანმიმართული მოქმედება სჭირდებოდა. დამატებით მუშავდება ცნება „სივრცე": შიდა ქართლზე კონტროლი გაერთიანების საკვანძო საკითხი იყო, რადგან ამ რეგიონზე მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები გადიოდა. მესამე ცნება, რომელიც გაკვეთილზე იკვეთება, არის „ძალაუფლება": ბაგრატ III-ის ტიტული ეტაპობრივად იცვლებოდა და თითოეული საფეხური კონკრეტული ტერიტორიის შემოერთებას, ზოგადად კი, ქვეყნის გაერთიანების პროცესს ასახავდა.

სტანდარტის შედეგები: სტანდარტის შედეგი 6 – საქართველოს ისტორიის მოვლენებისა და პროცესების ანალიზი. გაკვეთილი ამ შედეგის ორ ინდიკატორს ემსახურება: მოვლენის მიზეზებისა და შედეგების ახსნა ქვეყნის შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით; გამორჩეული ისტორიული პიროვნებების წვლილის შეფასება ქართული სახელმწიფოს განვითარებაში. მუშავდება სტანდარტის შედეგი 3-ის ინდიკატორი – გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობის შეფასება სავაჭრო გზებისა და სტრატეგიული მდებარეობის კუთხით, და სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორი – ძალაუფლების სიმბოლოების, მათ შორის ტიტულატურის, შედარება.

2. გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

გაკვეთილის მიზანია: მოსწავლემ უპასუხოს კითხვას, რამ განაპირობა საქართველოს გაერთიანება: ხელსაყრელმა გარემოებებმა თუ კონკრეტულ მმართველთა პოლიტიკამ. მოსწავლეები ჯერ ჩამოწერენ იმ გარემოებებს, რომლებმაც გაერთიანება შესაძლებელი გახადა და მე-7 რუკის გამოყენებით დაადგენენ, რატომ იყო შიდა ქართლი საკვანძო რეგიონი. შემდეგ ჯგუფებში იმუშავებენ ორი მმართველის გადაწყვეტილებებზე და თითოეულს შედეგს დაუკავშირებენ. მესამე აქტივობაზე ბაგრატ III-ის ტიტულის სამ საფეხურს დაალაგებენ და თითოეულს კონკრეტული ტერიტორიის შემოერთებას მიუსადაგებენ. გაკვეთილი მთავრდება წერითი არგუმენტით, რომელშიც მოსწავლე საკვანძო კითხვას პასუხობს და პასუხს ორი ფაქტით ასაბუთებს.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლე ასახელებს გარემოებებს, რომელმაც საქართველოს გაერთიანება შესაძლებელი გახადა;

2. მოსწავლე მე-7 რუკისა და ტექსტის მიხედვით ხსნის, რატომ იყო შიდა ქართლი გაერთიანებისთვის ბრძოლის საკვანძო რეგიონი;

3. მოსწავლე ასახელებს დავით III კურაპალატისა და ბაგრატ III-ის ორ-ორ გადაწყვეტილებას და მსჯელობს თითოეულის შედეგზე;

4. მოსწავლე თანმიმდევრობით ალაგებს ბაგრატ III-ის ტიტულის სამ საფეხურს და თითოეულს უკავშირებს კონკრეტული ტერიტორიის შემოერთებას;

5. მოსწავლე წერს/აყალიბებს არგუმენტს იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა საქართველოს გაერთიანება და პასუხს ორი ფაქტით ასაბუთებს.

3. წინარე ცოდნის გააქტიურება

პარაგრაფ 1.4-იდან მოსწავლეებმა იციან, რა ადგილი ეკავა აფხაზთა სამეფოს ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. პარაგრაფ 1.3-იდან მათ ახსოვთ, რომ ქართული სამეფოები დიდი იმპერიების ინტერესთა გადაკვეთაზე იმყოფებოდნენ და მმართველები ამ პირობებში ირჩევდნენ მოკავშირეს. მსოფლიო ისტორიის კურსიდან იციან, როგორ დაიშალა არაბთა სახალიფო და როგორ გაძლიერდა ბიზანტიის იმპერია X საუკუნეში; ეს ცოდნა პირველ აქტივობაზე დასჭირდებათ. მასწავლებელს გახსნის წინ ერთი კითხვით შეუძლია წინარე ცოდნის შემოწმება: რომელი ქართული სამეფოები არსებობდა X საუკუნის საქართველოში?

4. მეთოდები და დიდაქტიკური მიდგომები

გამოსაყენებელი მეთოდები: საწყისი პოზიციის დაფიქსირება; ტექსტზე მუშაობა და გარემოებების ჩამონათვალის შედგენა; გენეალოგიურ სქემასა და რუკაზე მუშაობა; ჯგუფური მუშაობა და გადაწყვეტილებების ცხრილის შევსება; ეტაპების დალაგება ტიტულების მიხედვით; წერითი არგუმენტის შედგენა; წყვილებში მუშაობა.

ტექსტსა და წყაროებს მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ, ჯგუფის პასუხი დასაბუთებული მტკიცების სახით ყალიბდება, გაკვეთილის ბოლო პროდუქტი კი წერითი არგუმენტია.

ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მიდგომები: გაერთიანება მხოლოდ ბრძოლით/სამხედრო გზით არ მიღწეულა. მასწავლებელი კლასს იმ ნაბიჯებსაც ასახელებინებს, რომლებიც მემკვიდრეობას, ეკლესიის გაერთიანებასა და დიდებულებთან შეთანხმებას ეყრდნობოდა. მეორე საკითხი ტერმინოლოგიას ეხება: სახელწოდებები „აფხაზთა მეფე“ და „აფხაზთა და ქართველთა სამეფო“ X-XI საუკუნეების ტიტულებია და სამეფოს შემადგენლობას ასახავს. მასწავლებელი მათ ისტორიულ მნიშვნელობას განმარტავს.

კავშირი თანამედროვეობასთან: მასწავლებელს დასკვნით ნაწილში ერთი კითხვით შეუძლია იმის გამოკვეთა, რომ ისტორიკოსები დღესაც სვამენ კითხვას, რა როლი აქვს ცალკეულ ადამიანს ისტორიულ პროცესებში.

5. გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის გახსნა – ჩართვა და წინარე ცოდნის გააქტიურება (6 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**გარემოებები თუ ადამიანები**
დრო	6 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი

მეთოდი	საწყისი პოზიციის დაფიქსირება
მსვლელობა	1. მასწავლებელი დაფაზე წერს გაკვეთილის საკვანძო კითხვას: საქართველოს გაერთიანება უფრო ხელსაყრელმა გარემოებებმა განაპირობა თუ კონკრეტული მმართველების პოლიტიკამ? 2. მოსწავლეები ჯერ კიდევ ტექსტის წაკითხვამდე აფიქსირებენ პასუხს. ორი-სამი მოსწავლე მოკლედ ასაბუთებს არჩევანს. 3. მასწავლებელი ეუბნება კლასს, რომ ორივე პასუხის სასარგებლოდ არსებობს ფაქტები და გაკვეთილის ბოლოს თითოეული მოსწავლე დაწერს, რომელ პასუხს ირჩევს და რა არგუმენტით.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე გაკვეთილის დასაწყისშივე ფიქრობს კითხვაზე, რომელზეც გაკვეთილის ბოლოს დასაბუთებული პასუხი უნდა გასცეს.

ძირითადი ნაწილი – აქტიური სწავლა და წყაროებზე მუშაობა (30 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	რამ გახადა გაერთიანება შესაძლებელი
დრო	12 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	წყვილებში მუშაობა, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ტექსტზე მუშაობა და გარემოებების ჩამონათვალის შედგენა, გენეალოგიურ სქემასა და რუკაზე მუშაობა
მსვლელობა	1. წყვილები კითხულობენ პარაგრაფის პირველ ორ მონაკვეთს და რვეულში ჩამოწერენ იმ გარემოებებს, რომლებმაც ქვეყნის გაერთიანება შესაძლებელი გახადა. დაფაზე გამოტანილი პასუხებია: არაბთა სახალიფოს დაშლა და არაბული გავლენის შესუსტება; დასავლეთ საქართველოს ეკლესიის შეერთება მცხეთის საკათალიკოსოსთან; ბრძოლა შიდა ქართლისთვის, რომელშიც ქართული სამეფოები ერთმანეთს ეცილებოდნენ; ბაგრატ III-ის მემკვიდრეობითი უფლებები სამ ტახტზე. 2. მოსწავლეები ეცნობიან ბაგრატ III-ის გენეალოგიურ სქემას და პასუხობენ მე-5 კითხვას, შემდეგ კი მე-3 კითხვას. მასწავლებელი აზუსტებს, რომ ბაგრატი ერთდროულად სამი სამეფოს მემკვიდრე იყო: მამის მხრიდან – ამიერტაოს, როგორც დავით კურაპალატის მემკვიდრე – იმიერტაოს, დედის მხრიდან კი აფხაზთა სამეფოს. 3. წყვილები მუშაობენ მე-7 რუკაზე და პასუხობენ მე-7 და მე-8 კითხვას. მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ შიდა ქართლზე მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები გადიოდა და ეს რეგიონი ეკონომიკურადაც ერთ-ერთი უმდიდრესი იყო. ბოლოს კლასი პასუხობს პირველ და მე-10 კითხვას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ჩამოწერს გაერთიანების ხელშემწყობ გარემოებებს და რუკაზე ხედავს, რატომ იყო შიდა ქართლი საკვანძო რეგიონი. მუშავდება პირველი და მე-2 მოსალოდნელი შედეგი, სტანდარტის შედეგი 3-ის ინდიკატორი.

აქტივობის სახელწოდება	ორი მმართველის გადაწყვეტილებები
დრო	12 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ჯგუფში, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	ჯგუფური მუშაობა და გადაწყვეტილებების ცხრილის შევსება
მსვლელობა	1. კლასი ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი მუშაობს დავით III კურაპალატზე, მეორე – ბაგრატ III-ზე. თითოეული ჯგუფი ასახელებს ორ გადაწყვეტილებას და მათ შედეგს. 2. ჯგუფები წარადგენენ პასუხს და მასწავლებელი დაფაზე ავსებს ცხრილის სამ სვეტს: მმართველი, გადაწყვეტილება, შედეგი. პირველი ჯგუფის პასუხებია: 975 წელს შიდა ქართლის დაკავება და ბაგრატის დასმა ამ რეგიონის გამგებლად; 978 წელს თორმეტიათასიანი ლაშქრის გაგზავნა ბიზანტიის დასახმარებლად, რასაც თეოდოსიპოლისა და ბასიანის მიღება მოჰყვა; 987-989 წლებში ბარდა ფოკას მხარეზე დადგომა, რის შედეგადაც დავით კურაპალატი იძულებული გახდა, ტერიტორიების ნაწილი ბიზანტიისთვის ეანდერძა. მეორე ჯგუფის პასუხებია: 978 წელს თიღვასთან გამარჯვება განდგომილ აზნაურებზე; ბაღვაშთა მმართველობის დასრულება თრიალეთში; 1008-1010 წლებში კახეთ-ჰერეთის შემოერთება; 1011 წელს კლარჯეთის მმართველების შეპყრობა და არტანუჯის დაკავება. 3. კლასი პასუხობს მე-2, მე-6 და მე-9 კითხვას. მასწავლებელი ყურადღებას მიაქცევს, რომ დავით კურაპალატის ერთი გადაწყვეტილება წარმატებული აღმოჩნდა, მეორემ კი ქვეყანას ზიანი მოუტანა.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ორი მმართველის ნაბიჯებს შედეგებთან ერთად აღწერს და ხედავს, რომ მმართველის გადაწყვეტილება წარმატებულიც შეიძლება იყოს და წარუმატებელიც. მუშავდება მე-3 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორები.

აქტივობის სახელწოდება	ტიტული და შემოერთება
დრო	6 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი
მეთოდი	ეტაპების დალაგება ტიტულების მიხედვით

მსვლელობა	1. მოსწავლეები კითხულობენ მარიამ ლორთქიფანიძის თვალსაზრისს და დაფაზე თანმიმდევრობით ალაგებენ ბაგრატ III-ის ტიტულის სამ საფეხურს: „მეფე აფხაზთა“ 978 წლიდან; „ქართველთა მეფე და კურაპალატი“ 1001 წლიდან; „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“ 1010 წლიდან. 2. კლასი თითოეულ საფეხურს უკავშირებს კონკრეტულ მოვლენას: კუთაისში გამეფებას, ამიერტაოს მემკვიდრეობის მიღებას და კახეთ-ჰერეთის შემოერთებას. მასწავლებელი განმარტავს, რომ ეს სახელწოდებები იმდროინდელი ტიტულებია და სამეფოს შემადგენლობას ასახავს. 3. კლასი პასუხობს მე-11 კითხვას. მასწავლებელი მოკლედ ასახელებს ბაგრატ III-ის სამშენებლო საქმიანობას: ბედიის, ნიკორწმინდისა და ბაგრატის ტაძრებს, გზებსა და ხიდებს.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე ხედავს, რომ ტიტული პროცესს ასახავდა და მისი ყოველი საფეხური კონკრეტული ტერიტორიის შემოერთებას შეესაბამებოდა. მუშავდება მე-4 მოსალოდნელი შედეგი და სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორი.

დასკვნითი ნაწილი – შეჯამება და რეფლექსია (9 წუთი)

აქტივობის სახელწოდება	**პასუხი საკვანძო კითხვაზე**
დრო	9 წუთი
კლასის ორგანიზების ფორმა	ინდივიდუალურად, შემდეგ მთელი კლასი
მეთოდი	წერითი არგუმენტის შედგენა
მსვლელობა	1. მოსწავლეები რვეულში წერენ სამ-ოთხ წინადადებას: პასუხობენ გახსნისას დასმულ კითხვას და ორი ფაქტით ასაბუთებენ პასუხს. ერთი ფაქტი გარემოებების ჩამონათვალიდან უნდა აიღონ, მეორე – გადაწყვეტილებების ცხრილიდან. 2. სამი-ოთხი მოსწავლე ასახელებს პასუხს და ორ ფაქტს. მასწავლებელი არ ამბობს, რომელი პასუხია სწორი, მაგრამ ყოველ მოსწავლეს სთხოვს, კონკრეტული ფაქტი დაასახელოს. 3. მასწავლებელი ეკითხება კლასს, შეიცვალა თუ არა მათი პასუხი გაკვეთილის დასაწყისთან შედარებით და ერთი კითხვით გამოკვეთს, რომ ისტორიკოსები დღესაც მსჯელობენ ცალკეული ადამიანის როლზე ისტორიულ პროცესებში. ბოლოს კლასს აძლევს საშინაო დავალებას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე წერილობით პასუხობს გახსნის კითხვას და პასუხს ორი ფაქტით ასაბუთებს: გარემოებების ჩამონათვალიდან და გადაწყვეტილებების ცხრილიდან. მუშავდება მე-5 მოსალოდნელი შედეგი.

6. დიფერენცირება და სწავლების უნივერსალური დიზაინი

მრავალდონიანი დავალებები

პირველ აქტივობაზე ორი დავალება სირთულით განსხვავდება. გარემოებების ჩამოწერისას პასუხი ტექსტშივეა და მოსწავლემ ის უნდა იპოვოს. გენეალოგიური სქემა უფრო რთულია: მოსწავლემ სამი ნათესაური ხაზი უნდა გაარჩიოს – მამის, დედისა და აღმზრდელის და თითოეულს ის ტახტი დაუკავშიროს, რომელზეც ბაგრატს უფლება ჰქონდა. სქემას მასწავლებელი მთელ კლასთან ერთად განიხილავს.

მეორე აქტივობაც ორ ნაბიჯიანია და ისინიც არათანაბარი სირთულისაა. გადაწყვეტილების დასახელება ტექსტში მოცემული ინფორმაციიდან ხდება, შედეგის ჩამოყალიბება კი მოსწავლისგან დასკვნის ფორმულირებას მოითხოვს. ცხრილის პირველ სტრიქონს მასწავლებელი კლასთან ერთად ავსებს ნიმუშად.

თუ ჯგუფი პასუხს დანარჩენებზე ადრე მოამზადებს, მასწავლებელი სთხოვს, დაასახელოს, მისი ჯგუფის ორი გადაწყვეტილებიდან რომელი აღმოჩნდა უფრო მნიშვნელოვანი გაერთიანებისთვის და დაასაბუთოს არჩევანი.

მხარდამჭერი სტრატეგიები

გადაწყვეტილებების ცხრილს მასწავლებელი დაფაზე გაკვეთილის დაწყებამდე ხაზავს. შევსებული ცხრილი გაკვეთილის ბოლომდე რჩება, რადგან დასკვნით ნაწილში მოსწავლეები აქედან იღებენ იმ ფაქტს, რომელიც მმართველთა პოლიტიკას ეხება.

მასწავლებელი დაფაზე წერს ტერმინებს: კურაპალატი, მაგისტროსი, საკათალიკოსო და ერისთავი. აქვე წერს სახელწოდებებს იმიერტაო და ამიერტაო და განმარტავს, რომელ სამეფოს ნიშნავს თითოეული. ეს ორი სახელწოდება მთელ გაკვეთილს გასდევს და მათ გარეშე ბაგრატის მემკვიდრეობითი უფლებები გაუგებარი დარჩება.

წარმოდგენისა და გამოხატვის მრავალფეროვანი გზები

მოსწავლე ინფორმაციას იღებს პარაგრაფის ტექსტიდან, ორი წყაროდან, გენეალოგიური სქემიდან, მე-7 რუკიდან და ილუსტრაციებიდან: ოშკის სტელისა და ბარელიეფის, ბედიის ტაძრისა და ბარძიმის, ბაგრატის ტაძრისა და ნიკორწმინდის კათედრალის გამოსახულებებიდან.

ბედიის ბარძიმზე მასწავლებელი ცალკე ჩერდება: მის კიდეზე შემონახული წარწერა ბაგრატ მეფესა და გურანდუხტ დედოფალს ასახელებს, ანუ ნივთი თავად არის იმ დროის წერილობითი წყარო.

ცოდნის გამოხატვა მოსწავლეს რამდენიმენაირად შეუძლია: შეავსოს ცხრილის სტრიქონი, უპასუხოს რუკასთან დაკავშირებულ კითხვას, დაალაგოს მეფის ტიტულის საფეხურები ან დაწეროს არგუმენტი რვეულში.

7. საშინაო დავალება

პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება: „ბაგრატ III-ის ტიტულატურა ეტაპობრივად იცვლებოდა: ჯერ „აფხაზთა მეფე”, შემდეგ „ქართველთა მეფე და კურაპალატი”, ბოლოს „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, კურაპალატი”. რას გვიჩვენებს ტიტულატურის ამგვარი ცვლილება საქართველოს გაერთიანების პროცესის შესახებ?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას:

1. სამივე საფეხური ცალ-ცალკე განიხილეთ და თითოეულს მიუთითეთ წელი და ის ტერიტორია, რომელიც მას შეესაბამება;

2. თითოეულ საფეხურთან დაასახელეთ ის მოვლენა, რომელმაც ტიტულის ცვლილება გამოიწვია;

3. ბოლო აბზაცში დაწერეთ, რას გვიჩვენებს ეს ცვლილება გაერთიანების პროცესის შესახებ: მოხდა ის ერთბაშად თუ ეტაპობრივად და რით ასაბუთებთ

დავალება უკავშირდება მე-4 და მე-5 მოსალოდნელ შედეგს.

8. შეფასება

განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში: გარემოებების ჩამონათვალი აჩვენებს, ახერხებს თუ არა მოსწავლე ტექსტში გაბნეული ფაქტების გამოყოფას. გენეალოგიურ სქემასა და რუკაზე მუშაობისას ჩანს, კითხულობს თუ არა იგი არატექსტურ მასალას. ჯგუფის წარდგენისას მასწავლებელი ხედავს, ახერხებს თუ არა მოსწავლე გადაწყვეტილების შედეგთან დაკავშირებას. დასკვნით ნაწილში კი ჩანს, ეფუძნება თუ არა მოსწავლის პასუხი კონკრეტულ ფაქტს/ფაქტებს.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: არსებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური გარემოებების ჩამონათვალის შერჩევითი გადამოწმება წყვილებში მუშაობის დროს; ჯგუფის წარდგენა მეფის გადაწყვეტილებების შესახებ; სამეფო ტიტულის საფეხურების დალაგების ზეპირი გადამოწმება; დასკვნითი ნაწილის წერითი არგუმენტი რვეულში.

განმსაზღვრელი შეფასება: ამ გაკვეთილზე მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებად გამოიყენება: ა) სტანდარტის შედეგი 6-ის ინდიკატორი – მოვლენის მიზეზებისა და შედეგების ახსნა ქვეყნის შიდა ვითარებისა და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით; ბ) სტანდარტის შედეგი 5-ის ინდიკატორი – ძალაუფლების სიმბოლოების, მათ შორის ტიტულატურის, შედარება. შესრულების ხარისხი ფასდება საკლასო მუშაობისა და წერითი საშინაო დავალების მიხედვით.

9. საგანთაშორისი ინტეგრაციის შესაძლებლობები

გეოგრაფია: მე-7 რუკა და შიდა ქართლზე გამავალი სავაჭრო გზები საშუალებას იძლევა, მოსწავლემ იმსჯელოს, როგორ განსაზღვრავს რეგიონის მდებარეობა მის პოლიტიკურ მნიშვნელობას. ქართული ენა და ლიტერატურა: გიორგი მერჩულეს ცნობილი ფორმულა ქართული მიწების ერთიანობის შესახებ ორივე საგნის სასწავლო მასალაა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ბედიის, ნიკორწმინდისა და ბაგრატის ტაძრები X-XI საუკუნეების ხუროთმოძღვრების ნიმუშებია.

10. მასწავლებლის რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები

1. გენეალოგიურ სქემაზე მუშაობისას რომელი ხაზის გარჩევა გაუჭირდათ მოსწავლეებს?

2. ჯგუფებმა გადაწყვეტილებას შედეგი დაუკავშირეს თუ მხოლოდ ჩამოთვალეს მოვლენები?

3. დასკვნით ნაწილში რამდენმა მოსწავლემ დაასახელა ორივე ფაქტი და არა მხოლოდ საბოლოო პასუხი?

11. სასწავლო რესურსები მასწავლებლისთვის

1. „მატიანე ქართლისა“ – თხზულების სრული ტექსტი „ქართლის ცხოვრებაში”, საიდანაც სახელმძღვანელოს ორივე ამონარიდია აღებული.

2. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – თხზულება, სადაც ქართული მიწების ერთიანობის ცნობილი ფორმულაა ჩამოყალიბებული.

3. მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომები საქართველოს გაერთიანების შესახებ – ტიტულატურის ცვლილებისა და გაერთიანების ეტაპების დეტალური განხილვა.

4. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რესურსები – ბედიის, ნიკორწმინდისა და ბაგრატის ტაძრების შესახებ მასალა.

ნაწილი IV. პროექტული დავალება

პროექტული დავალების ადგილი სასწავლო პროცესში

თემა ერთი პროექტული დავალებით სრულდება. იგი ოცივე პარაგრაფის მასალას ეყრდნობა და იმ კითხვას უბრუნდება, რომლითაც სახელმძღვანელო თემას იწყებს: პიროვნებები ქმნიან ისტორიას თუ ისტორია აყალიბებს პიროვნებებს.

პროექტი ჩვეულებრივი დავალებისგან სამი ნიშნით განსხვავდება. პირველი: იგი ერთ პარაგრაფს არ ეყრდნობა და მოსწავლეს რამდენიმე გაკვეთილზე დაგროვილი მასალის შეჯერებას სთხოვს. მეორე: შედეგი წარსადგენი პროდუქტია და არა რვეულში ჩაწერილი პასუხი. მესამე: მუშაობა ჯგუფურია და თითოეულ მონაწილეს საკუთარი წილი აქვს.

პროექტს ორი საათი ეთმობა: პირველი – ჯგუფურ მუშაობასა და მომზადებას, მეორე – წარდგენებსა და საერთო დისკუსიას. სამუშაოს ნაწილი სახლში სრულდება.

პროექტი ორი დოკუმენტისგან შედგება: დავალება მოსწავლისთვის და ინსტრუქცია მასწავლებლისთვის. პირველი მოსწავლეს ურიგდება, მეორე მასწავლებელს რჩება.

დავალება მოსწავლისთვის

რა შეიცვალა ერთი ადამიანის მოქმედებით?

თემის დასაწყისში დასმულ კითხვას – პიროვნებები ქმნიან ისტორიას თუ ისტორია აყალიბებს პიროვნებებს – ერთი სწორი პასუხი არ აქვს. თქვენ ამ კითხვას ერთი კონკრეტული ადამიანის მაგალითზე უპასუხებთ.

რა უნდა გააკეთოთ

1. ჯგუფთან ერთად აირჩიეთ ერთი პიროვნება თემიდან.
2. შეავსეთ პიროვნების ბარათის ოთხივე ნაწილი.
3. უპასუხეთ ორ საკვლევ კითხვას.
4. მოამზადეთ ერთგვერდიანი ბარათი და ხუთწუთიანი წარდგენა.

პიროვნების ბარათი

ეპოქა და ვითარება. აღწერეთ, რა მდგომარეობაში იყო ქვეყანა მაშინ, როცა ეს ადამიანი მოქმედებდა: ვინ იყვნენ მოწინააღმდეგეები, რა შეზღუდვები არსებობდა და რა შესაძლებლობა ჰქონდა მმართველს. სამი-ოთხი წინადადება.

გადაწყვეტილებები. დაასახელეთ ორი ან სამი კონკრეტული გადაწყვეტილება თარიღით. თითოეულთან დაწერეთ, რა პრობლემას პასუხობდა იგი.

შედეგები. თითოეულ გადაწყვეტილებასთან დაწერეთ, რა შეიცვალა უახლოეს წლებში და რა შედეგი დარჩა გრძელვადიანად.

შეფასება. მოიყვანეთ ერთი წყარო ან ერთი მეცნიერის თვალსაზრისი სახელმძღვანელოდან და დაწერეთ, როგორ აფასებს ეს ავტორი თქვენს პიროვნებას.

ორი საკვლევი კითხვა

1. რა შეიცვალა ამ ადამიანის მოქმედებით? პასუხში ორი კონკრეტული ცვლილება დაასახელეთ.

2. რომელი ცვლილება მოხდებოდა მაინც, ეს ადამიანი რომ არ ყოფილიყო? პასუხი სახელმძღვანელოში მოცემულ ან დამოუკიდებლად მოძიებულ ისტორიულ ფაქტს უნდა ეყრდნობოდეს და არა მხოლოდ ვარაუდს.

როგორ შეფასდება თქვენი მუშაობა

ბარათი და წარდგენა ოთხი კრიტერიუმით შეფასდება: რამდენად ზუსტად აღწერეთ ეპოქა და გადაწყვეტილებები; რამდენად დაუკავშირეთ გადაწყვეტილებას შედეგი; როგორ გამოი-

ყენეთ წყარო ან მეცნიერის შეფასება; რამდენად დასაბუთებულია თქვენი პასუხი ორ საკვლევ კითხვაზე.

წარდგენების შემდეგ კლასი ერთად იმსჯელებს და თითოეული თქვენგანი დაწერს საკუთარ პასუხს თემის საკვანძო კითხვაზე – ხუთი-შვიდი წინადადება, სულ მცირე ორი ფაქტით.

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის

პროექტის მიზანი და კავშირი სტანდარტთან

პროექტი სტანდარტის შედეგი 6-ის იმ ინდიკატორს ემსახურება, რომელიც გამორჩეული ისტორიული პიროვნების წვლილის შეფასებას ითვალისწინებს ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში. მეორე საკვლევი კითხვა – რა მოხდებოდა ამ ადამიანის გარეშე – იმავე შედეგის კიდევ ერთ ინდიკატორს უკავშირდება: ვარაუდის გამოთქმას იმის შესახებ, როგორ განვითარდებოდა საქართველოს ისტორია მოვლენების განსხვავებული მსვლელობის შემთხვევაში. წყაროსა და მეცნიერის თვალსაზრისის გამოყენება სტანდარტის შედეგი 1-ის ინდიკატორს ამუშავებს.

ჯგუფების შედგენა და პიროვნებების განაწილება

კლასი ხუთ ან ექვს ჯგუფად იყოფა. პიროვნებებს მასწავლებელი წინასწარ შედგენილი ნუსხიდან ანაწილებს ისე, რომ ეპოქები არ განმეორდეს და თემის სხვადასხვა მონაკვეთი იყოს წარმოდგენილი. სასურველია, ნუსხაში მოხვდეს როგორც ადრეული, ისე უახლესი პერიოდის პიროვნება.

ჯგუფს შეუძლია, აირჩიოს ის პიროვნება, რომელზეც სცენარი დაწერილია, ოღონდ საკლასო მუშაობისას ნანახის გარდა ახალი მასალაც უნდა დაამატოს. ეს პირობა ჯგუფს წინასწარ უნდა ეცნობოს.

პირველი საათი: ჯგუფური მუშაობა

1. მასწავლებელი აცნობს კლასს დავალებას და ურიგებს ბარათის ფორმას – ხუთი წუთი.

2. ჯგუფები ავსებენ ბარათის პირველ ორ ნაწილს, ეპოქასა და გადაწყვეტილებებს – თხუთმეტი წუთი. მასწავლებელი ჯგუფებს რიგრიგობით უახლოვდება და ამოწმებს, კონკრეტული გადაწყვეტილება დაასახელეს თუ საქმიანობის ზოგადი აღწერა დაწერეს.

3. ჯგუფები ავსებენ მესამე და მეოთხე ნაწილს, შედეგებსა და შეფასებას – თხუთმეტი წუთი.

4. მასწავლებელი ანაწილებს როლებს წარდგენისთვის და ჯგუფებს ავალებს, ორ საკვლევ კითხვაზე პასუხი სახლში მოამზადონ – ათი წუთი.

მეორე საათი: წარდგენები და საერთო დისკუსია

1. ჯგუფები რიგრიგობით წარადგენენ ბარათს – თითოეულს ხუთი წუთი, სულ ოცდახუთი-ოცდაათი წუთი.

2. მასწავლებელი დაფაზე ავსებს საერთო ცხრილს ორი სვეტით: რა შეიცვალა ამ ადამიანის მოქმედებით; რა მოხდებოდა მაინც. სვეტები წარდგენების პარალელურად ივსება – ხუთი წუთი.

3. მოსწავლეები რვეულში წერენ პასუხს თემის საკვანძო კითხვაზე: ხუთი-შვიდი წინადადება, სულ მცირე ორი ფაქტით – ათი წუთი.

სავარაუდო სირთულეები და მათი პრევენციის საშუალებები

ჯგუფი ანალიზის ნაცვლად ბიოგრაფიას წერს. ეს ყველაზე ხშირი შემთხვევაა. მასწავლებელი ჯგუფს სთხოვს, ბარათის მეორე ნაწილიდან ამოშალოს ყველაფერი, რასაც თარიღი არ ახლავს.

მეორე საკვლევი კითხვაზე ზოგაჯერ მოსწავლეები არარეალისტურ ვითარებას წარმოიდგენენ. წესი წინასწარ უნდა გამოცხადდეს: პასუხი უნდა ეყრდნობოდეს სახელმძღვანელოში მოცემულ ფაქტს – სხვა ადამიანის მოქმედებას, უკვე დაწყებულ პროცესს ან საგარეო ვითარებას.

ჯგუფში მუშაობა არათანაბრად ნაწილდება. საჭიროების შემთხვევაში როლები პირველივე საათზე ნაწილდება: ვინ მუშაობს ეპოქაზე, ვინ გადაწყვეტილებებზე, ვინ შედეგებზე, ვინ წყაროზე და ვინ წარადგენს.

ჯგუფი ვერცერთ შესაფერის წყაროს ვერ პოულობს. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი მიუთითებს რუბრიკაზე „მეცნიერის თვალსაზრისი", რომელიც თემის თითქმის ყველა პარაგრაფშია.

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	საწყისი დონე	საშუალო დონე	მაღალი დონე
ეპოქისა და გადაწყვეტილებების აღწერა	დასახელებულია საქმიანობა თარიღების გარეშე	დასახელებულია ორი გადაწყვეტილება თარიღით	გადაწყვეტილებები დაკავშირებულია ეპოქის კონკრეტულ შეზღუდვასთან
შედეგებზე მსჯელობა	შედეგი ზოგადადაა აღწერილი	თითოეულ გადაწყვეტილებას მიწერილი აქვს შედეგი	გამიჯნულია უახლოესი და გრძელვადიანი შედეგი
წყაროს გამოყენება	წყარო მოყვანილია განხილვის გარეშე	დასახელებულია, როგორ აფასებს ავტორი პიროვნებას	ახსნილია, რატომ აფასებს ავტორი სწორედ ასე
პასუხი საკვლევ კითხვებზე	პასუხი ფაქტს არ ეყრდნობა	პასუხს ერთი ფაქტი ამაგრებს	ორივე პასუხს ორ-ორი ფაქტი ამაგრებს

რუბრიკა ჯგუფის ბარათსა და წარდგენას აფასებს. საკვანძო კითხვაზე დაწერილი ინდივიდუალური პასუხი ცალკე ფასდება იმავე ბოლო კრიტერიუმით.

უკუკავშირი და შემდეგი ნაბიჯი

უკუკავშირი კონკრეტულ ნაწილს უნდა ეხებოდეს და არა ბარათს მთლიანად. ყველაზე გამოსადეგია ორი შენიშვნა: სად აკლია გადაწყვეტილებას შედეგი და სად დარჩა დასკვნა ფაქტის გარეშე.

დაფაზე შევსებული საერთო ცხრილი პროექტის შემდეგაც გამოსადეგია: იგი თემის შემაჯამებელი გამეორების საფუძველია და მასწავლებელს აჩვენებს, რომელი პიროვნება დარჩა კლასისთვის ყველაზე ნაკლებად გასაგები.

ნაწილი V. დანართები

ამ ნაწილში თავმოყრილია დამხმარე მასალა, რომელსაც მასწავლებელი საჭიროებისამებრ მიმართავს: სცენარებში გამოყენებული მეთოდების ცნობარი, შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები, თემის შემაჯამებელი სამუშაო და სასწავლო რესურსების ნუსხა.

1. მეთოდების ცნობარი

ცნობარში შესულია ის მეთოდები, რომლებიც ცხრა სცენარში გვხვდება. თითოეულთან მითითებულია, რას აკეთებს მოსწავლე და რომელ პარაგრაფში გამოიყენება იგი. მეთოდი სხვა პარაგრაფზეც გამოდგება – მთავარია, გაკვეთილის მოსალოდნელ შედეგს შეესაბამებოდეს.

გახსნის მეთოდები

მეთოდი	რას აკეთებს მოსწავლე	პარაგრაფი
პრობლემური კითხვა	ისმენს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებას და ვარაუდობს, რომელი შეიძლება იყოს სწორი	1.1
ორი განსხვავებული შეფასების შედარება	ორ შეფასებას ადარებს და ადგენს, ერთსა და იმავე ადამიანზეა ისინი ნათქვამი თუ ორზე	1.13
ორი თარიღის შედარება	ორ თარიღს შორის კავშირს ვარაუდობს	1.20
ორი სახელწოდების შედარება	ორ ოფიციალურ სახელწოდებას ადარებს და მსჯელობს ცვლილების მნიშვნელობაზე	1.18
დოკუმენტის ერთი ფრაგმენტის ანალიზი	ტიტულატურის ჩამონათვალიდან ადგენს სამეფოს მდგომარეობას	1.17
ცნების ნიშნების ერთობლივი განსაზღვრა	ასახელებს, რა ნიშნებით უნდა შემოწმდეს დამკვიდრებული შეფასება	1.7
სასწავლო სიტუაციის ანალიზი	დასახელებული პირობების მიხედვით ასახელებს მმართველის შესაძლებლობებს	1.3
პრობლემების დალაგება მნიშვნელობის მიხედვით	ალაგებს დასახელებულ პრობლემებს და არჩევანს ასაბუთებს	1.6
საწყისი პოზიციის დაფიქსირება	ტექსტის წაკითხვამდე პასუხობს გაკვეთილის საკვანძო კითხვას	1.5

ტექსტსა და წყაროზე მუშაობა

მეთოდი	რას აკეთებს მოსწავლე	პარაგრაფი
წყაროზე მუშაობა კითხვებზე დაყრდნობით	კითხულობს წყაროს და პასუხობს წინასწარ დასმულ კითხვებს	1.1, 1.3
მონიშვნით კითხვა ორი ფერით	ტექსტში ორი ფერით მონიშნავს ორი მხარის სიტყვებსა და მოქმედებას	1.3
მეცნიერის მსჯელობის ანალიზი მოცემული კითხვებით	გამოყოფს დასკვნას, მის საფუძველსა და ვარაუდის აღმნიშვნელ გამოთქმას	1.3

ნორმატიული ტექსტის ანალიზი	კანონის კონკრეტულ პუნქტს უკავშირებს იმ პრობლემას, რომელსაც იგი პასუხობდა	1.6
ცნობისა და შეფასების გამიჯვნა ტექსტში	ერთსა და იმავე ტექსტში ცალკე გამოყოფს ფაქტს და ცალკე ეპითეტს	1.7
ორი წყაროს შეპირისპირება ერთსა და იმავე ფაქტზე	ასახელებს წინააღმდეგობას და ასაბუთებს, რომელ ცნობას ანიჭებს უპირატესობას	1.1, 1.7
პუბლიცისტური ტექსტის ანალიზი	პოულობს ავტორის მთავარ მტკიცებას და ასახელებს, რისკენ არის იგი მიმართული	1.18
დოკუმენტის ანალიზი მოთხოვნების მიხედვით	ჩამოწერს დოკუმენტის მოთხოვნებს და თითოეულის დანიშნულებას ხსნის	1.20
რუკაზე მუშაობა	ასახელებს ტერიტორიებს, მეზობლებსა და მარშრუტებს და ადარებს მათ	1.5, 1.17

ინფორმაციის დახარისხება და სქემები

მეთოდი	რას აკეთებს მოსწავლე	პარაგრაფი
შედარების ცხრილის შევსება	ორ ობიექტს ადარებს წინასწარ დასახელებული ნიშნებით	1.1, 1.13
ინფორმაციის დახარისხება ორ სვეტად	დებულებებს ორ სვეტად ალაგებს და არჩევანს მტკიცებულებით ასაბუთებს	1.1, 1.3
ქრონოლოგიური ცხრილის შევსება	პიროვნების მოღვაწეობას ეტაპებად ალაგებს	1.13
ცხრილის შევსება სფეროების მიხედვით	მმართველის ღონისძიებებს სამ ან ოთხ მიმართულებად ალაგებს	1.17
ღონისძიებისა და პასუხის დაკავშირება ცხრილში	ერთი მხარის ნაბიჯს მეორე მხარის პასუხს უკავშირებს	1.18
მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სქემის აგება დაფაზე	უჯრებს თანმიმდევრობით ავსებს და აჩვენებს, რას რა მოჰყვა	1.6, 1.17
მოვლენების თანმიმდევრობის აღდგენა	დათარიღებულ მოვლენებს სწორი რიგით ალაგებს	1.20
გენეალოგიურ სქემაზე მუშაობა	ნათესაურ ხაზებს ადგენს და თითოეულს უფლებას უკავშირებს	1.5

მსჯელობა, არგუმენტი და შეჯამება

მეთოდი	რას აკეთებს მოსწავლე	პარაგრაფი
ექსპერტთა ჯგუფებში მუშაობა	ერთ მიმართულებაზე მუშაობს და შედეგს მთელ კლასს წარუდგენს	1.6
ჯგუფის დასაბუთებული წარდგენა	პასუხს ერთი ან ორი დასაბუთებული წინადადებით აყალიბებს	1.6, 1.7, 1.18

სტრუქტურირებული დებატი	იცავს მისთვის მიკუთვნებულ დებულებას და არგუმენტს ფაქტით ამაგრებს	1.13
საკუთარი დებულების სუსტი მხარის დასახელება	ასახელებს ფაქტს, რომელიც მისსავე პოზიციას ასუსტებს	1.13
შეფასების საფუძვლის განსაზღვრა	ასახელებს, რის მიხედვით აფასებს პიროვნებას: მიზნების, ქმედებების თუ შედეგების	1.13
კრიტერიუმის ერთობლივი ჩამოყალიბება	კლასთან ერთად აყალიბებს წესს, რომლითაც შემდეგ თავად მოქმედებს	1.1, 1.7
წერითი არგუმენტის შედგენა	წერს სამ-ოთხ წინადადებას და პასუხს ორი ფაქტით ასაბუთებს	ყველა სცენარი
გასასვლელი ბარათი	გაკვეთილის ბოლოს წერს ორ მოკლე პასუხს	1.1

2. შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები

დაკვირვების ფურცელი

ფურცელი განკუთვნილია ჯგუფსა და წყვილებში მუშაობაზე დაკვირვებისთვის. მასწავლებელი ერთ გაკვეთილზე ხუთ-ექვს მოსწავლეს აკვირდება და არა მთელ კლასს.

მოსწავლე	პასუხს ფაქტით ასაბუთებს	იყენებს წყაროს	მონაწილეობს ჯგუფის მუშაობაში	შენიშვნა

უჯრები ივსება ნიშნით: „+“ – აკეთებს დამოუკიდებლად; „±“ – აკეთებს მითითების შემდეგ; „-“ – ჯერ ვერ აკეთებს.

რუბრიკა 1. წერითი არგუმენტი

კრიტერიუმი	საწყისი დონე	საშუალო დონე	მაღალი დონე
პოზიციის ჩამოყალიბება	პოზიცია ბუნდოვნადაა გამოთქმული	პოზიცია ნათლადაა დასახელებული	პოზიცია დასახელებულია და მისი საფუძველიც ჩანს
დასაბუთება ფაქტით	ფაქტი მოყვანილი არ არის	მოყვანილია ერთი ფაქტი	მოყვანილია ორი ფაქტი და ორივე პოზიციას უკავშირდება
ტერმინების გამოყენება	ტერმინები არ გამოიყენება	გამოყენებულია ერთი ტერმინი	ტერმინები სწორად და ადგილზეა გამოყენებული

რუბრიკა 2. ჯგუფის წარდგენა

კრიტერიუმი	საწყისი დონე	საშუალო დონე	მაღალი დონე
პასუხის სისრულე	პასუხი მხოლოდ ერთ კითხვას ეხება	პასუხი ყველა კითხვას ეხება	პასუხი ყველა კითხვას ეხება და კითხვები ერთმანეთს უკავშირდება
ფაქტის სიზუსტე	ფაქტი დასახელებულია თარიღისა და სახელის გარეშე	ფაქტს ახლავს თარიღი ან სახელი	ყველა ფაქტს ახლავს თარიღი ან სახელი
ჯგუფის მუშაობა	წარადგენს ერთი მონაწილე	წარადგენს ორი მონაწილე	ყველა მონაწილეს აქვს საკუთარი წილი

მოსწავლის თვითშეფასების ფურცელი

ფურცელი გაკვეთილის ბოლოს ივსება. მოსწავლე თითოეულ დებულებას ნიშნავს სამი პასუხიდან ერთით: დიახ, ნაწილობრივ, ჯერ არა.

1. შემიძლია დავასახელო, რის შესახებ იყო დღევანდელი გაკვეთილი.
2. ვიპოვე ტექსტში ის ადგილი, რომელიც დავალებას სჭირდებოდა.
3. ჩემი პასუხი კონკრეტულ ფაქტს ეყრდნობა.
4. მესმის, რატომ განსხვავდება ერთსა და იმავე საკითხზე ავტორთა შეფასებები.
5. ვიცი, რა უნდა გავაკეთო საშინაო დავალებაში.

3. თემის შემაჯამებელი სამუშაო

დანიშნულება და ადგილი კალენდარულ გეგმაში

შემაჯამებელი სამუშაო თემის ბოლოს, პროექტული დავალების შემდეგ ტარდება და კალენდარულ გეგმაში ერთი საათი ეთმობა. იგი ამოწმებს იმ ოთხ უნარს, რომელიც თემის განმავლობაში ყველაზე ხშირად მუშავდებოდა: ფაქტის ცოდნას, წყაროსთან მუშაობას, მიზეზისა და შედეგის დაკავშირებას და დასაბუთებული პასუხის წერას.

სამუშაო სტანდარტის სამ შედეგს უკავშირდება: შედეგი 6 – პიროვნების წვლილის შეფასება და მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი; შედეგი 1 – წყაროს დახასიათება ავტორისა და შექმნის მიზნის მიხედვით; შედეგი 5 – მმართველობის ფორმებისა და ინსტიტუტების ცოდნა.

სტრუქტურა და დრო

სამუშაო ოთხი დავალებისგან შედგება და ორმოცდახუთ წუთზეა გათვლილი: ხუთი წუთი ინსტრუქციასა და დარიგებას, ორმოცი – შესრულებას. მაქსიმალური ქულაა ოცდახუთი.

დავალება	რას ამოწმებს	დრო	ქულა
1	პიროვნებისა და მის მიერ გატარებული ღონისძიების ცოდნა	7 წუთი	6
2	წყაროსთან მუშაობა	10 წუთი	6
3	მიზეზისა და შედეგის დაკავშირება	8 წუთი	4
4	დასაბუთებული წერითი პასუხი	15 წუთი	9

სამუშაო სახელმძღვანელოს გარეშე სრულდება. გამონაკლისია მეორე დავალება: წყაროს ტექსტი დავალების ფურცელზეა დაბეჭდილი.

დავალება 1. ვინ და რა (6 ქულა)

მიუსადაგეთ პიროვნებას მისი ღონისძიება. ერთი ღონისძიება ზედმეტია.

პიროვნებები: ფარნავაზი; ვახტანგ გორგასალი; ბაგრატ III; დავით IV აღმაშენებელი; ერეკლე II; ილია ჭავჭავაძე.

ღონისძიებები: ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება; საერისთავოებად დაყოფა და სახელმწიფო ენის დაწესება; კახეთ-ჰერეთის შემოერთება 1008-1010 წლებში; რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა; თელავის სემინარიის დაარსება; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელმძღვანელობა; ბაზალეთის ბრძოლა.

თითოეული სწორი შესაბამისობა – 1 ქულა.

დავალება 2. წყაროსთან მუშაობა (6 ქულა)

წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს.

(ამ ადგილას თავსდება რუბრიკა „წყაროდან“ აღებული ამონარიდი. მასწავლებელი ირჩევს იმ პარაგრაფიდან, რომელზეც სცენარი არ არის დაწერილი – მაგალითად, 1.12-იდან ან 1.15-იდან. ამონარიდს თან უნდა ახლდეს ავტორისა და შექმნის დროის მითითება).

1. ვინ არის ტექსტის ავტორი და როდის შეიქმნა ტექსტი? (1 ქულა)
2. რას ამბობს ავტორი ამ პიროვნებაზე? პასუხი ორი წინადადებით ჩამოაყალიბეთ. (2 ქულა)
3. დაასახელეთ ორი ფაქტორი, რომელსაც ისტორიკოსი ითვალისწინებს ამ ტექსტის სანდოობაზე მსჯელობისას. (2 ქულა)
4. რა დამატებითი ცნობა დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ტექსტში მოცემული შეფასება გადაგემოწმებინათ? (1 ქულა)

დავალება 3. მიზეზი და შედეგი (4 ქულა)

ქვემოთ დასახელებულია სამი გადაწყვეტილება. აირჩიეთ ერთი და უპასუხეთ ორ კითხვას.

ა) დავით IV-მ 1104 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია.

ბ) ერეკლე II-მ 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი დადო.

გ) თერგდალეულებმა 1879 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დააარსეს.

1. რა პრობლემას პასუხობდა ეს გადაწყვეტილება? (2 ქულა)
2. დაასახელეთ ამ გადაწყვეტილების ორი შედეგი. (2 ქულა)

დავალება 4. დასაბუთებული პასუხი (9 ქულა)

თემის საკვანძო კითხვა ასე ჟღერს: პიროვნებები ქმნიან ისტორიას თუ ისტორია აყალიბებს პიროვნებებს?

აირჩიეთ ერთი პიროვნება თემიდან და ამ კითხვას მისი მაგალითით უპასუხეთ. დაწერეთ შვიდი-ათი წინადადება და დაიცავით სამი პირობა:

1. აღწერეთ, რა ვითარებაში მოქმედებდა ეს ადამიანი;
2. დაასახელეთ მისი ორი გადაწყვეტილება და თითოეულის შედეგი;
3. დაასრულეთ პასუხით საკვანძო კითხვაზე და დაასაბუთეთ იგი დასახელებული ფაქტებით.

შეფასების სქემა

დავალება	რაში იწერება ქულა	ქულა
1	თითოეული სწორი შესაბამისობა	1 ხ 6 = 6
2.1	დასახელებულია ავტორი და შექმნის დრო	1
2.2	ავტორის მთავარი მტკიცება გადმოცემულია საკუთარი სიტყვებით	2
2.3	დასახელებულია ორი ფაქტორი: ავტორის ვინაობა, მიზანი, შექმნის დრო ან თვითმხილველობა	2
2.4	დასახელებულია კონკრეტული დამატებითი ცნობა და არა ზოგადი მოსაზრება	1
3.1	პრობლემა დასახელებულია კონკრეტულად	2
3.2	დასახელებულია ორი შედეგი	2
4	ვითარება აღწერილია	2
4	დასახელებულია ორი გადაწყვეტილება შედეგებით	4
4	პასუხი საკვანძო კითხვაზე დასაბუთებულია დასახელებული ფაქტებით	3
	სულ	25

მეოთხე დავალებაში შეფასება არ არის დამოკიდებული იმაზე, რომელ პასუხს ირჩევს მოსწავლე. ფასდება მხოლოდ ის, დაასახელა თუ არა ფაქტი და დაუკავშირა თუ არა იგი დასკვნას.

მითითებები მასწავლებლისთვის

მეორე ვარიანტის მომზადება. სამუშაოს მეორე ვარიანტი მარტივად მზადდება: პირველ დავალებაში იცვლება პიროვნებათა ჩამონათვალი, მეორეში – წყაროს ამონარიდი, მესამეში – სამი გადაწყვეტილება. მეოთხე დავალება ორივე ვარიანტში უცვლელი რჩება.

წყაროს შერჩევა. მეორე დავალებისთვის სასურველია იმ პარაგრაფის წყარო, რომელზეც სცენარი არ არის დაწერილი. ასე მოსწავლე უნარს ახალ მასალაზე იყენებს და არა უკვე გარჩეულ ტექსტზე. ამონარიდი ხუთ-ექვს წინადადებას არ უნდა აღემატებოდეს.

შედეგების გამოყენება. სამუშაოს შემდეგ სასარგებლოა, დაითვალეთ, რომელ დავალებაში დაიკარგა ყველაზე მეტი ქულა. თუ ეს მეორე დავალებაა, მომდევნო თემაში წყაროსთან მუშაობას მეტი დრო სჭირდება; თუ მეოთხე – დასკვნის/მოსაზრების ისტორიული ფაქტით დასაბუთებაზე გაამახვილეთ ყურადღება.

დრო. თუ კლასს სამუშაოდ გაკვეთილის დრო არ ჰყოფნის, პირველ რიგში მესამე დავალება შეამცირეთ: სამი გადაწყვეტილების ნაცვლად ორი დატოვეთ. მეოთხე დავალების შემცირება მიზანშეწონილი არ არის – სწორედ იგი ამოწმებს თემის მთავარ უნარს.

4. სასწავლო რესურსების ნუსხა

ქართული საისტორიო წყაროები

- „ქართლის ცხოვრება“ – კრებული, საიდანაც სახელმძღვანელოს ამონარიდების უმეტესობაა აღებული: ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (1.1), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (1.3), „მატიანე ქართლისა“ (1.5), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“ (1.6), ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (1.7).

- „მოქცევაი ქართლისაი“ – შატბერდისა და ჭელიშის ხელნაწერების ტექსტები (1.1).
- რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ – ცხრამეტივე კანონის სრული ტექსტი (1.6).
- ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1.13).
- ომან ხერხეულიძის თხზულება ერეკლე II-ის მეფობის შესახებ (1.17).
- საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი (1.20).

ლიტერატურული და პუბლიცისტური ტექსტები

- იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ (1.3); გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (1.5); დავით IV-ის „გალობანი სინანულისანი“ (1.6); ილია ჭავჭავაძის თხზულებები და პუბლიცისტიკა, იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ და პედაგოგიური წერილები (1.18).

სამეცნიერო ლიტერატურა

- ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ – პირველი წიგნი (1.1, 1.3), მეორე (1.6, 1.7), მეოთხე (1.13).
- „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ – ტომი II (1.3), ტომი III (1.6), ტომი IV (1.13, 1.17) და უახლესი პერიოდისადმი მიძღვნილი ტომი (1.20).
- მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომები საქართველოს გაერთიანების შესახებ (1.5); როინ მეტრეველის ნაშრომები თამარ მეფისა და XII-XIII საუკუნეების საქართველოს შესახებ (1.7).

მუზეუმები, არქივები და ელექტრონული კოლექციები

- საქართველოს ეროვნული მუზეუმი – არქეოლოგიური კოლექციები, ახალგორის განძი, ეპოქის მონეტები (1.1, 1.7).
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – სიგელები, ხელნაწერები და ბეჭდები (1.7).
- საქართველოს ეროვნული არქივი – ერეკლე II-ის წერილები და ხუთენოვანი ბეჭედი (1.17), 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების დოკუმენტები (1.20).
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კოლექციები – გაზეთები „ივერია“ და „დროება“ (1.18), 1988-1991 წლების პრესა და ფოტომასალა (1.20).
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რესურსები – ბედიის, ნიკორწმინდისა და ბაგრატის ტაძრების შესახებ მასალა (1.5).

XII საუკუნის საქართველო სხვადასხვა ერების თანაცხოვრებისა და რელიგიური ტოლერანტობის გამორჩეული მაგალითია. არაბი ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ისინი დავითის სამეფოში, თბილისში, უფრო დაცულად გრძნობენ თავს, ვიდრე ბაღდადში. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი XII საუკუნის შუა ხანებში წერდა, რომ თბილისში მცხოვრებ მუსლიმებს საქართველოს მეფემ შეუქმნა ყველა პირობა, რაც მათ მოისურვეს. იმდროინდელ სომეხ ისტორიკოსებსა და სწავლულებს დავითი და თამარი თავიანთ მეფეებად მიაჩნდათ და დიდი პატივითა და სიყვარულით მოიხსენიებდნენ. სომეხი ავტორი მათეოს ურჰაელი XII საუკუნეში, წერდა, რომ „იყო მეფე დავითი წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთისმოსავობით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი... დიდის სიყვარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“.

ჩრდილოეთ კავკასიაში თამარ მეფესთან დაკავშირებული არაერთი ლეგენდა და გადმოცემა დღემდეა დაცული. ცნობილი პოეტი ნიზამი განჯევი თამარ მეფეს იხსენიებს თავის ნაწარმოებებში. მისი ერთ-ერთი პოეტური თხზულების, „ისკანდერ-ნამეს", მთავარი გმირის პროტოტიპი სწორედ თამარია. XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე სპარსელი მემატიანე იბნ ისფანდიარი გვიყვება, რომ ნიზამი განჯევის ერთი ბაიათი „თბილისისა და აბხაზიის ფადიშაჰს", თამარს, შეეხებოდა.

XII საუკუნე – ესაა კავკასიის ერთიანობის საინტერესო ნიმუში, ასევე. კავკასის ხალხების კულტურული აღმავლობის ხანა.